


# ლიტერატურული გაზეთი

№16 11 - 24 დეკემბერი 2009

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



## ეთარ თათარაიძე:

გარე-გარე ვბრუნდები-დ  
ფიჭეხისკ წამოალა ბილიკაზე ვდგებ,

ჭეროთ მომდინარაებს ზუგრასად იმის დედას  
დანამშვრალეხს ვხვდებ,

ზუგრას ოქროს დალალეხს, ნაფირუზალ შვლის თვალეხს  
ელნაკანკალ ვსწვდებ,  
გარე-გარე ანაბრუნ, ფიჭეხისკ წამოალა  
ბილიკაზე ვდგებ.

IV-V



დასაწყისი № 9-15

აპოლინარის გომი და ბიჭი

ხმლად, ეხლა კი კარგათ აღარც მახსოვს რას გეუხებოდით.

ლოვინიდან რო ჩავედით იქა და ღამე რო გასათევი არ გვაქ და ორ დღეში რო უკან უნდა წამოვიდეთ თამაზას ქორწინება და ნათქვამი მაქ და კაროჩე თოვლია და მინელი. მინელს რო ეძახიან ეგენი და ტელეფონის ბუტკაში გოგო და ბიჭი ზასაობენ და იმიტო მივედით რო ჩურთე სადღაცას რეკავს იმ პონტში, რო ღამე გავათევიონ და აბა ვერ ვრეკავთ.

მე კი ორი წელი ვიყავი ლენინგრადში და ზამთრის პონტი რა არი ვიცი, მარა ხო იცი ქართველის პონტში ვარ, რო ქუდი არა რამე და კურტკა მაცვია, და შიგნიდან თბილელი.

ვდგევართ და ველოდებით, ეს გოგო და ბიჭი კიდე ზასაობენ, და მეთქი დავაი რა ჩურთე, მიუკაკუნე, ეგრე სად არი, ეგენი ზასაობენ, მე კიდე ძედ მაროზი ვარ, ვსიო და უკაკუნებთ მარა კიდათ. ზასაობენ და ეხლა შენ იმას მოთხოვე. ბუტკაშივე რამე არ მიაფითიხოს, მე იმას ვფიქრობ.

სუ კიდათ, გარეთ რო შეცივებულში ჩურთე და ქემერა დგას.

ეს ჩურთე კიდე, იცის რო სხვაგან ვართ და არ უკაკუნებ. მეთქი აბა დავაი, გავშალოთ ლოვინი და დავნვეთ აქ, აბა რა ვქნათ და მიატა მეთქი არაყი, მოვკვდი. ჩურთეს თავის ჩანთაში ჭაჭა აქ.

გავაძრეთ ერთი, ძველათ რო ბოთლები იყო მწვანე.

ეხლა რო ყველა პლასტმასებში და კოკაკოლებში ასხამს სახლის არაყს და ეგრე მიაქთ სადმე და ეგრეც ინახავენ, მაშინ სად იყო ეგრე, მაშინ იყო ძველი ლიტრინანი ბოთლები. ის ბოთლები აღარ გამოდოდა და ისე, სახში იყო შენახული.

ძველი ლვინის ბოთლები იყო, სქელები და მძიმეები, ლიტრინები და თუ ჭაჭა იყო, პასტიანი იმამი იყო ხოლმე. ნახალოვკელებმა ვაფშე ჭაჭა იცოდენ, ვისაც ეზოში ყურძენი ქონდა და ბევრს ქონდა, ჩვენცა გვქონდა სამოცდაათებს და ოთხმოცებს ურტყამდა ზოგიერთები. მეთქი გიჟები ხართ, ვინ უნდა დალიოს, აი პროსტო ვინ უნდა დალიოს.

ერთი მერე ბათუმში მომინია რა, წესიერი ბიჭები იყვნენ სათამაშოს ხსნიდენ და მოგვეხმარებოდა და მეთქი, მოგვეხმარებოდა და ნაველი მატარებელი, მე, დაბრეცილი და თამაზას რო ვაბობ, თამაზაც წამოგყვავა, პროსტო და ეგ რომელი დროა და მატარებელი რო ორი დღე მიდის ბათუმამდე და პახოდუ, რო ამოდინ ავტომობილებით მთვრალეები და ვითომ რო გმონავენ და თურმე დაბრეცილს ზედა აქ. იარაღით არი წამოსული. ასლანას დროა და იარაღით არი წამოსული ბათუმში, პა სემ ლეტ ზედა გვაქ როგორც მაგას ის მაკაროვი ზედ ქონია. ან რათ უნდოდო, რომელი დაბრეცილი იარაღის კაცია, მარა იმ დროს ყველა ეთამაშებოდა, ერთხელ ავჭალის ტრამვაიში დამიცვედა ტყვიები. ნაგანის ტყვიები იყო, თან სხვისი და ის ნაგანიც ხელში გვეჭირა და ვათამაშებდით. ეგრე იყო ის დრო, მარა მე რას ვაბობ, დაბრეცილის სტვოლს კი არ ვაბობ, ბათუმში რო წამოიღო, თამაზამ რო ჭაჭა წამოიღო იმას ვაბობ.

ხოდა დავჯექით და ეს მატარებელი როგორ მიდის იცი, პახოდუ შეილება ოთხი საათი იდგეს. ბებიები ამოდიან, მანონი ამოაქთ თავის კოვზებით. შეჭამ და კიდე ჩამოვივლიან, კოვზები უკან მიაქთ, იმდენი ხანია გაჩერებულნი.

კოვზები კრევენ პა პოხლუ, აზზე მოდი. ხოდა თამაზა ხო წამოგყვავა.

თამაზა არი ხევსური ვაფშე. მარა ნახალოვკელია. ხევსური ველარ არი. სამი პაკალენია ნახალოვკელი ხევსურია. მარა ხასიათში მამენტ აქ. მამენტ, რო იტყვიან. ხოდა კაროჩე რო დაიდრა და მცხეთასთან არ ვართ მისული და გავშაღეთ იასნია. მე ჭაჭისტი არ ვარ და მეთქი ადრევე ვიცი, რო თამაზას ჭაჭა აქ წამოიღო და ვაგზალზე რო გავვდით, ერთი შამპანური ავიღე, იმ პონტში რო, მეთქი ამას დავლევ. შამპანურები მაშინ იყო ორლარიანი, რო ამბობდენ, ვანაში ასხამენ შამპანურებსო. ყველაზე ზნამენიტი იყო ჯორჯიან სექტი. ეგრევე ეუნებოდით, სექტი მომეცი, ლარი და ოთხმოცები ღირდა. თამაზა მეუხებდა, ქემერ, ტო, ეს ჭაჭა არი ჯამრთელი, ჩემი სახლის, რა სექტებს ყიდულობ.

მეთქი, ვიცი ეგ შენი ჭაჭა რაც იქნება. რამდენი გრადუსია? და არ ამბობს, მაგარია და ნამდვილიაო. იასნია რო ნამდვილია, მარა მე ხო ვიცი, ნახევარ საათში დაიბომბებიან. ხოდა დაიდრა ეს მატარებელი და რო გავშაღეთ საქმელები და თამაზა-

აკა მორჩილაძე

# ლეგენდარული ქამერას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება

მაც გააძრო და მეთქი, მე ჩემ სექტს დავლევ. თან სექტი, თან თბილი, მარა ვანგეზი და ამთა დაახსეს ორმა და თამაზა ეუნება, ეგ არი ოთხმოცდობრი გრადუსი და ფთხილათო. კაროჩე, მეორე ჭიქა დალიეს და ძაან მაგარი მთვრალეები არიან. იმენა როგორი მთვრალეები ხო იცი, დაძინება რო უნდა. კი არ ატრაკებს, აღარ აქს გატრაკებს თავი და მაგას რო შეეხედე, მე კიდე ორი ჭიქა სექტი მაქ დალეული და ისიც ბოლომდე ვერა, იმიტო რო სექტს პროსტო ვერ სვამ, ატრაკეა და გბრიდავს ყველა ყლუბი. კი არ გათრობს, ორი ჭიქა რას დაგათრობს, გბრიდავს.

ხოდა ამთ რო შეეხედე ორი ჭიქის მერე, მეთქი ტეხავს და დამისხი მეთქი, ერთს გავეძინჯავ, რო ცოტა დავენიო. და ერთი დავარტყი. კაროჩე ჩახია ყელი, ჩაფხრინა და ეგრევე გათრობს. ოთხმოცდობრი გრადუსია. რა უზამ. გერევა ეგრევე.

ხოდა ეხლა ჩურთეს ჭაჭა მე რა ვიცი. ვაფშე არა ვარ ჭაჭა რო უყვარეთ და გიჟდებიან, მარა პროსტო დავიბრიდებით, ქუდი არ მახურია. მეთქი, თუ არ აკაკუნებ და გააძრე, ბრადიაგებივით ვართ, ჩანთებით. იქ ღამეა კაროჩე ეგრევე. ჩვენთან რო დღეა, იქ ეგრევე ღამეა.

და ჩურთე რას მეუხებდა. ქართველები არა ვართ? ბიჭო, ტო, ქემერ კი გავაძროფო და ერთი კაი მოხარული დედალიც მაქო, მარა ჭიქები არა გვაქ და თეფშებით. ყინვა არი ტო. ქურაში ვართ, ჭუჭყიანი თოვლი არი პა კალენა, პროსტო აყრის და მუქზე ღამაზია და კრუგომ სულ კორპუსები და ტელეფონის ბუტკაში ზასაობენ გოგო და ბიჭი და პახოდუ, მარტო ყინვის პონტში არა რო მესმის და რამე, ვაფშე აღარ მახარავს ეს გოგო და ბიჭი და მეთქი, ბიჭო, რა ჭიქები, ჯარში არა ხარ ნამყოფი, სგარლა მიგეცი, როგორც არი.

ეხლა ეგ აღარ ვიცი სტალინი და მეორე როა მწვანე ზოლით ის კი დამიღვია სგარლა ჯარში რო ვიყავი, პონტი ჩავარდნილა, თორე ბაზაზე ხრუსტალის ჭიქებიც მქონდა, ლენინერს ქონდა, მე რა. მარა ეხლა ჭაჭა სგარლა, ვაფშე სმერტია.

პროსტო ვერ ვეგუები ამ ჭაჭას, ნერვოზებია. დალევა ხო უნდა გველოდეს, და მე ეგ ჭაჭა ვაფშე გულს არ მიხნის. პროსტო მაშინ ვერ პატარა ვარ და პროსტო არ მიყვარს ჭაჭა. ჯერ ვერ ვხვდები რო მეჯავრება.

კაროჩე, მეთქი, ეგ ჩანთა, აგე აქ დადე, თოვლზე და გახსენი, და დავაი დედალი.

გაიყინებაო, ჩურთე იძახის. მეთქი, არაყი უნდა დავლიოთ, გინდა ვაბზე ყინული ჩავაყოლოთ, მაინც პადმოგა არი. და ამოვივლით და ეგრევე ჩურთემ ბარკლები აახია და ერთი მე მომცა, ერთი თითონ დაიჭირა და ჩაკუზული ვართ იმ თოვლში, ვსველდებით, პროსტო მეთქი წამოვდგეთ და ბოთლიც გააძრო, რო ის მწვანე. ნოლემძესიანტპიატანია კი არა, იმენა ძველი ლიტრიანი და პრობკა აქ კარჩაგინის დროინდელი და ნავსხენით და მეთქი, თბილისს გაუმარჯოს მაგის დედაც მეთქი, რო მოგათბობს და რო მოგივლის და რო ვაფშე შენია და მოვიყუდე.

მოვიყუდე, მარა სანამ არ ამოისუნთქავ ხო არ ვიცი, როგორი ჭაჭაა, და უშვევ პროსტო რამდენიც ნავა და რო მოვიმორე, კაროჩე ვხედავ, ძაან მაგარია, სამოცზე ნაკლები არ არი, და რო ამოვისუნთქე და ეგრევე ბარკალი მივეცი, გაყინული თუ როგორიც იყო, მეთქი ჩურთე რამდენია. ბებიჩემის არი და სამოცდასამი არი. მეთქი, ასწორებს, სიცივეს ვერ გავიგებთ. შეილება ვაფშე გავიყინოთ, მარა ჩვენ ვერ გავიგებთ და ჩურთე იძახის, ვაფშეო, კიდე მაქ თოხლებიო და გააძრო ბანკით ნიგეზიანი ბადრიჯანები და კიდე ერთი ბანკით პამიდორის წნილი. მეთქი გიჟია ესა, მთელი კუხნა წამოღებული აქ და ის თავისი მონკავშირიც ამოაძრო ჩანთიდან და დავაი ნავიდა ბანკებში თევზაობა იმ მონკავშირით. მაგრა ცივა მაინც, ტო. თავი მაქ გასივებული ყინვისგან და მეორეც მოვიყუდე იმ პონტში რო რა საქმეზეც ვართ, ის კარგად გავგვეკეთებოს.

ვაფშე, ისეთი პონტია, რო ამ სამოცდასამიანს ისე დავლევთ ლაღიძეში რო ნაღები მოკოლადი დაგიღვია, იოლათ იღევა ყინვაში. პროსტო მერე რა ვქნათ. ეგ არ არი ისინი. ეს რო დავლიოთ დაჟე ნახევარი ლიტრა, იქ დავეყრებით და დაგვეძინება და მოვკვდებით. პროსტო მოვკვდებით. ეგ მახსოვს და ვანგები, რო დავაი დავრეკოთ.

შენ რა გგონია, დიდხანს კი არ ვართ.

ორი მოყუდება რა არი. ათი წუთია, რა და პროსტო ვჭამთ ამ გაყინულ საქმელებს და მეთქი, ესა ცხელი პური მოგვცა. თან ბიჭო, ტო, იქ რა უნდა ვქნათ, ჯერ იქ ვაბზე შუალამეც არ არი და როგორ უნდა გადაათენო. ჩურთე ამბობს, გადავათენებთ. მეთქი, ჰა, სანამ გადავათენებთ, ეხლა გაუმარჯოს შენ გოგოს, რომელმაც აქ ჩამოგვიყვანა და ჩურთეს უცბათ გაეხსნა და ყველა გოგოს გაუმარჯოსო, ვინც შეყვარებულია და ამ გოგოსაც გაუმარჯოსო, ბუტკაში რო ზასაობენო.

ბუტკის გვერძე ვართ და ისინი კიდე ზასაობენ და რავი, ეხლა ქვევიდან ყურებას ხო არ დაუნყევ მანქანის ხელოსანივით, მამენტ მესტაც შევბიან იმ ბუტკაში და ჩურთე ადგა, როგორც ახალი წლის კინოებში და მიდის ამ ბოთლით და პირდაპირ მიურტყა ბუტკის შუშაზე და ქართულად ეძახის ეგრე ხმამალა, გაგიმარჯოთ თქვე ჩემანალებო. ზუსტათ ეგრე და უყურეფ, იმათაც გამოხედეს და გაუცინეს წყნარათ, ხელი დაუქნის და უყურებენ ეხლა იმიტო რო ჩურთე იმ ფანჯრიდან უკან ველარ მოდის.

არ ვიცი, მთვრალია და ვერ მოდის, არ ვიცი გაუსწორდა იმათი ყურება. ხო იცი, ჩვენი პონტი როგორია, რო ჩვენ პონტში ვერ ვეტივით.

კაროჩე დგას და უჭახუნებს ამ ბოთლს ტელეფონის ბუტკას და მე კიდე სიგარეტი გავაძრე, მეთქი, ეგებასაც ხელები მაინც გამოთბოს შიგნიდან, იმიტო რო ხელთათმანებიც არა მაქ. პროსტო არა მაქ ხელთათმანები, არ ვიცი, რაშია საჭირო ხელთათმანები. არც ჩურთეს არა აქ ხელთათმანები, იმათ კიდე სკოლის პონტში აქ იმ გოგოს, სახელოებიდან გამოყოფილები, თოკზე როა დამბული.

კაროჩე იმდენი უჭახუნა, რო ეს ნახასავები გოგო და ბიჭი გამომიყვანა იქ და ჩამიკუზა სუფრაზე და წავიდა სგარლა სმა და ლაპარაკები.

მეთქი, გაგიმარჯოთ ბრატკა. მაშინ ჩვენთან ბრატკას ამბობდენ, ეხლა ამბობენ პროსტომც ბრატ. მაგასაც აღარ ამბობენ. იმ ბრატსაც ადრე ამბობდენ. ხოდა ეს ყოფილა, ყველაზე კაივი ის არი, რო ამის ცოლი.

ჩემი ცოლი არიო. მეთქი, გინდა რო შენი ცოლი იყოს, თუ პროსტომ შენი ცოლი არი.

არაო, ჩემი ცოლი არიო და ეს გოგოც ამბობს, ოთხი თვეა ცოლი და ქმარი ვართო. ეგ არი რო, მეოთხე მოყუდებაზე ვართ და მეთქი, თუ ცოლი და ქმარი ხართ, რატო დგახართ ბუტკაში. ეგეთი რამე ლენინგრადში არ მიხანია, რო ცოლი და ქმარი ბუტკაში ზასაობდენ. რავი, შეილება იქაც იყო, პროსტო არ მიკითხია.

და ეხლა ესენი რას ამბობენ, სახშიო პირობები არა ვაქაო.

თურმე ეგეთი პონტია, რო ამ ბიჭის დედამ და მამამ დაიკიდა და სადაცას გინდათ იქ იცხოვრეთო, იმ გოგოს კიდე დედა ყვავს და უთქვია, აქ იცხოვრეთო, ოღონც ერთთახიანია და იმ გოგოს დედა აწვება რო ეს ჩემი ოთახიაო და კაროჩე თქვენ დავაი კუხნაში იცხოვრეთო და კუხნაში ცხოვრობენ, პროსტო, კუხნაში პოლზე ამ გოგოს ძინავს, და ბიჭი ველარ ეტევა. ვერ ეტევაო და რა ვიცი და ბიჭი წევს, კუხნიდან რო კარიდორი მოდის შემოსავლელისკენ იქ და კაროჩე სიდედრს რო ღამე უბორნიამო მოუნდეს ამას უნდა გადააბიჯოს, იმიტო რო ეს წევს ზუსტათ უბორნიის კარებთან. კაროჩე, უბედურობა რა. ეგეთი დედა უნდა ინატრო ვაბზე. და ეს სიდედრი კიდე პასტიანა უტრაკებს, კუხნაშიც არ აცლის რო იჯდენ და რადიოს მაინც უსმინონ და მიეფერონ ან რამე. კაროჩე, ის რო იძინებს მერე მიდიან კუხნაში.

ეგრევე მიყვებიან ამას და მეთქი ვიფიქრე, ისევე მამაჩემთან რო ლაპარაკი მიჭირს ათასჯერ ჯობია, იმიტო რო რაც არ იყოს, მაინც გვერდში დაგიდგება.

მაგაზე კი არ არი ბაზარი, ჩვენ პროსტო ერთმანეთში ვიჭიჭის, ორივე ეგეთი პონტში როყვით ვართ და იმიტო. მერე კიდე ვიფიქრე, მეთქი სიყვარული როგორი რალაცაა მეთქი, ყინვაში ცოლ-ქმარი ტელეფონის ბუტკაში არიან.

კაროჩე, ეს ბოთლი ეგრევე და პირდაპირ თოვლში გაუშვი, ოთხი ვსვამთ და ბიჭი ამბობს, მაღაზიები ღიააო, სკინიმსაო. მე ხო ვიცი მაგათი სკინიმსა, ეხლა სამკაპიკიანები ამატე და ჩურთე გააძრე მეთქი. და სასიამაოროსთვის მაქო. ევასებაო.



მეთქი, ბიჭო, ვსვამთ, რა სასიამაო და გვათოვს და ყინვაა და მეთქი აღარ უთქვია, გააძრო მეორე და მაგარი დაბომბილები ვართ უკვე. სტალინგრადი ვართ პაჩტი, ტელევიზორში რო არი ხოლმე და იკაიფე, ჩურთეს ხო აღარ ახსოვს რო დარეკოს და დარეკოს და მეც ვაფშე აღარ მახსოვს. და ვანგებით მონკავშირით მოხუფულ ბადრიჯნებს და ამათ ვამინჯებ და მეთქი ერთი პური მაინც იყოს და ვაფშე დაკიდებული მაქ უკვე, ჩაკუზული კი არა ვარ, ან კი არ ვდგავარ, პროსტო ჩავჯექი და ვაფშე ვერ ვგძნოფ, რო თოვლია და ყინვა და სველი ვარ, თან აზზე ხარ სად. სმერტია რა, დილაზე შეილება გაიღვიძო და პროსტო კაცი აღარ იყო.

დაინყო მერე ყიცილიყო, ყიცილიყო. კაროჩე მივანქეთ ამ მეორეს და ეს ბიჭი პურზე წავიდა. აქო პურის ქარხანა არიო და ბუტკა აქო და მოვიტანო და წავიდა. ჩურთემ კიდე დაინყო ჯარის ბაზრები. ხო ვიცი ეს ჯარის ბაზრები. აქ ვმსახურობდიო, გრანიაცაზუო და მიანვა და მიანვა ამ ქალაქის ამბებს, რო მაგრა აზზეა ქალაქის. მართლა აზზე იყო, ის კი არა, მარა იმ გოგოს ეგეთი აზრი დარჩებოდა, რო ესენი პროსტომც გიჟები არიან და ყინვაში დალევა ევასებათ.

არადა მაგაზე გაჭირვებული ვართ. ეგ სანამ დედამისი არ დიდიანებს სახში ვერ შედის, ჩვენ კიდე სახლი არცა გვაქ და უცბათ გამახსენდა, ჩურთე მეთქი, დარეკე ბიჭო, რო მივიდეთ და დავიძინოთ, როდემდე ვიჯდე ამ ყინვაში. კიო, გააძრო ორკაპიკიანები და წავიდა ბუტკაში.

ამ დროს კიდე ბიჭიც მოვიდა და მოიტანა პურები. ორი პური მოიტანა, ცხელებიო, რო არ გაყინვოდა, პალტოს ქვეშ ქონდა გულში ჩადებული.

მაგრა გემრიელათ დავეტაკეთ იმ პურს, სუ გზადავა ცივებოდა და ის ეგრე უბიდან ატეხავდა. მეთქი შენ გულს მაჭმევ, ტო და გადაირია, რანაირათ თქვაო თავის ცოლს ეუხებდა. მაგრა იმოქმედა, მე კიდე იმიტო მეთქი რო ეგრე მეთქმევინა. ჩვენ კიდე ერთი მოვიყუდეო, პაშტი ნახევრამდე ჩავედით და ჩურთე კიდე არ მოდის იმ ბუტკიდან.

მეთქი ბიჭო, აქედან ვეძახი ქართულათ, შენც ხო არ ზასაოფ და ვერც გაიგონებდა, მარა მაინც ეგრე დაუძახე, მე თითონ მეცინება და ბიჭი ამბობს, მოვავროვეფ რალაცეებსო და ცეცხლი დავანთოთო.

კაროჩე, ჩავჯექით, ეგეთი პირი უჩანს. რო გითხრა ეხლა გძეტა ერთი საათი არ მოვიდა ჩურთე.

გვერძევე არი ბუტკაში, რალაცეებს ლაპარაკოფს, ტრუბკა უჭირავს და მეთქი, რავი რას ლაპარაკობს. ხოდა აღარ ვიყურები და გოგო იმ პონტშია ჩაკუზული რო ხედავს და მეუხებდა, მაგანო, ისაო ტრუბკა ვაბზე ცალკეაო და ეგ ცალკე ბაზრობს რალაცეებსო.

გავიხედე, ტრუბკა კონიალობს და ჩურთე კიდე ბაზრობს. ავდექით, მივედი კარი გამოლევ, ბაზრობს რუსულათ, მეთქი ბიჭო, რას შევბი, ჩურთე.

მაგრათ არი, არ ვიცი ტელეფონზე დაარტყა თუ რა არი. რო ამბობენ, ჰაერზე დაარტყაო, იმას ტელეფონზე დაარტყა. მერე ვიცილოდით, ტელეფონდარტყმული ხართქო, ევენებოდი და ბაზრობს და ბაზრობს და ბაზრობს, მეთქი ბიჭო, ოე, მივედივართ დასაძინებლათ?

მაიცაო, რა, გეხვეწები ვლაპარაკობო. მეთქი რას ლაპარაკობ, ტრუბკა კონიალობს და შენ ვის ელაპარაკება.

მეთქი, იმ პონტში ჩაეხვია და შეყვარებულს ელაპარაკება, იმ გოგოს რა. ხო არი ეგრე რო დათვრება და ებაზრება.

მეთქი, ბიჭო, ვამო, რამ გავატუტუცა,



ხალხი ზის სუფრაზე. მაიცაო, ძლივას დავრეკეო და მელაპარაკებო, არ გამითიშოო, ეგეთ პონტში. მთვრალია რა, მარა მეც ხო მთვრალი ვარ და მეთქი, აბა მაიჭო დამალაპარაკე და შენო, რა შუაში ხარ ვაბშეო, ამხელა ადამიანთან დავრეკეო და ეხლა იმას ხო არ ვეტყვი ძმაკაცს უნდა ბაზარი და რალაცეები შეყავს რუსულათ, უტრუპკოთ. ჩამოვალ და ერთათ ვიქნებითო. მეთქი ამას თბილისში ხო არ გონია თავი.

ბიჭო, ნამო მეთქი, ვის ელაპარაკები ხო არ გაგიჟდი. რა გამიხურეო, ირინა ალევროვას ველაპარაკებიო.

ვისა ბიჭო, მეთქი. მაგრათ მეცნობა ეგ სახელი. ირინა ალევროვასო. კაროჩე მომღერალია, რუსი. პუგაჩოვას პონტში. სუ მთლათ პუგაჩოვა არ არი, მარა მაგის პონტშია, აი რო ჩამოთვლიან პუგაჩოვა და ვილაცეები, მაგასაც იტყვიან.

რა ალევროვა ბიჭო, მეთქი ხო არ გაჟრიალებს, მარა მერე უცბათ აზზე მოვედი და მეთქი შენ შენ საცოლესთან ხარ თუ ალევროვასთან მეთქი.

საცოლეო იასნია საცოლეო და ცოლიო და ისეთ პონტში, ალევროვაო. მეთქი რა ქონია გულში ჩურთეს, უთქმელი კაცი რაა. თან მეცინება, არ გავბოროტდი და არც ავიკიდე რამეები. რო ვხვდები ხსლ იმ გოგო და ბიჭის პონტი იყო, კარგ სასიათო რო ვიყავი. მეთქი დავგაძინებს ირინა ალევროვა?

კვითხავო, პროსტო მაცადეო და ამ ჩამოკონილებულ ტრუპკა როგორღაცას იყო დაიჭირა. აილო და ისევ ბაზრობს. იზვინიო, მოი დრუგო და შეყავს რა. კინალამ რო იფიქრებ მართლა ვინმეს ხო არ ებაზრება ტრუპკაში.

ტრუპკა იძახის, ტუ-ტუ-ტუ. მეთქი დავაი, იბაზროს, ეგება გამოვიდეს მაგ ბაზარში. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რო მაგრა ნერვიულობს.

ეხლა ხო ვიცი. მაშინ კიდე ვერ ხვდები, პატარა ხარ. ამხელა ამბავშია და ნერვიულობს. კაი მეთქი, დავაი, მომიკითხე ირინა. ნამოვედი ისევ ამ გოგო და ბიჭთან. რასა შვებო, გოგო მეუწევა და მეთქი, ირინა ალევროვას ელაპარაკება.

ვისაო? მეთქი ირინა ალევროვას. გაალო პირი ამ გოგომ. ლოყები ალბათ სუ წითელი ქონდა მე იმ შუქში რას ვხედავდი.

იცნოფსო? რა ვიცი მეთქი. მართლა რა ვიცი, ჩურთეს ამბები? არ ვიცი. ბიჭი ამბობს, ჩვენთან არი ჩამოსულიო? დაიჯერეს, რანაირები გამოდგენ ვაბშე ეგენი. მეთქი ბიჭო, რამოსული, ისე ელაპარაკება, ცარიელ ტრუპკაში.

ვაო. ხოთქო, რა. ევასება და ელაპარაკება. კაროჩე, ბევრი რო არ ნავიდე, რა დაველიეთ და როგორ დაველიეთ, ჩურთე ჩაგვეკეცა ბუტკაში, ჩაეძინა ირინასთან ჩახუტებულს რა და მე კიდე რო არ მოგატყუო ძლივას ვარ. კაროჩე, მეთქი, მეც ჩაუჯდები ბუტკაში და დავიძინათ. მეთქი, ამათ ვეუწევი, სადღაცას უნდა დავრეკა, რო იქ დავრჩენილიყავით და ჩაითიშა.

ამ ბუტკასთან ვაფშე იმით მოვედი, რო ახლოა ჩვენი დასარჩენი. და გოგო ეგრევე ამბობს, ჩვენთან დარჩითო. ეგრევე რა, ბეზ ბაზარა. და ბიჭმაც, დავაიო. დარჩით ჩვენთან რაო, კაი რადიატორებიანო და ვაბშეო, დაიბანათ, გახურდებიანო და გამოიძინებთო, დარჩითო. მეთქი ბიჭო, არა, გავათენებთ როგორღაცას, ამას აზზე მოვიყვან, თოვლებს ნაუსვამ და დავარეკიფ. ჩურთე კიდე ჩაკეცილი ზის ბუტკაში, ხელში უჭირავს ტრუპკა და ძინავს. იასნია სიზმრებს ხედავს. მე პროსტო რო არ დამელია, ნერვოზები და ისინი კი არა, გავაფრენდი. და არაო, ნაველითო. მოდიო, ეს გოგო ამბობს, თქვენ ეგ ჩურთე მოიკიდეთო და ნამოილეთო, მე ჩანთას და არაყს ნამოილეთო. იმ მეორე ლიტრიანში ვერ გავედით ნახევარზე იქით.

არა მეთქი, არა, თითონ პოლზე ნეცხართ და ბუტკაში ზასაოთ, ცოლ-ქმარი, კინალამ ეგეც უთხარი. პირველათ რო უხსენებ ბუტკა ისიც გამიტყდა მერე.

ნაველითო და აილო ბანკები და ჩადო ჩანთაში და ქათამი კიდე იქ დავტოვეთ რაც იყო, ძალები შეჭამენო და ბოთლიც აილო და ნაველითო. მოვიკიდეთ მე და ამ ბიჭმა ჩურთე.

სახელებიც არ ვიცი, იმათ კიდე ჩურთე იციან და ევასათ, ნიჩურტას პონტში გონიათ. რო ვეძახოდი ბუტკაში, დაიხსომეს. ნაველით და მივედი ერთ პადიეზში და ავედით ლიფტით მეოთხე სართულზე. ეს ჩურთეც გვიჭირავს, მე კიდე ვეუწევი, ირინა ვარ, გაიღვიძეთო.

მივედით ტყავის კარებზე, როგორც არი ხოლმე მაგათთან და მეთქი, ეხლა, ჯერ თქვენ შედით, დასმოტრეთ, ეგრე არ გამოვიდეს, რო... კაი, და ჩურთე ავაყუდე მარა, ჩაჯდომას მიანვა და არი ტკბილათ ჩამჯდარი და ძინავს.

კაროჩე შევიდენ და კარი მოხურეს, ყო-

ნავა, ჩენსავით კარს კი არ ტოვებენ ღიას. ერთი ნუთი არ გასულა, გამოვიდენ. უკვე გახდილები და ქუდებიც აღარ ახურიათ და ნამოდიო, ნავიდეითო. ავნიეთ ისევ ჩურთე და შევევდი, ოღონდ რო შევევდი და სიზმელეა სახში. მეთქი, რა პონტია და ეტყობა სიდედრს არ უნდა გააგებინო. შევევდი და მივათრიეთ ჩურთე და ეგრე ბნელში დავაგადეთ ლოგინზე. კაი დიდი ლოგინი იყო და შენცო, თუ გინდა, აქ დაიძინეო.

სპალნის ლოგინია რა. ოღონდაც სიბნელეში. მეთქი, გავიხდი ამას და შუქი არ ავანთო? კიო კაცო, აანთეო. აანთო გოგამ და გავიდე. და კაი სპალნა ერთი ლოგინით და მთელი თავისი ავევით და კი ვერ მივხვდი, მეთქი ეგება რალაცა ვერ გავიგე იმათ ლაპარაკში რო ყვებოდენ სახლზე და გავხადე ჩურთეს და კაი ახალ თეთრეულშიც შევანვინე და ჩურთე კიდე მეუწევა, ძმა ხარ ქემერ, ძმა ხარ. მეთქი გაიღვიძე ჯერ, განახეფ ერთი ძმობას, მარა რა უთხრა? ორივეც ჭაჭები მე ამოვადებე.

ხოდა, მეთქი გავალ, ტვალეტი რამე, თან ვაფშე მაგარი იქნება რო დავიბანო. რა დღეა თუ კაიფოფ დილიდან? თან მეთქი სიდედრი არ დამეჩითოს ღამის პერანგში, თორე მე იმას ვერ... გამოვედი, იქით მეორე ოთახია. დივანი რამეები, ტელევიზორი და იქით კიდე ლოჯია და იმ ლოჯში შუქი ანთია და ტვალეტიც აგერ არი. მეთქი სალო, მარა ბევრი ოთახი და სხვა სახლია, რო ყვებოდენ ისეთი არა და ისევ მეთქი ან ამერია, ან ხუმრობდენ. და გამოვედი და გავედი ეგრევე ლოჯში და ვამბობ, ა გქე ნიომშა? და იმ პონტში შევედი, რო გოგო ჩაის ანყობს და ბიჭმა კიდე ჭაჭა დარჩაო. მეთქი სადა ვარ ბიჭო, მეშინია შენი სიდედრი არ შევანუხო. მეშინია რა, პროსტო თქვენ ვაბშე არ დავტოვებო.

და გოგო მეუწევა, დღესო არიო ყველაზე ბედნიერი დღე ჩვენ ცხოვრებაშიო. ჩვენი ამხანაგები დაანვენ სამუშაოთ სირიამი ორი წლით და ჩვენ დავვიტოვეს ბინაო. დილაზე გადმოვრიდეთ რალაცეები და პირველი დამე არი, რო აქ ვრჩებით მარტო. ორი წელიწადი აქ ვიქნებითო, ბავშვს გავანჩენთ და გავზდითო.

ვზივარ და უყურეფ. აბა რას იზამ. მეთქი, ბიჭო და ვერც ვეუწევი ვერაფერს, ფული მაინც მქონდეს რო ვაჩუქო. საჩუქებელი ფული. ას მანეთს ხო არ მივეცემ. ჯერ არ ვიცი, რა დამჭირდება. თან მაშინ დიდად ვერ ხვდები. მარა ხო მაინც გრძნობა გაქ. მეთქი, ბიჭო სახში როგორ ნამოგვიყვანეთ და სპალნაში როგორ და-

გვაძინეთ. ეო, ჩვენო იმდენი გაჭირვება გვაქ ნანახიო, რო კაციო გარეთ არ დაიტოვებო. ჩვენხელები იყვნენ რა და უკვე გაჭირვება იცოდენ.

გოგოვებდით ბუტკიდანო, ხო იასნი იყო რო რალაცა გაგემაზათო. მე ეხლა ის ველარ უთხარი, თუ ეს სახლი გქონდათო, ბუტკაში რალას ზასაობდითო. რალა პონტია ეგეთი რამის თქმა, მარა ისინიც ხო აზზე მოვიდენ რო იასნია ეგ ვიფიქრე.

და ჩვენო იმ ბუტკას გამოვემშვიდობეთო. რა მეთქი? და ის ბუტკა იყო ჩვენი პირველი კოცნის ადგილიო და მერე ისე ნავიდა, რო ჩვენი ოთახიც ეგ იყო, სხვა არ გვექონდაო.

კაროჩე რა, სხვა ქვეყანაა, რა. რა ბუტკა, რომელი ისა. სოფელში რო მტოვებდენ, ბებიაჩემი რას შვებოდა იცი პატარა რო ვიყავი? ჩემი საწოლის გვერდით იშლიდა პოლზე, არ გადმოვარდეს ღამეო და რო გადმოვარდეს მე დამეცესო.

შენ რაც გინდა თქვი და როგორი სიყვარული ქონდათ ერთიმეორეში, სულ გამომივიდა ის ყინვაში ნახვამი ჭაჭა და მაგას ვფიქრობ, თუ იმ გოგოს ჩურთე უყვარს, აი, ეგრე უნდა ნამოყვეს, როგორც ეს გოგო და ბიჭი არიანთქო.

აბა, სხვანაირათ აბა რა არი. მაშინ ვიფიქრე პირველათ, რო ოჯახი რას ნიშნავს ნეტათქო. ოჯახი ჩვენთან სხვა პონტია. რო ყველა ერთათ არი და კაია, მარა მარტო ცოლი და ქმარის პონტში ეგრე პირველათ ვნახე. ჩემხელები, გამოგდებულნი და განვალებულნი და გახარებულნი ამ პონტში.

მე რა ვიცი მერე იმათ რა ქნეს, რო ჩამოვიდენ იმათი ამხანაგები, მარა მე როგორც ვხვდები, მთავარი არი ერთხელ გამოძრომ და მერე იმ ნვალეზაში აღარ მიბრუნდები.

მარა ჩვენ სხვა საქმეზე ვიყავით და ველარ და ველარ მოვეყვი, როგორ მივევდი მე და ჩურთე მეორე დღეს იმათ ოჯახში, საპატარძლოსთან.

მოვეყვები ბოლობოლო, პროსტო მე იმ ბუტკის ამბავი უფრო მეყავება. პირველი სტუმრები ხართ ჩვენიო, უცხო გოგო შარვალს მიშრობდა რადიატორზე და კაი დუშის მერე იმის ქმრის ჯემპრებში ვიყავი ჩაცმული და ნელნელა ჩაის ვეპარებოდი. მეგობრობა არი, აბა ეგ სხვა რა არი. ყველაზე მაგარი მეგობრობაა ვაფშემც.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ლიტა** მაშინ დაახლოებით 16 წლის იქნებოდა, როცა მის ცხოვრებაში ასეთი უცნაური ამბავი დატრიალდა.

პირველად რომ მოესმა ეს ხმა, მარტო იყო სახლში. ძალიან შეშინდა. დიდხანს ირბინა აქეთ-იქით, რომ გაერკვია საიდან მოდიოდა, მაგრამ იმ დღეს ხმა მალევე გაქრა და აღარავისთვის არაფერი უთქვამს.

მეორე დღეს კი სკოლაში დაენყო ისევ უცებ, მარად მოყვანე კლასი ერთიანად დადუმდა და ყველა მას მიაჩერდა. ხმამალა ისმოდა თანაბარი ინტერვალებით ყრუ ბაგი-ბუგი. მასწავლებელმა რამდენჯერმე სთხოვა გაეჩერებინა რასაც ახმაურებდა, შემდეგ მივიდა და გაჩხრეკა დაუპირა. ლიტა ნამოხტა და კლასიდან გავარდა. თავქუდმოგლეჯილი მირბოდა სახლისაკენ. ხმა არ წყდებოდა. ოთახში შევარდა და დედას ჩაეხუტა შეშინებული. დედას სურდა ეფიქრა, რომ ეს რალაც ხუმრობა იყო, მაგრამ ლიტას თვალეში ისეთი სასონარკვეთილება იდგა, რომ ვერანაირ შაყირსა და ხუმრობაზე ლაპარაკი ვერ იქნებოდა. ხმა ლიტასთან მოდიოდა. ტიპური გულის ცემის ხმა იყო, რომელიც თითქმის ყველას მოუსმენია როდესმე ფონენდოსკოპით, მაგრამ ისე ჟღერდა, თითქოს კარგ მძლავრ დინამიკებში გაეყვანათ.

რა უნდა ექნათ? ექიმებს მიმართეს, როგორც წესია და რიგი. ჯერ ერთი მოვიდა, მერე მეორე, მესამე კი ჭკვიანი აღმოჩნდა. ძალიან მშვიდად თქვა, რომ სავანგამო არაფერია და, რომ, პრინციპში, მედიცინა იცნობს ასეთ შემთხვევებს, თუმცა კი დიდი იშვიათობაა.

ლიტას ღამე არ დაეძინა. არც ექიმს დაუძინია. გათენებამდე ინტერნეტში ეძებდა მსგავს პრეცედენტს, მაგრამ ვერაფერს მიაგნო.

დილას კი საავადმყოფოში წაიყვანეს. ერთი კვირა გაატარა იქ. ვინ არ ნახა, რა ტესტი თუ გამოკვლევა არ ჩაუტარეს.

**ცოტნე ჩიქოვანი**

**CARDIO CEDO**



პასუხს ვერავინ იძლეოდა. ექოზეც არაფერი გამოჩნდა. წინაგულო, პარკუჭები ყველაფერი ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. შემდეგ კი ახალ უცნაურობას გადააწყდნენ, რამაც ვერაფერს მოჰფინა შუქი და თავსატეხი კიდევ უფრო ამოუხნელი გახდა. ლიტას გულის ძეგრის რიტმი სრულიად არ ემთხვეოდა ამ ხმის რიტმს, თუმცა ხმა რომ გულის ცემისა იყო, იმ დროისათვის უკვე ღრმად მეცნიერულად დადასტურდა.

ლიტა ჩვეულებრივი 16 წლის გოგონა იყო. სწავლობდა სკოლაში, დადიოდა კერძო მასწავლებლებთან. ვარდისფერი მობილური ჰქონდა და სიგარეტის გასინჯვაც მოესწრო უკვე ცხოვრებაში.

- ბავშვობაში რაიმე ინფექციური დაავადება ხომ არ გადაუტანია? - ჰკითხა ერთმა ექიმმა დედას.

- დიახ, ჩუტყვავილა ჰქონდა ექვსის რომ იყო და ქუნთრუშა 9 წლისას.

- გასაგებია, - ექიმმა რალაც ჩაინიშნა ბლოკნოტში და პალატიდან გასულმა

სულ ტყუილად გაიყოლა დედის ოდნავ დაიმედებული მზერა.

ფსიქოლოგებიც იგივეს კითხულობდნენ. - დიდი სტრესი, სულიერი ტრავმა? ხომ არ გახსენდებათ, ქალბატონო, იყო თუ არა რაიმე მსგავსი მის ცხოვრებაში?

არა, თითქოს არაფერი. ზოგჯერ ტიროდა, ზოგჯერ ძალიან ხმამალა იცინოდა, ტელეფონზე ლაპარაკობდა ხოლმე საათობით. კი ერთი სასიყვარულო თავგადასავალიც გადახდენოდა უკვე, მაგრამ რა არის ამაში განსაკუთრებული? 15 წლის იყო, როდესაც გაგას შეუყვარდა. რალაც ღამეზე მდობდა თავიდან ყველაფერი. ლიტასაც ძალიან უყვარდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა მაშინ. სკვერში გრძელ სკამზე გაგა გულაღმა წებოდა, მუხლებზე ადებდა თავს, ქვემოდან ზემოთ უყურებდა და ხმამალა ითვლიდა ლიტას გრძელ, შავ წამწამებს.

მერე კი მათი ურთიერთობა ძალიან გახმაურდა. ბევრმა დაიწყო ამ ამბის განხილვა და ყველაფერი უცებ დამთავრდა. არა, ძალით არავის დაუშორებია. უბრალოდ დისკომფორტი იყო რალაც, დაძაბულობა და ბოლოს იჩხუბეს.

გაგა იმის მერე ორჯერ მოვიდა ღამე. ხშირად რეკავდა. ლიტას კი აუხსნეს, რომ ჯერ ძალიან პატარაა, პირველ რიგში სწავლას უნდა მიხედოს, უამრავი საქმე აქვს და საერთოდ ეს ყოველივე ბავშვური გატაცებაა და სხვა არაფერი. კარგად აუხსნეს და გაიგო. ცოტა ხანში კი გაგა სხვა სკოლაში გადავიდა და ასე დასრულდა ყოველივე.

არანაირი ტრავმა და სტრესი, ჩვეულებრივი ამბავი იყო, ისეთი, თითქმის ყველას ცხოვრებაში რომ ხდება როდესმე და ეგეც რომ არა, რა შუაშია აქ ეს გაუგებარი ხმა?

ლიტას ძალიან მოზეზრდა საავადმყოფო, ხოლო საავადმყოფოში კიდევ უფრო მოზეზრდათ ეს გაუთავებული ბავა-ბუგი. სახლში დაბრუნდა. მაგრამ ძველ ცხო-

ვრებას ველარ დაუბრუნდა. სკოლაში არ დადიოდა, როგორც ამბობდნენ — დროებით. მისი თანდასწრებით გაკვეთილების ჩატარება შეუძლებელი იყო. ძირითადად თავის ოთახში იჯდა.

იმეფათად გაივლიდა ხოლმე სასიყვარულო, უფრო დღისით, პიკის საათებში, როცა ქალაქი გიჟივით ღრიალებს და ყრუა ყველაფრისადმი. არ ტიროდა და საერთოდ უფრო ჩუმად იყო, შეიძლება იმიტომ, რომ მის მაგივრად მისი გული ხმაურობდა საკმარისზე მეტს.

მერე მამამ სპეციალური, ხმის დამხშობი მასალისაგან შეიკურა და სახლში იმით დადიოდა. დიდი შეღავათი არ იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში ასატანი გახდა, განსაკუთრებით თუ ტელევიზორს ჩართავდნენ ხმამალა. აი, მეგობრებს კი ნუთითაც არ მიუტოვებიათ. მაგრად ედგნენ მხარში. ყოველდღე მოდიოდნენ ან რეკავდნენ, უყვებოდნენ კლასის ამბებს, ამხნევებდნენ და ლიტაც ცდილობდა მხნედ ყოფილიყო.

ასე ცხოვრობდა დიდხანს, ან არც ისე. მაშინ დიდი ხანი რო იყო, კარგად არ იცოდა.

იმ საღამოს კი თითქოს რალაც იგრძნო. გულის ცემა აუჩქარდა მოულოდნელად. ერთ საათში კი მეგობარმა დაურეკა და უთხრა, რომ გაგა ავარიანში მოყვა და ტრავმატოლოგიურშია. არ ახსოვს, როგორ მიქანდა საავადმყოფომდე. საოპერაციოსთან მისი კლასელები იდგნენ. მოშორებით გაჩერდა.

— ოპერაციაა უკეთებენ, - უთხრა ერთ-ერთმა, - ვნახოთ, იმედი აქვთ. ყველა საოპერაციოს კარს მისჩერებოდა. ლიტას ხმაურიანი გულის ცემისათვის არავის ეცალა და ამიტომ ვერავინ შენიშნა, როგორ მიწყნარდა ეს ხმა ნელ-ნელა და საბოლოოდ შეწყდა, რამდენიმე წუთით ადრე, სანამ დალილი ქირურგი თავჩაღუნული გამოვიდოდა საოპერაციოდან.



თენგიზ მირზაშვილის ხსოვნას

ზუბრას

დილაბინდზე ყინულის წყაროზე პირს ჩამიბანდ, ძირგაგლეჯილ მრეშ უნნას ელჩქარა ხკემსდ-გამიბლანდდ, ახალგადაფქულ ბურნითს მეზობელსთან გადიტანდ, ქება-სმენას დანარცხვენ ღვრილ თმაზე ელს გადისვამდ, შინ გადმოსვლით გულნაცხროვ ლეკურ ქათიბს გადიცვამდ, ნატეხა მიტვირტანში თავის აღეს გადიტანდ, აბრეშუმის ელსა ოცს სკივრითას მადლ ამიტანდ, ნარ-ნარით მრომ, ფიქრბურვილ ბანზე მზის სხივს გამიტანდ...

\* \* \*

დედა, ალბათ, ასწავლიდ ბალახ-ბუღაღში ბაწართ ათასფერად ღებვას,

რვალის ცვეთილ დიდ ჩხუტში ყველა ადათის დაცვით შეგდებულ ზის ღებვას,

წყაროთა შინამდ ღუმჯღარ ემედ აღმართზე განაჭიმ წელთუნგივ წყლის ღებვას,

დილით წუხრამდ ყანის მკას, ამინდისად შურებას, შიმშილ-დადღის ძღებვას,

შინ მოსვლით საქონ მზასად ზე-წველისად მიხედვას, არვიზდ რაის კლებვას,

როდის- როდის კერასთან თავის თავიზდ მოცლასად ნატვირთვდ ელის ხლებვას,

დედა, ალბათ, ასწავლიდ ლეკურა უნჩათ ქსოვას, ფერთ ხამება- ნქრებას,

ცისიდ მიწის ხასიეთს, ლოცვის არ დავიწყებას, მასკვლავთ კრებიზდ სწრებას,

მემრ მორჩილად ცოლობას, არაფერზე გმინყრასად თავის წილთ სუ კლებვას,

უფროს - უმცროსობასად ადათ - წესიზდ სიმთხილეს სავიწყოსიც წყებას,

ურჩევს ბევრ შვილის ყოლას, ცხვა არაით სიხარბეს, ალახსთან ღად ხლებვას,

ზუგრა, ალბათ, მორჩილად თავხრით პირობას აძლევს დასტურმლოდნე დედას.



ეთერ თათარაიძე

\* \* \*

თვალს-თვალში რო ვერ გვიყრიდ, ატმის ყვავილს სადარო ანამწვან მთებს ხედავდ,

თამაქოს ჩითილები ქუნუმას რო აწვალვებდ, ფესვებს მიწას სწვებავდ,

ხის ცოცხებზე შენარჩენ ნამტკნარ არყის მედ ფოთლებს ხფშენიდა-დ ყუნწებს სწვევებავდ,

ჩვენით განაპარადა განაკვირალ ლურჯ თვალებს თავის დედას სწვებავდ,

ამათ ჩემგან რა უნდავ?

\* \* \*

გარეგ-გარეგ ვბრუნდები-დ ფიჭვისიკ წამოალა ბილიკაზე ვდგებ,

ჭეროთ მომდინარაებს ზუგრასად იმის დედას დანამწვრალებს ვხვდებ,

ზუგრას ოქროს დაღაღებს, ნაფირუხალ შვლის თვალებს

ელნაკანკალ ვსწვდებ, გარეგ-გარეგ ანაბრუნ, ფიჭვისიკ წამოალა ბილიკაზე ვდგებ.

\* \* \*

სანამ არ გადეფარნეს შავით მოსილ დედაიდ წითელკაბა ქალა,

თვალ მეჭირა-დ მენამოდ თავაც ვერ ვიც, რაღამ?

შვლის ნუკრსავით წინ წუხტოდ სტუმრად ჭირით ნატყრალ, ახლ განალად ქალა,

გზაზე იმათთან ერთად უხვად მიწრიალებდეს ბუბუნაებ, ქამან...

ცას თავნაწვდენ მწვანე მთებს წითელ წერტილ ასკივებდ-ეს იყვ ზუგრა ქალა.

\* \* \*

ზუგრა ზვავზე წედინებ ორთქლავარდნილ მოეხსთან, წყლვენად წუდის, თენგიზ,

ჩვენ ვბერდებით, ის ალბათ ვარდის კოკობს ეფერებ, მჩქეფველ ტალღას თერგის,

ზუგრა ლურჯ ცას ლურჯ თვალებს დიდხან აპყრობს, თენგიზ,

ხვალედ-ზეგე აშინებს, ძალადა გათხოვებენ თვალმგელ ლეკზე, თენგიზ,

ზუგრა ხო გარეგ გა სონს, ობოლ ქალა ლეკისა, ყვავილს სადრედ, თენგიზ,

ალბათ ნაწუმ წყაროთა ნარწყულებ მოთ მოსწკებლავს, ზვავს გადმაცოდ, თენგიზ,

ხვალ-ზეგ ვარდად გიფურჩნებ, ჩვენ სიბერე დაგეძალავს, ვლნახავთადა, თენგიზ?..

\* \* \*

შვილასავით მენატრებ ლეკეთის აულებში ნამწყვდევე თეთრ ვარდ, უფალო.

ქათქათა კან, ლურჯ თვალე, თხელა თითებ, დაღვრილ თმა, მორჩილ, ადლო უქარო .

ცხვით ნაცვეთა- ნაცვამა წითელ კაბა ფარფარით უფორმოი-დ უქამრო .

შინა ცას მინაკერებ, უფრო ბუნავს მინამგვან, უეტლოი-დ უკარო ...

ზუგრაზე ვამბობ, თენგიზ...

\* \* \*

იქნებ გულიც მუიდე, მე რას გადამეკიდავ, ზუგრა იქნებ გაჯავრდეს.

თავ დედოფალს ნაფერებმ თავის ნაოცნებებში შურ ამართვას, გამჯაბრდეს.

ზუგრა გთა არ იქნებ...

ალარ იქნებ პატარა, ქალობაში ფე ნადგამს ეტლიც ნაცვალ ექნების,

ლეკურ განიერ კაბას ნაოჭებად წელს ნაყარს მკერდს ძველ ჟღარლებ ყერების,

ღურჯ თვალების სადარო სიბუქ აბრეშუმის თმებს თავსაკრავა ერქმების,

კესანეს მგვანს თავადაც ბუბუნაის სურნელი-დ სისიბუქე ექრევის...

\* \* \*


შენ ზუგრას ნუ ეხუმრებ, საზღვარგარეთ ნამყოფი-თუშეთ უნახავ,

იც, რაგვერთ გზა-ბაწრები, ნიავნია რო დიან, ფე ით უნაყავ,

ათას ჯურის ბუბუნა-ბუნქით ნაქარგ ბილიკებ ბუქვნით ულა ავ...

შენ ზუგრას ნუ ეხუმრებ, საზღვარგარეთ ნამყოფი-დიკლო უნახავ!..





\*\*\*

ფთათ ფლაშუნით, ოხვრავრით  
სვავ თვალთ სჭამდ აულებს,  
ვერაით ლიბო ნაძრავთ,  
ვერ შენარვეთ ნაუღელს,  
ნადავლ ვერ მო ელთებულ  
ოხვრას ყრანტალს გაურევს,  
სანამ ზუგრა გულს ხეშსავ,  
ბზარს რა გუნენს ცხაურებს,  
ფე ქარიან ლეკ ბიჭებს  
საშეჯიბროს რა უღევს,  
სანამ ზუგრა იქ ნათობს,  
ბნელს რა მუყვანს აულებს...

\*\*\*

ზუგრა ქალა იჯდების  
თოვლით ნაჩუქრ სოფელში,  
ფარღალაღა შინაში.

გადამჭვარტულ კედლებში  
ბატკანასაყით მნათე,  
რაგვერც ყამარ შინაში.

რაგვერც საყდრის წერილა,  
ანგელოზებიზდ თან მყოლ,  
ნამწვედვე სინა-კინაში...

ზუგრა ქალა იჯდების  
თოვლით ნაჩუქრ სოფელში,  
ფარღალაღა შინაში...

\*\*\*

ზუგრა აღარ გა სონსა,-  
იასავით მარცხვინა,  
თავზე მანდილდახვეულ...

ობოლ ქალა ლეკისა ,  
ტანს გკელ, წითელ კაბიან,  
გულ-ნისლებში გახვეულ...

ემბათაივ სევიან  
დედა თან დატანებულ,  
ფიქრ-ჯანლებში ჩახვეულ...

ზუგრა აღარ გა სონსა,-  
თავის ლეკეთისკ წაის  
ბილიკს რო ეღვ გახმეულს...



\*\*\*

კართანასავ აწყვია  
ზუგრას დედის მოღებულ  
ხის კოხტად კრულ ცოცხებ,

ლეკეთისი-დ თუშეთის  
შუა ჩაყრილ სასეველოს  
პირწმიდად მგველ-მფოცხველ,

ანად თამაქოს ნერგებთ  
გიხარესა ნაქორფლებთ,  
დარდისაივ მომკვლელთ...

ზუგრას დედის მოღებულ  
კართანასავ აწყვია  
არყის ხისა ცოცხებ?..

\*\*\*

წელს რო ვიყავ, დიდხან ვხედ  
დადესტნის მთის წვერებს,  
შენ ჩემ ლოდნას ვიჭირ თავ,  
წითელს ვიკვლევდ ფერებს.  
არწვივმ, ირაონაკრავმ  
ღურბელნ ვახი მჩქერედ,  
შენ აულის თავს წრე კრა ,  
ფთებ წინ განაფენე ...

ზუგრა, ახალ რა არის?

\*\*\*

ზუგრა, მოქუნდებოდეს  
შენ აულის გარშემო  
ნაცრეცალა ქირსლებ,

ალავ წვიმის მცრეღალებ,  
ალავ შრიალით მპარენ,  
ალავ სისუ მბირბელენ.

ელში რას ატრიალებ,  
უნნათ ქსოა ისწავლე,  
ადათ უცვვთ, ძირძველ.

ზუგრა, დრო არ ჩერდების,  
შენაც თავის კვალს გადებს,  
შეგდერები წვრილ წელ.

ანდის ყოისუ ჩადის  
ძველებურად მღუღუნე ,  
ძველივ აქვის წინწელ...

\*\*\*

დედამ რაივ, ზუგრაო,  
სიყვარულს არ ელოდოვ,-  
გარიგად გმოდღერა?

თვალმგელ ლეკის ბიჭასავ  
ვერაინ აჯობებსავ,  
დეღვით დაფორთქლა?

შენ გულს ნანას იღუმაღ  
ვიღაცაზე ნათენ -ბინდმ  
გავთქვა-დ დაგფოთლა?

დედამ, რაივ ზუგრაო,  
სიყვარულს არ ელოდოვ,-  
ყინჩად დაგმოდღერა?

\*\*\*


გარეე არ გაღმარე  
პირბასრ, ნამუქ კდეებ,  
ა -ჯა უნა აღმ-დაღმენ,

მთის წვერნ დანაჭკდეენ,  
დედას კიდევ ასწრებდი  
ფერცრეცს, თვალნანერს,

მანდის ანდის ყოისუ,  
მთის აქისაკ ალაზან  
ზვერე თვალნაშტერმ...

\*\*\*

იჯდად გლიმ არ დუძრავის,  
თვალ არვიზდ თვალთ არ შუყრი,  
პატარა კალოშიან ფე ებ მიწკაპულ,  
თხელა თითების ფალანგნ,  
პეშვად გულადმ ნატრიალნ,  
ნადალ-მისნაპულ,  
თავზე მანდილ ქალურად  
ყელ-ყურს დანახურალი-დ  
კისრისკ მიკვანძულ,  
იჯდ პატარა დედოფალ  
ფე თ კალოშებ ჩანაცვამ  
ზედ მტვერ მიფანტულ,  
ჩემ თვალ-გულით გუსვლელა  
ობოლ ქალა ლეკისა  
ზუგრა- ხვთის ქალწულ...



\*\*\*

ფე თ ზოლიან შარვალი-დ  
თეთრ, მოხატულ წინდაებ,  
უფრ გარეთისკ კალოშებ,

თავს მანდილ კოხტად ნაჭუჭკ,  
ერთ ელ გულადმ ნატრიალ,  
ნასევედ თვალებ ნაოცებ,

გვერდს დიკლოელ ბაღლების  
ჩემდ მ რით მონაღებ ყვავილნ,  
დილის ცვარ ზედ ნამოსებ,

ბელადიანთ ბეღვაში  
ჩვენ გულს ნაკონ ლეკ ქალა,  
ღვთის წყალობა ნაონჩქრებ...

ზუგრა ხო სუ გე სომებ?...

\*\*\*

...ერთხელაც შეველმფრენით ფრანგ სტუმრებთან  
ერთად შევერიეთ თუშეთის ცას.

თითქმის ყველა ხეობა მოვიფრინეთ და რამ-  
დენიმე მნიშვნელოვან "კუნქტშიც" დაესხედით...

პირიქითის ხეობიდან ლაშარის ჯვრის გვერდზე  
გავიარეთ და სასაზღვრო სოფელ დიკლოში ღამის-  
თევით დავბანაკდით.

შემგლისფერდა და უღვევი სითბო მივიღეთ დიკ-  
ლოელთავან.

სალამოზე, რომელიც ვარდიქების გრძელ აივანზე  
ანთებულ ბუკუნის შუქზე ჩემი ლეკსების კითხვით  
დაიწყო და კაი ხანს ვეღარ დახრულდა, სხვა დროს  
გიაშობთ...

დილით ისევ მოქონდათ დიკლოელ ბაღლებს მხ-  
არზე დაწყობილი ყვავილების კონები... ვთხოვდი, მეტი  
აღარ მოეწვევიათ. თან ვეუბნებოდი:

მე ისინი უფრო მიყვარდნენ, ამ თაივულთა შორის  
მდგარნი...

ხოლო დადესტნიდან მოსულ შაოსან დედას უგა-  
მორხეულესი ყვავილი წითელკაბიანი ზუგრას (ზუხ-  
რაი) სახით მოჰყვა; მოჰყვა და ეს მორცხვი, უსუფთავესი  
არსება იმ დღიდან იქცა ჩემი ფიქრის მუღმივ თანამე-  
ზავრად...

მერე თენგიზ მირზაშვილიც ხშირად მახსენებდა  
ხოლმე დადესტნელ ზუხრაის. თავის უჩვეულო, უკა-  
ნასკენელ წიგნშიც მიუჩინა ადგილი ზუგრასთან ერ-  
თად გადაღებულ ჩვენს ფოტოსურათს...

ზუგრამ, რა თქმა უნდა, არც ის იცის, ვინ იყო თენ-  
გიზ მირზაშვილი და არც ის, ვინაა მასზე მოფიქრალი  
ამ სტრიქონების ავტორი.

და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გაიგებს, როგორ  
ფიქრობდნენ და ფიქრობენ დღესაც მასზე საქართველოში.



ნარსული, ნელ-ნელა, როგორც ქუჩის კედლებზე ნემისაგან ჩამორეცხილი ბავშობის დროინდელი ნარწერები, ქრებოდა ჩვენი ახალი სახლიდან. პირველი ბებია ნავიდა დაუმშვიდობებლად, ისე, რომ არც კი გაუფლავებია, მხოლოდ დილას შევიტყვეთ ყველაფერი, როდესაც ოთახის კარები შევუღღებთ და თავზე ნავად-ექით საკუთარ ლოგინში მოკუნტულს, ბალიშის ქვეშ თავშეყოფილსა და თვალ-ლიას, რომელიმე ცუდი სიზმრისაგან გამოღვიძებული შემინებული პატარასავე-ით რომ შეწყურებდა მოყვითალო, აქა-იქ ჩაშავებული შპალერით დაფარულ ნესტიან კედელს.

— ალბათ მიხვდა და გამოეღვიძა, — თქვა დედამ და მეც უეცრად დავინახე თუ როგორ იგრძნო მისი მოახლოება, როგორ ჩაესმა, სადაც ღრმად სიზმრების სამეფოს თვალუნვდენელ ხვეულებში მარტოდ მოარულს, მისი ჩუმი აუღელვებელი ნაბიჯები და უკან, თავის ციციქნა ოთახში დააბრუნა, მაგრამ მაინც არ დაგვიძახა, თითქოს არ გვენდო, შეეშინდა, გვერდზე გადაბრუნდა, ბალიში დაიფარა და ასე ზურგმეტყვევით ელოდა, სანამ მისმა ყინულივით ცივმა ამონასუნთქმა ზამთრის სუსხივით არ დაუარა ტანში და ზურგზე არ დაბურძღლა.

მერე მამა გაქრა, უფრო სწორად ტელეფონის ყურმილში, შორს, ჩვენი სოფლიდან გადმოსროლილმა ნაცნობმა ხმამ გვითხრა, რომ გაქრა, რომ აღარ იყო. ჩვენც დაუყოვნებლივ ჩავყვარეთ თეთრ, გერმანიიდან ახლად ჩამოყვანილ "რეისავიო" "მარშრუტაში", სოფლისაკენ დავიძარი და ბაბუსიული დაბურული ეზოს სიღრმეში ჩამალული ხის სახლის ყველაზე ფართე ოთახის შუაგულში მშვიდად მწოლიარეს მივუსწარი, როდესაც ბუნებრივი ფერი უკვე დაეკარგა და ყურადღებანი მეზობლებსაც მოესწროთ მისი უკანასკნელად გამოწყობა.

აქეთ ვილაღვებო სვამდნენ, კაცობას უქებდნენ და მის ძველ დიდებას იხსენებდნენ, იქეთ შავებში ჩაცმული ქალები შემორტყმოდნენ კუბოს, თავები დაეხარათ, კისრები წაეგრძობებინათ, ოდნავ შესამჩნევად ირხეოდნენ, სადაც ქვემოთ იყურებოდნენ და ძალიან გავდნენ მალა-ლი ხის ტოტებზე შემომსხდარ სვავებს, უხმოდ რომ გადაჰყურებენ გადახრუკულ ტრამალებს.

ჩვენ კიდევ მოჯადოებულებივით ვიდექით ოთახის შუაში, დავყურებდით მიცვალებულის გაქვავებულ, ფერფლისფერ სახეს და ვერ ვხვდებოდით, რატომ გამოიქცა, რატომ მიგვატოვა, რატომ მოიკლა ასე მარტოდმარტომ თავი, ახალი სახლის სივინროვეს ვერ გაუძლო თუ ჩვენ დაძმობულ, ლიმილგაძრეულ სახეებს? არ ვიცო, მაგრამ მისი გაქრობის შემდეგ ჩვენი ახალი სახლიდან სხვადასხვა ნივთებმაც ინყეს გაუჩინარება.

sony-ს ძველებურმა ვიდეომ, თავის დროზე მამამ რომ ჩამოიტანა ინგლისიდან, ბაზრობაზე ამოჰყო თავი, მერე ბე-ბის ნაქონი ვერცხლის დანა—ჩანგალმა დაგვტოვა და რადგან ჩემი უმცროსი ძმის ბიზნესი დღით დღე ლაფავდა სულს, ნელ-ნელა სახლიც დაცარიელდა, როგორც ლამპიონების მბუჭტავი შუქით განათებული ლამის სადგური. წინ გამოვიდნენ მოყვითალო კედლები, გამოჩნდნენ ძველებურ კარადებსა თუ ფაიფურს მიღმა დამალული ღრეჭოები, ნესტიანი ლაქები, უცხო ნარწერები და ხაზები, აქაური, პატარა მაცხოვრებლების ზრდაზე რომ გვიყვებოდნენ რადიოცეცხლს და ბოლოს ჯერი ჩვენს შავ, ძველებურ პიანინოზეც მიდგა, წარსული დიდების აჩრდილივით რომ წამოჭმულიყო ოთახის კუთხეში, ამაყი და პირქუში, როგორც მთებში ჩაკარგული ციხეს-სიმაგრე.

დედამ თქვა, მყიდველი უკვე გამოჩნდა და ხვალ მოვაო. ბედად იმ ღამეს მორიგე არ ვიყავი (მონაცვლეობით ვმორიგეობთ), ჰოდა, როდესაც ჩვენები დანვინდნენ, ჩემად მივიპარე პიანინოსთან, ჯიბის ფარანი დავანათე — თან ვფრთხილობდი, არ მინდოდა ვინმეს შევემჩნიე — დავხედე, ხელი გადავუსვი, თითქოს ვემვიდობებოდი, მაგრამ უეცრად მის შავ ხედაპირზე დანი თამოკანრულ წარწერებს მოვკარი თვალი და გამახსენდა რომ დიდი ხნის წინათ ასეთი ჩვევა მქონდა, თუკი რაიმე ჩემთვის მნიშვნელოვანი ამბავი მოხდებოდა, ამოვკანრავდი თარ-იბს და თან მივაძებნედი სიტყვას, რომელიც ამ ამბავს გამახსენებდა. მეც უფრო ყურადღებით შევუდექი შავი ხის ზედაპირის თვალთვრებას. წარსულის სურათებმა, როგორც კვირტებმა გაზაფხ-

ლადო კილასონია

პიანინოს ზედაპირზე ამოკანრული ამბავი



ულზე, ისე დაინყეს გაცოცხლება და მეც უამრავი რამე მომაგონეს იმ თითქოსდა შორეული დროიდან.

2008 წლის 15 აპრილი. ძველი ეზო

დილა იყო, დაახლოებით თერთმეტი საათი, როდესაც დედამ გამაღვიძა.

— ადექი და მითხრა და თავისი გაყინული, ცივ წყალში რეცხვისაგან გაუხეშებული ხელი დამაძო ზურგზე.

ბუზღუნით გადმოვტრიალდი ოთახისაკენ, მზის შუქი თვალებს მჭრიდა, ჭურჭლის ჟღერს აუტანელი სურნელი ცხვირში მცემდა, როგორ არ მიყვარს როცა მავლიძებენ!

— რა გინდა, ვერ დამაძინებთ? — და ისევ კედლისკენ გადავბრუნდი.

— ადექი და საპარკმახეროში გადადი, გაიპარსე, ოთხზე უკვე იქ უნდა ვიყო, ბაზარშიც უნდა გამეგზავნო, კარტოფილი, კვერცხი, მაკარონი, ეგეთი რაღაცეები მინდა და იქნებ ჩვენც გავგელო, თან შენებმაც ნახავდი... კიდევ დათვერი გუშინ, არა? ერთი სარკეში ჩავახედა, რას გავხარ.

— ოოო, მეზარება, ასე რომ წამოვიდე? — გაგიჟდი? ბევრი დეიდაშვილი გყავს?

მივხვდი, უნდა წამოვმდგარიყავი თორემ დაინყებოდა: "გოგო გათხოვდა, თან როგორ გელოდება, სამჯერ დარეკა, აუცილებლად მოვიდესო, ისე შენც რომ გეფიქრა ცოლზე კარგი იქნებოდა, მაგრამ მაშინ ვინ დალიოს, სუსთაა ლოთი ხარ, შვილიშვილი მინდა."

— კარგი, კარგი, ვდგები, — ვთქვი, გავიხმორე და მიმოვიხედე. ჩემი დახეული ჯინსები ძირს ეგდო, სვიტრი — ლოგინზე, ნასკები — ვაზაში. ეტყობა გუშინ მაგრად დავთვერი. სამსახურში ვსვამდით ბიჭები და...

— ჰა, იცი რას იცვამ? — მკითხა დედამ.

— ცისფერ საროჩკას, ჯინსებს და ტოფსაიდერებს, — ვუპასუხე, ლოგინიდან წამოვდექი და ჩაცმა დავინყე.

შემდეგ აბაზანაში გავედი. საშინელი ბული იდგა, ყველგან სივარტის ფერფლი ეყარა, ონკანიდან ჩამოვარდნილი წყლის წვეთი წკაპუნით ეცემოდა დაჟანგულ რაკოვინაზე. ეტყობა ჩემმა ძმამ დამასწრო შემოსვლა. სახეზე წყალი შევისხი, სარკეში ჩავიხედე, იქიდან ოცდაექვსი წლის ახალგაზრდა კაციც ნაცვლად, გაბურძნული, დანაოჭებული და თვალეზამღვრეული უცხო სახე შემომყურებდა. "ნუთუ ეს მე ვარ?" გავიფიქრე ჩემთვის და როდესაც მარცხენა ლოყასთან ნაცნობი შრამი შევამჩნიე, წლების წინ მუშტის ერთი დარტყმით რომ დამაძო ჩემმა კლასელმა აფხაზავამ, გულზე მომეშვა, რადგან მივხვდი, ნაღდად მე ვარ და ჩემს უბერებელ კბილის ჯაგრისზე პასტა წავუსვი.

აბაზანიდან გამოსულს, მაგიდაზე ჩაი დამხვდა, ხრუპუნით დავლიე, შემდეგ ჩემი გაცრეცილი მხვანე ქურთუკი შემოვიგდე მხრებზე და კიბზე დავგევი. ხის საფეხურები აუტანლად ჭრჭუნებდნენ, აქა-იქ სივარტის ნამწვები ეყარა, სიბნელეში შემოჭრილი შუქის სვეტებში მტვრის ნაწილაკები ირრიადა, სადარბაზოს ბოლოში შუქი მოჩანდა. გავედი და პირდაპირ სა-

პარკმახეროსაკენ დავიძარი. კარები უხმაურად გაიღო, იატაკზე სხვადასხვა ფერის თები ეყარა, კედლები სექსუალურ და პანტენ პროვის მეშვეობით თმების მოცულობა გაზრდილ მოდელების პლაკატებს აეჭრებინათ. არ გამიმართლა, არტურა დაკავებული იყო, ვიღაც ჩასუქებული, ჭალარათიანი ბიძის თავს დასტრიალებდა ძერასავით. ესე იგი დამერხა, ბადრია ორმოცდაათი-ორმოცდაათზე მერგო, მარტო ეგ იყო თავისუფალი. ბადრია, ჩვენი უბნის პარკმახერი გახლდათ, ხოლო ეგ მეტსახელი იმიტომ შეარქვეს, რომ არავინ იცოდა რას იზამდა, შეიძლება ძალიან მაგრად გაეკრიჭე, მაგრამ შეიძლება გაეუბედურებინე — ორმოცდაათი-ორმოცდაათზე. მაგან მე და ჩემ ძმაკაცს, ხოსეს გვიქნა?! ახალ წელს სახლშიაც ქუდი შევხვდით ორივე, მაგრამ როცა სხვა არ არის, რას იზამ.

— ვააა! ვააა! კაკიე ლუძი! — თქვა ბადრია ორმოცდაათი-ორმოცდაათზემ, უურნალი ტახტზე დადო და ფეხზე წამოგდა.

— აბა, შენ იცი ბადრი, ქორწილში მივდივარ და არ გამაუბედურო, — ვუთხარი და შრეკი-2-ის კატის მუდარით საესე მზერა ვეროლე.

— რას ამბობ, ტო, ისე შეგჭრი, თვალი ვერავინ მოგწყვიტოს.

აი, ზუსტად მაგის მეშინოდა. — როგორც ყოველთვის მოკლედ, უკან ხაზი არ მინდა, — და სავარძელში ჩავჯექი.

ბადრიამ "მაშინკა" აიღო.

— პროექტი რომ დაიხურა, იცი? — მი-თხრა არტურამ.

— რომელი პროექტი?

— აი, ზნამენიტი ქართვლები.

— რატომ? — გამიკვირდა.

— რატომ და საპატრიარქომ ასე თქვა, წმინდანების ოჩერედში დაყენება არ შეიძლებაო, იმ დღეს იყო გადაცემა.

— რა სისულელეა! არა და კარგი პროექტი იყო, შეგეჭამეს თავისი ნესებით, — გავბრაზდი მე.

— მაგ წესების გამო არა მაქვს მოსვენება, — ჩაერთო უცებ ჭალარათიანი ბიძის თავი, არტურა რომ დასტრიალებდა, — საავადმყოფოში ვმუშაობ მორიგე ექიმად და უნდა ნახო, იქ რა ხდება, თუ მძიმე ავადმყოფი ქრისტიანია, მაშინ აუცილებლად მამაოს მოუყვანენ, პარაკლის გადაუხდინ, თუ მუსულმანია, ცხვარი მოყავთ, ლამის იქვე დაკლან, არის ერთი ამბავი, ტირილი, ლოცვა. მოკლედ გუშინ ლამის ცვლაში ვიყავი, ორი საათია და დააკაკუნეს. გაეადე. ვიღაც ტიპი, ამა და ამა ავადმყოფის პატრონი ვარ, სანთლები მოუჭრანო, აბა ეხლა მე მკითხე, ჩემთვის ვიჯექი "შერლოკ ჰოლმსს" ვკითხულობდი, ისეთ საინტერესო ადგილას ვიყავი რომ... მომეშალა ნერვები და გაბრაზებულმა ლამის ვუყვირე: ნაკურთხია-მეთქი? დაიბნა, უნდა ვაკურთხევიყო? აბა არ-მეთქი, ვუთხარი გაბრაზებულმა. კარგით, კარგით, ბოდიშო, მითხრა და წავიდა. მე წიგნს დავუბრუნდი. ერთ საათში ისევ დააკაკუნეს, ის იყო. აი, ინებეთ ვაკურთხევიყო და რაღაც კარდონის პატარა ყუთი მომანოდა, დავხედე და გავშრი, თურმე ზუასილის სანთლებია.

ხარხარი ამივარდა. იქეთ არტურა ყროყინებს, აქეთ ბადრია.

— ერთი ის გამაგებინა, ვინ უკურთხა?

— თქვა ჭალარათიანი ბიძის თავმა.

მერე გავჩემდით, ბადრიამ მართლა მაგრად შემჭრა.

— ისეთი ხარ, გოგოები მოგიპარებენ, — მითხრა არტურამ წამოსვლისას და მე მაგრად გამეხარდა.

პრიოსკა მზად იყო, ახლა, ბაზარი რჩებოდა. მეტროში ჩავედი და ნახევარ საათში სადგურზე ვიყავი. ნაცნობმა, უბერებელმა ხმამ ჩვეული დალილი ტემბრით გამოაცხადა: "ვაგზლის მოედანი, გადასასვლელი მეორე ხაზზე, გთხოვთ, განათავისუფლოთ ვაგონები", მეც ჩამოვედი და მიმოვიხედე, არაფერი შეცვლილიყო, ჭუჭყიანი კედლები, დაბღვერილი ხალხი, ნაბიჯების ხმა, ელამი დედაშვილიც ძველებურად მღეროდა ფანდურზე, "საყვარელო ჩემო დედის", წინ კიდევ ისევ ის ჭრელი ხევსურული ჯვრით მოქარგული ქუდი ედოთ, რომელშიც მეც რამდენჯერმე ჩამიგდია ხურდა. ექსკალატორს ავყევი, მაღლა ამოვედი და ვგრევე ჩვენი ქუჩისაკენ წავედი. მეორე წელი მიდიოდა რაც აქეთ არ გამოვსულიყავი, ჩვენ ქუჩაზე, თორემ ისე, სადგურზე ერთი ათასჯერ მაინც მომინია ყურყუტი და სოფლიდან გამოგზავნილი ნობათის ლოდინი, მაგრამ ძველი სახლისაკენ არ წავსულვარ, რაღაც არ მინდოდა, ახლა კი თვედორე მღვდლის ვინო ქუჩაზე ვიდექი, რომელიც ხალხით და მანქანების გრძელი რიგით იყო გადაჭედელი, ფეხების ბაკა-ბუკი, სიგნალები, გინება, ბოშების ყვირილი, გამყიდველთა ომახიანი შეძახილები. მინის ტარასთან პავლიკა მომესალმა, როგორც ყოველთვის მხიარული შეძახილით: "გაუმარჯოს ჟიგიტებს" და როგორც ყოველთვის მთვრალი. პავლიკა, ჩვენი უბნის ერთ-ერთი უძველესი მითი იყო, ლეგენდა, რომელიც ამ ძველი და ახლა უკვე სანახევროდ დანგრეულ მინის ტარასთან ერთად გაჩნდა ჩვენს მიყრუებულ ქუჩაზე. მას ყველა იცნობდა, დიდი თუ პატარა, ყაჩაღი თუ პოლიციელი, მღვდელი თუ გამყიდველი. გამწვლელ-გამომწვლელი მხიარულად ესაღებებოდა, მაგრამ სინამდვილეში მასზე არავინ არაფერი იცოდა. მაგალითად, არავინ იცოდა, სად დაიბადა, ან როგორ მოხვდა აქ, პავლიკას ამაზე ლაპარაკი არ უყვარდა, თითქოს არც ახსოვდა, როცა ასეთ რამეებს კითხავდნენ, სადაც სხვაგან გაიხედავდა და სხვისი ხმით გიპასუხებდა:

— კინბუტუს ქვეყანაში, როდესაც მესამე ვარსკვლავი ჩამოვარდა.

ასევე არავინ იცოდა, რამდენი წლის იყო, რადგან პავლიკა არ ბერდებოდა, იგი ჩემს ბავშობაშია, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც უბნის ბიჭები აქეთ-იქეთ დავრბოდით და დამალობანას ვთამაშობდით, ზუსტად ისეთივე იყო, როგორც დღეს — დაბალი, გამხდარი, ცხრებში მოხრილი, გამელოტებული, დიდი მხვირთა და თავით, ძველი, ილიეში გამოხეული რუხი პიჯაკით, რომელიც ზამთარ-ზაფხულს გაუხდელად ეცვა და ძველისძველი, ოდეს-ღაც, ყავისფერი ფეხსაცმელებით, არც ერთი ნაკერი რომ არ ასძრომოდდა და როგორც დღეს, მაშინაც ყველას უკვირდა, როგორ დაათრევდა ეს უცნაური კაცი თავისზე სამჯერ უფრო მძიმე, ბოთლებითა და ათასი სხვა ხარა-ხურით დატვირთულ, უზარმაზარ და ჩემთვის ასე ნაცნობ ურიკას, რომელზედაც ისევე როგორც წლების წინ, დღესაც ხშირად დაინახავდით, მხიარულად შემოსულებულ პატარებს, ომახიანი შეძახილებით, ზღვასავით რომ მიმოვბუნდნენ ჩვენს ნაცრისფერ ქუჩას, ზღაპრული ქვეყნებისაკენ მიცურავდნენ და როდესაც გაისმოდა სიხარულისაგან მწყვილით ამოვარდნილი, მორიგი პატარა მეკობრის ბრძანება "პავლიკ, მარცხნივ! პავლიკ, მარჯვნივ!" ბებერი ბოცმანის ჩამქრალი თვალები წამით განათებოდა, მაშინ ისიც მაგრად ჩასჭიდებდა "გემის" საჭეს ხელს და ძლიერად დასძახებდა "ცოტა კიდევ გამაგრდით ბიჭებო და მესხის მაღლმა საღამოს ფლინტის დამარხულ ოქროს ზოდებში ვიცურავებთ!"

— პავლიკას სიცოცხლე, როგორ ხარ, ჯანიანო? — ვკითხე და ხელი ჩამოვართვი.

— ძველებურად, დავხრიგინებ აქეთ-იქეთ და ვარ, — მიპასუხა მხიარულად.

— ჩვენი ბიჭები რას შევბიან?

— ეგენიც ეგრე, ჩემსავით.

— რა ვა ხარ, შე ჩემვა? — მომესმა უკნიდან. შეგბრუნდი, ვახუნა იყო, ჩემი ბავშობის ძმაკაცი, რამდენი ხანია არ მენახა, სახეზე რაღაცნაირი გაცრეცილი შპალერის ფერი დასდებოდა თორემ ისე, ისევ ის ძველი ვახუნა იყო მხიარული და ყველაზე მასხარა კაცი დედამინის ზურგ-



ზე, როგორც ადრე ვეძახებო. ორ ყავარ-ჯენზე დაყრდნობილი იდგა, მარცხენა ფეხი, რომელიც გადახვეული ჰქონდა, პაერში აენია და ნასკიც სანახევროდ, ფეხის თითების დასამალად წამოეცვა.

— რავი ვაარ, შენ? — ერთმანეთს ჩავეხუტეთ. — რა დაგემართა? — ვკითხე და ფეხზე ვანიშნე.

— არაფერი, მაგრად დავეთვერი, სახლში გავეჭედე, ოთახის კარების შუშა ჩავამტვრიე და ქუსლიან კოჭამდე გადამეჭრა, ოცი ნაკერი დამადეს.

— ჰოდა, ხარ ეხლა ადნანოგი სილვერ-ივით, ჯიმ ჰოკინზილა გაკლდა და აგერ არ განდა, — ჩაერთო პავლიკა და ალბათ ამაზე არც აპირებდა გაჩერებას, მაგრამ ვახუნამ გაანყვეტინა.

— ძმობას გაფიცებ, წამო, ხაზბისთან შევინიოთ, რამდენი ხანია, არ მინახიხარ. ამას ცოტა ხნით მოგპარავ პავლიკ, ხარამო? — ამ სიტყვებზე შებრუნდა და ჩვენს უკან მდგომ მანქანას ანიშნა რალაცეები ხელებით.

მანქანიდან ორი, კიდევ უფრო გაცრეცილი შპალერის ფერი ტიპი გადმოვიდა და გამოგვყვა. ეზოში საკუთარი სახლის კიბეებზე ვახუნას დედა და დეიდა ისხდნენ, მივედი მივესალმე, მერე მოვბრუნდი და იქაურობას დავეუწყე თვალთვლება. მაღლიდან ძველებურად დაგვყურებდნენ დაღვრემილი სახლიდან, ხის კიბეებიც ძველებურად ჭრაჭუნობდნენ და ეზოს შუაგულში ჟანგის, ხავსმოკიდებული ონკანიდანაც ისევ წვეთავდა წყალი. მოკლედ, ერთი შეხედვით აქ არაფერი შეცვლილიყო, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. უცხო ამას ვერასოდეს შეამჩნევდა, აი, მე კიდევ ვიცოდი, რომ ბავშობის დროინდელ მხიარულ შეძახილებზე: "ხაშ-ხინკა-ლა თელაურო! დალაქხანა სიღნაღურო! ბიჭო და ველისციხური!" მეორე სართულიდან აღარ გადმოიხედავდა ბებერი, ჩემი ბავშობის ძმაკაცი, ვინც წლების წინ, ერთ ბნელ ღამეს მანამისის საფლავზე მოიკლა თავი საკუთარი მკაროვით. აღარც ჭაღარათმანი და მუდამ მხიარული აისორი, ჟორიკა ამოძვრებოდა საიდანაც ძველის ძველი: "ი აჩ ყე ი ბიბიანე ჩა ი ბე მიჩაჩუ" — ით და აღარც მაღლიდან დაგვყვრიდა ქოქოლას გაივი მარგო, საკუთარმა შვილმა რომ ჩაახარა ასათიანზე სამოც წელიწად, აი, ონკანიდან კავთავ წყლის წვეთები ისევ წვეთავდნენ და ალბათ სულ ინვეთებენ.

— რას დამდგარხარ ქალაქში დაკარგული ბავშვივით, — მომესმა ვახუნას ხმა.

— აქვსენტიჩი და მისი ვოლგა სადღა არიან? — ვკითხე.

— აქვსენტიჩი მოკვდა, ვოლგა კიდევ მაგის ბიჭმა, თაზომ, გაყიდა იმავე კვირას. აქვსენტიჩი ჩვენი მეზობელი იყო, მაგისი მწვანე ვოლგა კიდევ ბავშობის კომმარი, წამით რომ არ გვაძლევდა მოსვენებას. მანქანა ონკანთან ახლოს, ლამის ეზოს შუაგულში, ყველაზე კარგ ადგილას იდგა, როგორც სახანალო ნაძვის ხე და სათამაშო მოედნის საუკეთესო ნაწილს იკავებდა, არც მანამდე და არც მაგის მერე, არსად მინახავს პატრონს ასე ყვარებოდეს ჯართის გროვა, როგორც აქვსენტიჩს. ყოველ დღე რეცხავდა, აპრი-ალეზდა, თავს ევლებოდა და არავის აკარებდა, შვილსაც კი, ჩვენ ხომ საერთოდ აკრძალული გვქონდა ბურთის თამაში. მე არ მახსოვს, აქვსენტიჩს ცოლისათვის ყვავილები ეწუქებინოს, ან შვილებისათვის თავზე გადაეხვას ხელი, მარტო მანქანას დასტრიალებდა მზრუნველი დიასახლისივით. მერე აქვსენტიჩი ავად გახდა, ჯერ ფეხი ათირია და კოჭლობა დაიწყო, მერე ერთი ყავარჯენი მოიშველია, მერე მეორე, მერე შვილები ამოიყენა გვერდში, თანდათან სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებოდა ეზოში, ახლა თურმე მოკვდა, მანქანა კი, რომელსაც მთელი ცხოვრება შეჰხაროდა, იმავე კვირას გაყიდა მისმა საკუთარმა შვილმა.

— როდის, ტო? — ვკითხე თითქოს ჩემთვის.

— მეონი მესამე თვეა, რავი არ მახსოვს, შემო, შემო, — მითხრა ვახუნამ, კარები გააღო და შიგნით შევედი.

ოთახში ნესტისა და სიგარეტის სუნის იდგა, მაგიდაზე ზეთიანი პარკები, ქალაღდები და არყის ცარიელი ბოთლები ეყარა, ეტყობა გუშინ სტარიკებმა მოილხინეს. ამ სახლის პატრონი, ხაზბი ოსი იყო, რომელიც აი, იმ არეულ პერიოდში დაიკარგა სადღაც, სახლიც უპატრონოდ დარჩა და იქ ხელად დაიდეს ბინა უზნის უსაქმურებმა, მერე ჩვენც წამოვიზარდეთ და... რაც აქ ლუდი დალუღა და თევზი

შეჭმულა. იმ ორმა, რალაც წამლის შუშები და-აძრო ჯიბიდან და ხელის კანკალით დაიწყო "საქმის კეთება."

— აუ, ერთი ბაიანი გვაკლია, ვერ ვპოულობ, არადა უეჭველი მახსოვს, სამი დავითრიე, — თქვა ერთმა.

— აფთიაქი ხომ აქვია, — ჩაერთო მეორე. სიჩუმე ჩამოვარდა.

— ძმობას გაფიცებ, ფულს მოგცემ და დაითრიე, — მითხრა ვახუნამ და განითლდა.

ჩუმად ვიდექი, არ ვიცოდი რა მექნა, თან არ მინდოდა, იქაც მიცნობდნენ, თან რატომღაც უარის თქმაც მერიდებოდა, ბოლოს გავვიდი, ვიყიდე და უკან დავბრუნდი. ყველაფერი მალე მოხდა, გაიკეთეს და ეგრევე მაგრად შეუყვარდათ ერთმანეთი, მერე ის ორნი წავიდნენ, ვახუნასაც ექაჩებოდნენ, წამოდიო, მაგრამ არ გაყვა, თავიანი მაქვს დღეს, აბა ს ბოგამო, მიაძახა დამშვიდობებისას, მერე მე მომიბრუნდა, წამო გარეთ დავედეთო და ეზოში გამოვედი.

— კიდე მაზაობ, შე ჩემა? — ვკითხე, როდესაც მარტოები დავრჩით.

— არა, რას ვეზაობ, მაგარი ლადაობა ისტორიაა, რატი ხო იცი, ჩვენი, სონი 2-ის ფეხბურთში ყველაზე მაგარი რომ არის უბანი?! მოკლედ, ჩემმა ბრატმა დამირეკა, ვილაც ბავშვი მყავს დაჭერილი, მანხიანზე უბერავს და ვინმე იგროვი გააძრეო. წავიყვანე რატი, მივედი, ტიპი დაგვხვდა, ქერა ცისფერთვალეა, იმენა კოპნია, დაჯდა ეს დასტონის სახით, ჯოისტიკს ეგრევე პირსახოცი გადააფარა და მოდი, ხელი ასლურაინიანი, იმანაც ბაზარი არააო. დაიწყო თამაში, ნარავნად, სადღაც მეოცე წუთი იქნებოდა, ხუთწუთიანებს უბერავდნენ, დაურეკეს ამ ტიპს ტელეფონზე, აილო, კისრით და მხრით უკავია, თან რალაცეუებს ბაზრობს, თან თამაშობს და არ ზეუფლო რატიმ თავით?! ერთი წამითო, უთხრა ამ ტიპმა ყურმილში ვილაცას, მერე მოუბრუნდა რატის და დავაიო, აუ დამცხა, შენ ძმობას ფიცავა-ვარ ისეთ დღეში ჩააგდო, რატი ტიროდა, სამას დოლარში გაგვახვია, — მითხრა, გაცივინა და ამ დროს მე ვახუნას დედას და დედას მოვკარი თვალი, თავისთვის ჩუმად რომ ისხდნენ, ძველ ხის კიბეზე, კიბეზე, რომელზედაც ვინ იცის რამდენჯერ გვირბენია, ბახ! ბახ! მოგაკალი, არა მე მოგაკალის ძახილით, ნიკაპები უკვე მობერებულ ხელებზე დაეყრდნოთ, რომლებსაც ალაგ-ალაგ, როგორც კედელში უეცრად გაჩენილი ბზარები, ისე შეჰპაროვდათ ცისფერი, ამობერილი ვენები და გვიყურებდნენ თავისი დაღლილი და უკვე ყველაფერს შეჩვეული თვალებით, რომლებსაც აღარაფერი უკვირთ და აღარაფერი ახარებთ.

იმ დღეს ყველაფერი იაფად ვიყიდე, ქორნილიც კარგი გამოდგა, პატარძალიც ძალიან ლამაზი იყო და სიძის ყურბამდე გახეული ღიმილიც "ტროგანელი", მეც მაგრად მოვიხიხე და მხოლოდ ერთხელ, სულ რალაცა წამის მყავდით გამიფუჭდა ხასიათი, როდესაც ვილაცა ქუჩის მათხოვრის ჩამომხმარ ხელებს მოვკარი თვალი, ყვავილების გასაყიდად რომ შემობორიალდა რესტორანში.

2002 წლის 14 ივნისი. გათხრები

შს ის დრო იყო, როდესაც ყველაფერი ყელში მქონდა ამოსული, თბილისი, უბანი, ჩვენი ხმაურიანი ძველი სახლი, მშობლები, მეზობლები, ნათესავები და ეგრევე დავთანხმდი. თანაც უკვე მესამე წელი ილეოდა, რაც ქალაქიდან ცხვირი არსად გამეყო და მართლა მაგრად გამიხარდა, როდესაც ჩემმა ძმაკაცმა, რეზომ დამირეკა, რომელთანაც ერთად უნივერსიტეტში ვსწავლობდი და მითხრა, სამეგრელოს ერთ სოფელში გათხრებია, ხალხი გვჭირდება და რამდენიმე თვე თუ გცალია წამოდიო. ეგრევე ჩავლაგდი, თბილისი-ფოთის მატარებელს დაეახტი და გამთენიისას უკვე სენაში ვიყავი, სადაც რეზო დამხვდა და ერთ პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზ სოფელში წამიყვანა, ადრე დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი რომ ყოფილა, დიდი გალავნებითა და ციხე-სიმაგრეებით.

არქეოლოგები ქვის ორსართულიან სახლში ვცხოვრობდით, რომელიც ძველი ციხესიმაგრის გალავანს შიგნით აქმენებინა ბატონ სოსოს, ადამიანს, რომელსაც წლების წინ წამოეწყო მთელი ეს ამბავი. "გათხრები" - ასე უწოდებდნენ იქაურები ამ ტერიტორიას - სოფლის განაპირას მდებარეობდა და იქ, ჩვენთან ერთად ადგ-

ილობრივი მოსახლეობაც მუშაობდა. მე ჩასვლისთანავე მივიღე ცოტა ფული, სამუშაო იარაღი, ძველი ჟანგისანი "ლეჟანკა" და საქმეს შევუდექი.

არ იყო ძნელი. როდესაც კარგი ამინდი იდგა, ვთხრიდით და ვეძებდით. ვპოულობდით კიდევ რალაცეებს, უმეტესად თიხის ჯამებისა და დოქების ნამტვრევებს, ერთხელ ოქროთი ნაფერი სამაჯურიც ვიპოვეთ, მაგარი ისტორია იყო. მთელი დღე ვიმუშავეთ, უკვე საღამოვდებოდა და მზეც ჩასვლას იწყებდა, როდესაც მინის გროვამი რალაცამ გაიბრწყინა, დავინახეთ და მაგრადაც გავვიხარდა, მაგრამ ყველას იქაურმა მეთევზემ, მარადიმ დაგვასწრო, ორმოში ჩახტა, მინა ხელით ამოიჩქნა, ის რალაც ზურგს უკან, მუჭში დამალა, მე მომიბრუნდა (ამ ჯგუფს მე ვხემძღვანელობდი) თვალები ემშაქურად აუციმციმდა და მკითხა.

— გამომინერ პრემიას? გამეცინა.

— მანახე და თუ მართლა კარგი რამეა, მერე გამოგინერ.

— ჯერ გამოგინერ და განახებ, თუ არ განახო, დედას ფეცავარ მამინ.

რა უნდა მექნა? გამოვუნერე, თან ბევრი ვიცინე, მანაც მუჭი გახსნა და მომანოდა. სამაჯური იყო, თანაც ოქროთი ნაფერი, ძალიან ლამაზი, ირმებიანი ორნამენტით.

მოკლედ, კარგი დღეების განმავლობაში ვთხრიდით, უამინდობის დროს კი ჩვენს ორსართულიან ქვის სახლში ვიყავით შეყუჟულები, იქაურ "თაფლის" არაყს ვურტყამდით, რომლითაც უხვად გვაპარავებდა მარადი და თუმცაღა ნამდვილად ჰქონდა თაფლის გემო, მაინც ძალღიანი გვიკვირდა, რატომ იყო ასეთი "გრადუსიანი" (თაფლის არაყი ხომ მეტნაკლებად რბილია) და რატომ ჰქონდა ასეთი საშინელი პახმელია.

ამ კითხვებზე პასუხი, უკვე წამოსვლისას, თავად მარადიმ გაგვცა, რომელმაც გვითხრა, რომ ეს არაყი სულაც არ იყო თაფლის, ძველი ტელეგრეიკებიდან დაეწურა მამამისს და უკვე შემდეგ არომატის მისაღებად დაემატებინა, რამოდენიმე ლიტრა თაფლი.

ჩვენი საჭმელ-სასმელი უზრუნველყოფის საკითხი ჩაბარებული ჰქონდა იქაური მუზეუმის (იმ სოფელში მუზეუმაც იყო) დირექტორს, ბატონ ენრიკო ფონსუას. ეს გახლდათ ორმოციოდე წლის უკვე შემელოტებული, დიდთავა და ნითულცხვირა კაცი, რომელსაც ჰყავდა ძმა, დაღვევის, ნარდის და ქალების ღრმა მოტრფი-ალე, ჯოკონდა ფონსუა. მე ყოველთვის მშურდა იმ ადამიანების უკიდევანო ფანტაზიისა, რომლებმაც სადღაც ღრმა სამეგრელოში ერთ შვილს ენრიკო დაარქვეს, ხოლო მეორეს ჯოკონდა.

ერთ საღამოსაც ვწევარ ჩემს ჟანგისან "ლეჟანკაზე" მარადიან "თაფლის" არაყით თავგასიებული და წვიმის წვეთების ხმაურს ვუსმენ. მოვიდა ჯოკონდა. ისეთი მთვრალია — ფეხზე ძლივს დგას, ხან ერთ კედელს ეხუტება, ხანაც მეორეს. ნახევარი საათი ჩვენი სიყვარულის, კაცობის და მეობის (დღემდე არ ვიცი რას ნიშნავს) შესახებ ვილაპარაკეთ, ბოლოს მომბეზრდა და მოდი, ნარდი ვითამაშოთ — მეთქი.

— ვითამაშოთ, მარა რაზე? — მკითხა და ისევ ნაიბარბაცა. ვიფიქრე, ასეთმა მთვრალმა როგორ უნდა მომიგოს მეთქი და...

— რაზე და, ხვალ მდინარის პირას, კაკლის ფოთოლში შემწვარ თევზზე.

— დავაი, კაროჩე, — დამთანხმდა ეგრევე.

დავინყეთ თამაში. მომიგო ერთი, მომიგო მეორე, მესამე, მეოთხე. თევზს ღორის მწვადი მოჰყვა, მწვადს ღვინო, ღვინოს ხაჭაპურები, გამწვანა რა. თან ისეთი მთვრალია, რომ ქვების გადათამაშება უჭირს, მაგრამ მოსდის. აი, ისე კი არა უადგილო დუშაშები და დუბუშები, არა, რაც უნდა — ზუსტად ის, სე იაქეი? კი ბატონო, ფანჯი დუ? როგორც მეგრელები იტყვიან: "ვარე პრობლემა." მოკლედ, ვარ ერთ ამბავში და სწორედ ამ დროს მოვიდა ენრიკო, ჩვეულებებისამებრ, თავის შავ მარველ-კოსტუმში და წაკაუნა უნაკლედ ვაგარი-ალელები ინსპექტორებში გამოწყობილი (დღესაც არ ვიცი, როგორ ახერხებდა ეს კაცი ისე სიარულს, რომ იმ ტალახსა და ჭყაპში ერთი ლაქაც კი არ დადებოდა მის "ამუნიციას"). მოვიდა, დაგვხედა, ვყველაფერი გამოიკითხა, ჯოკონდა გვერდზე გაიხმო, რალაცეები უთხრა მეგრულად და ისიც წავიდა. ენრიკო ძმის მაგივრად დაჯდა, ნარდი დახურა და მითხრა:

— რასაა რომ აკეთებ? მაგას რომ უყურებ, მაგის მეტი არაფერი იცის სხვა.

კამათელი ისე ჰყავს მოთვინიერებული, როგორც ნაცნობი მარშუტკის მძღოლი და სადაც უნდა, იქ გააჩერებს.

მე თავი დავეხარე.

— კარგი, ახლა სხვა რამეზე ვარ მე მოსული, ხვალ მარტვილში უნდა წავიდეთ, იქაც უნდათ გათხრების დაწყება, მაგარი პურმარილი გველოდება, ასეთია დაგავორი, პურმარილი იმათი — სტუმრობა ჩვენი. თორმეტზე გავავლო, მარტვილის გამგებელი, პოლიციის უფროსი, მოკლედ, ყველანი იქ იქნებიან და მზად იყავი.

მეორე დღესაც ჩვენ სახლთან თეთრი "მარშუტკა" მოვიდა და მარტვილში წავიყვანა. მაგრად დაგვხვდნენ, ის ადგილებიც გვანახეს, სადაც მათი აზრით გათხრები უნდა დაწყებულიყო, ბოლოს რესტორანში წავიყვანეს, იქ მართლა ძალიან მაგარი სუფრა გაშლილიყო და წავიდა დაღვევა. მაგრამ...

თამადა ენრიკოა, რომელიც ცდილობს რალაც არ უნდა დაუჯდეს, დაათროს მარტვილელი "ბობოლები", ვინც ცალ-ცალკე ალბათ ას ოცდაათ კილომდე იწონიან და შარვლის პირველი ლილები აქვთ შესხნილი, თავისუფლად რომ სვან. ქუთაისური "გელათია", მხოლოდ ერთხელ რომ ჩამოისხა მგონი და რამოდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეინირა.

ენრიკო სადღეგრძელოებს იძახის და ჭიქებს სულმოუთქმელად სცლის, არც მარტვილელები ჩამორჩებიან. მე კიდევ სულ თამადას ვუყურებ და მიკვირს.

რამდენჯერ დაგვიღვია სოფელში ერთად და ყოველთვის ხუთ ჭიქაში "გატოვი" იყო, ახლა კიდევ ჩემი გამოთვლებით, ორ ლიტრაზე ბევრად მეტი დალია და კიდევ იქაჩება.

და როდესაც ადამიანის თვითდაჯერებული ბოლოს, მისი ფსიქოლოგიური შესაძლებლობების დღემდე ამოუცნობი პოტენციალის თეორიები შემკრობილი ალტა-ცებული მთვრელები თამადას, უეცრად ფეხზე სისველე ვიგრძენი, სუფრის ქვეშ ჩავიხედე და რა დავინახე?! გუბე, ნამდვილი, დიდი ღვინის გუბე. თურმე რა ხდება: ენრიკო წინასწარ მოლაპარაკებია მეორეჯერ, ანუ ოფიციალტს და ყოველი დაღვევისას ის ეგრეთნოდებულ "სტენკას" უკეთებს, ხოლო ეს ღვინოს ჩუმად ძირს ღვრის, მარტვილელებს რომ მოერიოს, მაგრამ მაინც არ გამოსდის, როდესაც ყოველ დაღვევაზე "სტენკის" გაკეთება სახიფათოა, შეიძლება დაინვას, ამიტომაც ერთი ათი ჭიქის დაღვევა მაინც უნებს და უკვე ყველასათვის შესამჩნევად ბარბაცებს. აი, მარტვილელებს კიდევ არაფერი ეტყობათ, ბოლომდე სცლიან ჭიქებს და უკვე ყანებზეც იწვევენ, საიდანაც ღვინოს ვერ გადაღვრი და ენრიკოს ნელ-ნელა ერხევა, უკვე უჭირს ფეხზე წამოდგომა და ლაპარაკი, ძლივს აბრუნებს თავს, გუბეც იმდენად გაიზარდა, რომ მაგისი ქვეშ ველარ ეტევა და სწორედ ამ დროს ერთ-ერთი მარტვილელი ფეხზე დგება, ჭინჭილას იღებს ხელში და ამბობს:

— ამ ჭიქით ხელმოვირდ მინდა ჩვენი თამადა დაგვოლოცო, გაგვიმარჯოს ენრიკო პატონი, ჯგირო ორდა დო ირო ორდა, ღმერთმა დიდი ხნის ჯანი მოგცეს და სულ ასეთ სუფრებზე გეთამადალოს. ალავერდი შენთან ვარ ჩემო ძმაო, — მეუბნება, ჭინჭილას თავისი დოქიდან მივსებს, მანვდის და თვალს მიკრავს.

მეც, რაც შეიძლება ხატოვნად ვცდილობ ენრიკოს დალოცვას, შემდეგ ჭინჭილას ვიყუდებ და უეცრად ხარხარი მივარდებ. წვენი, ხალხო, ასკილის წვენი! თურმე ეს ჩათლახებიც მოლაპარაკებია მერიქიფეს, ოცლიტრიანით ასკილის წვენი მოუტანიათ და მთელი საღამო იმას სვამენ. თვითონ ორგანიზმები დაინმინდეს, დაისუფთავეს, ხოლო საცოდავი ენრიკო მოკლეს "გელათის" სმით.

მარტვილელებიც ხარხარებენ, ჩვენც, მერიქიფეც, მხოლოდ ენრიკო ზის ჩუმად. — აბა, რა გეგონა ღვინოს რომ აქცევიდი ჩუმ-ჩუმად, ენრიკო პატონი? — სიცლით ეკითხება ერთ-ერთი.

— მომჭერი ხომ თავი ამოდენა ხალხში, შენი დედა მოგეყან, — უეცრად ყვირის ენრიკო და მერიქიფეზე იწვეს, მაგრამ იმდენად მთვრალია, რომ წამოდგომა უჭირს და მხოლოდ გინებასლა სჯერდება.

რამდენიმე საათში "მარშუტკაც" მოდის, ჩვენ მხიარულად ვემშვიდობებით მარტვილელებს, მანქანაში ვჯდებით და სიმღერ-სიმღერით მივდივართ სახლში, ხოლო ნამდვილ მოქიფეს არაფერი ესმის, მძღოლის მხარზე ჩამოუღია თავი და სძინავს.



შალვა საბაშვილი

მივლინარ შორათს

შენ ისევ თრთი და კანკალებ, გულო! და მოჩანს მთიდან გზა უსასრულო. ხსნას ითხოვს სული და ფიქრთა ნაწილს მარადიული წვიმები აწვიმს. არა ჩანს კაცი, რომ ეგრძნოს ჯერაც ჩემი წარმტაცი ხმების სიმღერა. ვინ უსმენს იმედს? შორს რჩება განძი. მე გავიღიმებ და ვკეცავ მანძილს. სული ამძლავრებს თანდათან ვულკანს; მივიღივარ. მგზავრებს ვიტოვებ უკან. . .

ღრუბლები

ინათებს. ქრება. ისევ ინათებს. ჯანლია. წვიმა. ცივა. ბურია. აღარ ვიხსენებ დღეებს წინანდელს, შორს წასვლა მინდა. ვფიქრობ. მწყურია. ბრაზით შევცქერი ტყვიისფერ ღრუბელს, ცრის. არე-მარე თითქოს დაობდა, ვგრძნობ, გამოუთქმელ სიტყვებს აგუბებს სევდა, რომელიც დიდხანს დაობდა. სველდება არე. არ არის ქარი და არც ფოთლები, რომ ქარმა სდიოს, ვინ მოიგონოს მზიანი დარი, ცა ვინ იხილოს, გზა ვინ ეძიოს? მე ველარ ვარკვევ სურვილებს ჩემსას, ვარ გულმოსული. ცივი და მწყრალი, აღარ ვახსოვარ, წყლულს არა კემსავს და არ მეძახის შორი მწვერვალი. რა დამრჩენია! იმ ხმებთან ერთად, რომლებიც გაჰქრნენ ზამთრის მოსვლამდე, უნდა ვითმენდე ტკივილებს ველთა და სულსაც ქუფრი ფერით ვმოსავდე. იმ ყვავილებთან, რომლებიც მოკვდნენ, უნდა ვიცადო. ზეცა სცრის. მცივა. ვინ მეტყვის ახლა, თუ რატომ მოგვდევს ცივი ქარები? ან საით მივალთ? რუხი ღრუბლიდან ეშვება წვიმა მსხვილ და იშვიათ წვეთების სახით, მოწყენის ფარდა გადაიჭიმა და რალაც ისმის. მე თუ მეძახით? არა, მე მიმძიმს ჩემი გაგება, ნუ სტირით: მდელოვ, სახლებო, მთებო! შინაგან ფიქრთა ამოლაგება არავის უნდა. რა ვიოცნებო? ამ წუთებს სულის ამბოხი ჰქვია, ზეცამ ქვითინი რომ შეურია, ჩანყობილია ღრუბლებში ტყვია. ჯანლია. წვიმა. ცივა. ბურია.



გაზაფხული

ნაწვიმარ დილის და სიანკარის შეგრძნება მკვეთრი; შორს, შორს მობნეულ მწვერვალთა ჯარის ფერები თეთრი!

ერთომა, რომ ცდილობს მე დამისახოს გრძობათ კრებული, და თეთრი ნუში, სადღაც გზის ახლოს აყვავებული.

შეჭხამებიან სიმები სულის ფრინველთ გალობას, როგორც არასდროს, ვგრძნობ გაზაფხულის უშუალობას.

ჰეი, ფიქრებო, წავიდეთ ველად! ამგვარ სახებით ჩვენ მომავლისთვის მარად უცვლელად შევინახებით!

აღდგენის ფიქრით არის მოცული ყველა ნარგავი, ამგვარ დღეებში არ არის სული დასაკარგავი!

ხოლო შორეულ ჰანგების ქროლა გრძნეულ კრებულად უკვე მაუწყებს, რომ ჩემი ლტოლვა აცხადებულია.

ნაწვიმარ დილის და სიანკარის შეგრძნება მკვეთრი, შორს, შორს მობნეულ მწვერვალთა ჯარის ფერები თეთრი! . .

ქალები აპრილში

აპრილმა მაინც სხვაგვარად იმეტყველა: გაზაფხულობით მშვენიერია ყველა.

ეს ჟამი კვლავაც ყოველ ჟამს გაამქრქალებს, უცხო სიზმრები შემოსჯარვით ქალებს.

სულ სხვა ღირსებით — მღელვარედ, თანაც მშვიდად, მოდიან, ჩქეფენ; ბრწყინავს სივრცენი შიდა.

კარგად იციან — სდევთ ზეციური ვალი: უნდა მოგვხიბლონ, უნდა მოგვტაცონ თვალი.

მათ ისეც ხშირად ლურჯ ტყვეობაში ყვავართ, მოვიდნენ ჩვენი სულის მოსანუსხავად.

როგორც ღინებში, მათში სამყაროს ვხედავთ, შორეთში მიმსწრაფთ დავემსგავსებით მხედართ.

თვალნი — დამთქმელნი, თრობის აღმთქმელი მკერდი, თმა — ჯუნგლი, სახე — წიგნთა ურიცხვი გვერდი;

ყელნი — შვლისებრნი, რხევა — სხვა მხარეთ მაცნე. . . თქეშებს ამნაირთ ვით გაუძლებენ კაცნი?

სამჯაო

მოვედით — წინარე განზრახვის გარე, თითქოსდა მცინარე დაგვიხვდა მხარე. ურიცხვი გალობა ისმოდა შტოდან, ბოსტნების გადასწვრივ სინათლე თრთოდა. მზიური გარემო აფრქვევდა ღიმილს, ბადებდა ცისარტყლებს სვეტები წვიმის. ვინც დაგვხვდნენ, ეს მოსვლა იამეს დიდად, მძაფრი სიყვარულით სუყველა გვზრდიდა. გავიდა ნეტარი ბავშვობის ჟამი, მერე შევეგებეთ სხვანაირ ამინდს. და ცვლიდა როდესაც დღე დღეს და მზე მზეს, სულ უფრო მძიმე ტვირთს გვადგამდნენ თხემზე. თანდათან კითხვებზე პასუხი შეწყდა, შუქს ველარ ბადებდა ანთება ცეცხლთა. ჩვენი სურვილები უსაგნოდ თვალეს, სესხი არ აგველო — ითხოვდნენ ვალებს. ვინც გვიხმო აქ მოსვლად, თანდათან, ნელა, ქედებს და მწვერვალებს მიჰფარდა ყველა. დღეს კორდებს უცნობი ღვართქაფი ხრამავს, არავინ არ ამბობს, რა ჰქვია ამას. რა ვუყოთ? რა გვსურდეს? ვიაროთ რისკენ? რა მივცეთ ღამეებს? რა ვთხოვოთ ცისკრებს? რა ვუთხრათ მათ, ვინაც ჩვენს მერე მოდის? ვინაა მპოვნელი სამყაროს კოდის? რაც მოხდა — ვერაფრით გაუქმდეს უკვე, არ ჰყავს ხმის გამცემი მთხოვნელს და მწუკველს. ჩირგვებში ხანდახან შლივინებს ქარი, სხვა, მეტი მსმენელი არავინ არი. ნავილოთ რა განძი? დავტოვოთ აქ რა? რომელმაც დაგვბადა, ის მხარე გაქრა. ხოლო თუ გვესიზმრა, ვით ლურჯი ელვა, სიზმრამდე ვინ იყო, ვინც ახლა ჩვენ ვართ?

ეტყობა, მაგიერ ახსნის თუ შევლის, წინ რალაც დიადი მისტიკა გველის. მალე კი — დავკარგავთ კეთილსაც, ავსაც, აღარც ჩვენ ვიქნებით, რომ კითხვა დაესვათ, მოვედით წინარე განზრახვის გარე, მაცდურად, წარმტაცად ბრწყინავდა არე. . .

მასა

შინაგან უსასრულობით გაბუნდოვნებულს ბინდივით, თავისი უსახურობით მასა გაქელავს ინდივიდს.

ფიქრნი ლურჯ სევდად ავკონე, იმედის ძებნით ნაჯაფნი, ღირებულების არმქონე მასა თვითეულს დაჯაბნის.

ის არ ცნობს სულთ ეულობას, ცივია უხეშ საკნისებრ, ის ებრძვის უჩვეულობას, ის ებრძვის გამონაკლისებს.

მწვერვალთა მზერას უჩვევი, მეხობტე სხვა მატარებლის, მას მოსწორება ურჩვენის მძლავრ ფოცხის გადატარებით.

საუკუნოვან ტაბლაზე ყველაფრის გადახავსება. . . მასა თვითეულს აბლაგვებს ერთმანეთს დასამსგავსებლად.

არმცნობი კრძალვა-რიდების (მენდეთ, არ ვიცნობ შორით მე!) ცალკეულს ვერასდიდებით იგი ვერასდროს მოითმენს!

მელოდიის ფრთავით

ფერთა მტკიცე ფარი, ფართა მტკიცე ფერი, უცხო ზღურბლზე მდგარი ახალ მოტივს მღერი,

ვალთა შორი ველი, ველთა შორი ვალი, ხარ სიღრმეთა მმხელი და მათითვე მთვრალი.

გონის დიდი განი, განის დიდი გონი, რას გეტყვიან სხვანი, არც გაღვლებს მგონი.

ტანის ნაზი ტონი, ტონის ნაზი ტანი, ირხვევიან რტონი, იშლებიან ფრთანი.

მასევე შორი მესა გრძობათ უცნობ მასივს, მისებურად მგესლავს უსტარები მასის.

ზღვა ნაღველმა ჰქეცა თრთვილად მთრთოლი გული, სულ სხვა გახდა ზეცა ნისლის მცირე ქულით. . .

მხოლოდ მწუხარებას

ჩაიქროლა ცივმა ქარმა ისევ და შეკრთა გული მწარე წამთა შესმით, ბედნიერი ვერ შეიგრძნობს სხვის სევდას, იგი მხოლოდ მწუხარებებს ესმით.

მიილია, მიინისლა მზე ბურით, სიხარულთან აღიმართა ღობე, ყოფის ტალახს ვერ გრძნობს გამარჯვებული, ამას მხოლოდ დაცემულნი გრძნობენ.

ის, რაც დადნა, ვერაფრით გაამყარო, გზა ვერ დაგლის, თუა უაღმართო, რა ცივი და კუშტი არის სამყარო — განწირული იგრძნობს ამას მარტო. . .

ფერები და ჰანგები

ფერის ფარფატი. ფარული ფორმა. ფერადი ფირი. სტვენით მომართვა სტუმარმა შორმა მტირალა სტვირი. განათდა განი. აცეკვდა ზეცა. ანივლა წვიმა. სრიალა სული სიშორეს წენავს სისინა სიმაღ. მითების მთები. ალვების ელვა. ქარვათა ქარი. ვარდების ვარდნა ღელეთა ღელვად მოქნეულ ქნართი კანკელთ კანკალი. კაშკაში კოშკთა. სევდის სევადი. მომსკდარმა ღვარმა შეკუმშა კომშთან ხევი რხევადი. ფართო ფარდაგი. შემომესია ხმა მესიათა. უსმენს არფა ტივს. კოცონის კოცნა. ღამე. სიათა. შრილებს შვრია. ზეიმი ზემო აღწევს მიწამდე. ხმაურად მოხვალ, სიჩუმეზე ჩემო, — არ გამინამდე! გრძნეული ძნების ძნელი ძიება. აბრწყინდა წამი. მომელის ველთა მოშველიება ღრუბლიან ღამით.



მაია წყნეთელს სული შეუფუტდა. ინფორმაციურ მოულოდნელმა ცნობამ თავზარი დასცა. ცნობა მართლაც შემადრწუნებლად ჟღერდა. დიქტორ ლევიტანს თითქოს ხმაც კი გაეზარა, წამის მერვედით აუკანკალდა, პირველად სამამულო ომის დაწყების დღიდან (ყოველ შემთხვევაში, მაიას ასე მოეჩვენა):

— მილიტარისტული იაპონია საბჭოთა კავშირს მუხანათურად, ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს! მტერმა ისარგებლა მოულოდნელობით და ცხარე, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ დაიკავა შემდეგი პორტები და დასახლებული პუნქტები: ვლადივოსტოკი, ნახოდკა, პეტროპავლოვსკ-კამჩატსკი ხაბაროვსკი, უსურიისკი და ტრანსციმბირული მაგისტრალით გაიჭრა ნოვისიბირსკისაკენ! წითელი არმია უმაგალითო გმირობას იჩენს და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავს მშობლიური მიწის ყოველ მტკაველს! შორს არაა დრო, როცა დუშომდგარ, ცოფიან კვანტუნის არმიას კუდით ქვას ვასროლინებთ!

მაიამ ტურზე იკბინა. საზიზღარი, წყეული, ვერაგი მილიტარისტული იაპონია! საყვარელ სამშობლოს ყველაზე უფრო მძიმე, საბედისწერი ფამს ჩასცა ზურგში მახვილი, მუხანათურად დაესხა თავს სწორედ მაშინ, როცა გერმანელ ფაშისტთა ურდოები მოსკოვს უახლოვდებოდნენ! მაშ, ციმბირული დივიზიები ველარ დაიცავენ ქვეყნის გულს?! ველარ დაიცავენ საყვარელ ამხანაგ სტალინს?!

კომკავშირელი მაია წყნეთელი სწავლაშიც მოწინავე გახლდათ, სამხედრო და ფიზიკურად დასრულებული იყო, თვითგანათლებლასაც ეწეოდა და ამხანაგებსაც უშუაღველად ეხმარებოდა — კომუჯრედში ყოველ პარასკევს საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკასა და საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებდა. განსაკუთრებით, სასიქადულო ბელადის, მთელი პროგრესული კაცობრიობის მესაჭის, იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ბრძნულ ეროვნულ პოლიტიკას უსვამდა ხოლმე ხაზს რუდუნებით. ამხანაგი წყნეთელი მეტისმეტად კარგად ერკვეოდა საერთაშორისო ვითარებასა და ბრძოლის ველზე არსებულ რთულ მდგომარეობაში, რომ ვერ მიმხვდარიყო, თუ რას მოასწავებს შორეულ აღმოსავლეთში მეორე ფრონტის გახსნა.

მაიას თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ არა, ახლა ტირილის დრო არ არის! ფრონტზე უნდა წავიდეს! დღესვე! ახლავე!

სანამ ჩითის კაბას იცვამდა, ერთადერთმა, ოჯახის მარჩენალმა კოჭლმა ძროხამ ისე საწყალობლად დაიზმუნა, მომხედო, გულმა ველარ გაუძლო, ბოსელში შეიბინა, წინსაფარი აიკრა (ერთადერთ გამოსასვლელ კაბას გაფრთხილება უნდოდა), ჩამოწველა, მოხუც, ლოგინად ჩავარდნილ დედას თბილი რძე მიართვა,



ირაკლი ლომოური

სტალინი სარდაფში

(პარალელური საქართველოს ქრონიკებიდან)

და სამხედრო კომისარიატისკენ სწრაფი ნაბიჯით გასწია შემართულმა.

დღესვე უნდა ჩაენეროს წითელ არმიას! რადაც უნდა დაუფდეს! სანიტრად მაინც წაიყვანონ! მაგრამ ყველაზე კარგი იქნება, თუ სწრაფობას ანდობენ! ანკი რატომ არ უნდა ანდონ? მშო-ს ნორმატივები თავის კლასში ყველაზე უკეთ მან არ ჩააბარა? მცირეკალიბრიანი შაშხანიდან ნოლელა სროლისას ათიდან ცხრაჯერ მხოლოდ მან არ მოარტყა „ათიანში“?!

ოო, რა სიხარულითა და სიამოვნებით გაუღელეს მომხედურს, გერმანელი იქნება, იაპონელი თუ ესპანელი „ციფერი დივიზიდან“! (რატომღაც ერთხელ დაესიზმრა, რომ ახალგაზრდა ესპანელ ფაშისტს ებრძვის ცხენდაცხენ. აი, გულში გორდა ხმალი ჰკრა, მიწაზე დასცა... მომკვდავ ესპანელს ერთი სიტყვა აღმოხდა მხოლოდ, „ენა...“ მაია დაიხარა და შუბლზე აკოცა).

კომისარიატთან თანასოფლელების რიგი დახვდა. მოხუციც მოსულიყო, ქალიც, ბავშვიც და ხეიბარიც — მის წინ რიგში ჩომბახა პაპა იდგა, პირველი იმპერიული სტრუქტურის ომის ინვალიდი, ცალფეხა კაცი...

მაგრამ ყველაფერი ამო აღმოჩნდა, მაია არ წაიყვანეს — ჯერ ათწლედი დაასრულე და მერე ვნახოთო. თუმცა სანამ შენ სკოლას დაამთავრებ, მანამდე ომიც დამთავრდებაო, ჩაიციხა ბიძია ბუხუტიმ, სამხედრო კომისარმა, რომელსაც მაია კარგად იცნობდა. იმ ზაფხულს, არდადეგებზე, სამხედრო ბანაკის უფროსი გახლდათ, სადაც მაია ხელყუმბარის სროლის ხელოვნებას ეუფლებოდა.

მაიას ზურგს უკან დაუდგებოდა, მკლავზე ხელს მოავლებდა და ასწავლიდა, სწორად როგორ მოექნია, რაც შეიძლება შორს რომ გაფრენილიყო ხელყუმბარა და ვერაგი მტერი ნაკუნებდა დაეფლითა, ნაცარტუტად ექცია.

თავიდან მაიას ამ ხელოვნების ათვისება, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა, თუმცა ბევრ თანასოფელელ ბიჭზე უფრო ყოჩაღიც იყო, და ამხანაგ ბუხუტის რამდენიმე დამატებით მეცადინეობის ჩატარება მოუხდა პირადად მისთვის.

მაგრამ არაფერმა გაჭრა, არც ნაცნობობამ და არც ხეინა-მუდარამ. სახლში გააბრუნეს.

გამოვიდა თუ არა მაია კომისარიატიდან, ხალხის ჯგრო სოფლის მოედანზე, სოფსაბჭოს წინ ბოძზე დამაგრებული რეპროდუქტორის ქვეშ შექუჩული დაინახა. სამარისებური სიჩუმე იდგა.

მაიამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ჩომბახა პაპას უჩურჩულა:

— რა მოხდა?  
— რაღა რა მოხდა, შვილო, — ამოიგმინა მოხუცმა, — მეტი რაღა უნდა მომხდარიყო, დავიღუპეთ... მოსკოვი დაეცა! მაიას თითქოს მყესები გადაუჭრესო, მუხლი მოეკვეთა და უეჭველად წაიქცეოდა, ამხანაგ ბუხუტის რომ არ დაეჭირა ბოლო წამს. თურმე უკვე გაეგო ეს საზარელი ახალი ამბავი და ხალხთან გამოსულიყო სალაპარაკოდ.

— და სტალინი?! სტალინი სადაა?! — აღმოხდა მაიას.  
— ამხანაგი სტალინი საიდუმლო და საიმედო ადგილასაა! იქიდან ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის ბრძოლას!.. ახლა ყველა, ქალიც, ბავშვიც და მოხუციც, ჯარისკაცად უნდა იქცეს! დიდმა სტალინმა საყოველთაო პარტიზანული ომი გამოაცხადა! დამპყრობელთა ფეხქვეშ მინა უნდა ინვლდეს! — მიმართა ხალხს კომისარმა ბუხუტიმ ხმამაღლა, მერე კი მაიას გადაუჩურჩულა, (ხელს აშველებდა ისევ, რომ არ წაქცეულიყო), — შენ კიდევ ფრონტზე გინდოდა წასვლა... ფრონტი თვითონ მოვიდა შენთან, სულელი გოგო!

...მაიამ ვერ გაიგო, სახლში როგორ დაბრუნდა, თითქოს ძილბურანში იყო, ძალიან მაღალი სიციხის დროს რომ იცის ხოლმე. მთელი გზა მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა: „სარდაფში უნდა ჩავიდე.“

ეზოში შეაბიჯა და უცებ მსუბუქად გაუკვირდა, რატომ უნდა ჩასულიყო სარდაფში, განა საჭაერო განგაში იყო გამოცხადებული?

სარდაფში ჩავიდა, კარი შეაღო ისე, შუქი არ აუნთია და უცებ იგრძნო — სიბნელეში ვიღაც არის, ვიღაც მშობლიური, ძლიერი, საიმედო... ცხვირში მაგარი თუ-თუნის სუნი ეცა.

მაია კომკავშირელი კი არა, სოფლის ტლუ გოგო რომ ყოფილიყო, იფიქრებდა, გარდაცვლილი მამის აჩრდილი გამომეცხადო, მაგრამ კომკავშირელი იყო და დანამდვილებით იცოდა, მატერია პირველადია. მატერიის გარდა არაფერი არსებობს — არც ღმერთი, არც ეშმაკი, არც სული და არც მოჩვენება...

სარდაფში შეაბიჯა (გულადი გოგო გახლდათ), აკანკალებული ხელით გაჰკრა ასანთს და იქვე თაროზე დამაგრებული სანთლის ნამწვი აანთო. როცა თვალი მქრქალ შუქს შეეჩვია, სარდაფის სიღრმეში ჯმუხი მამაკაცის სილუეტი დალანდა, სამხედრო ყაიდის ფრენჩი, გალიფე შარვალი და ჩექმები ეცვა.

— მომიხლოვდი, — უთხრა კაცმა და მაია თავისდაუნებურად მუხლზე დაეცა.

მის წინ სტალინი იდგა!  
— არაფერი მკითხო. — გააგრძელა სტალინმა, — მე აქ ვარ იმიტომ, რომ ასე სჭირდება საბჭოთა ხალხსა და ჩვენს მომავალ დიად გამარჯვებას. გასაგებია, ამხანაგო წყნეთელო?

მაიამ ხმა ვერ გაიღო.  
— ახლა ნადი და თბილი რძე მომიტანე. მაია წამოხტა, არა, კი არ წამოხტა, წამოფრინდა, კარს ეცა.

— თუ ვინმე გკითხავს, სტალინი სად არის, უთხარი, არ ვიცი, არ მინახავსო, — დაადევნა ოსებ ბესარიონის ძემ და მწინილით საეჭ კასრზე ჩამოჯდა.

ასე გაიბინა ერთმა თვემ. მტერი საქართველოს მოადგა. თანაც ორივე მხრიდან: დასავლეთიდან — გერმანელები, აღმოსავლეთიდან — იაპონელები. წითელმა არმიამ ორ ფრონტზე ვერ იბრძოლა, ნელში გატყდა, დაიქსაქსა, დაიშალა და პარტიზანულ მოქმედებაზე გადავიდა. მთელი ქვეყანა მტრის ხელში აღმოჩნდა.

ქართლ-კახეთი კვანტუნის არმიამ დაიკავა, დასავლეთ საქართველო კი — ვერმანტისა და ესესის ნაწილებმა. თბილისი და შემოგარენი (მათ შორის, დაბა წყნეთი) თავისუფალ ზონად გამოცხადდა, რაც ნიშნავდა, რომ ამ, ვითომ თავისუფალ, ზონას ერთობლივად აკონტროლებდა გერმანელი და იაპონელი მტარვალი. ესპანელების ნაწილიც კი დადგა სოფელში.

ოკუპანტებმა ადგილობრივი ხელისუფლება ჩამოაყალიბეს — გუმინდელი კომისარი ბუხუტი სოფლის თავი და მთავარი პოლიცია შეიქნა.

ოო, როგორ სძულდა, როგორ ეზიზღებოდა იგი მაიას!.. უეჭველად გადაუნვადა სახლ-კარს, ღამით მიეპარებოდა და ცეცხლს შეუკეთებდა, მაგრამ სარდაფში სტალინი ჰყავდა! ამიტომაც ბუხუტისგან ყველაფერს ითმენდა: ლოყასა თუ გავა-ნელზე მოურიდებელ მოთათუნებასაც და თვალის ჩაპაჭუნებასაც, მაგრამ როდესაც შესთავაზა, წამოდი, გოგო, ჩემს ცოლთან მოახლედ დადექი, არც საქმელსასმელი მოგაკლდებათ შენ და დედაშენს, და არც ღამიანი ფარჩა კაბები და ქალაღიები, აიღო და სილა სტკიცა.

დაიჭირეს. პარტიზანობაზე.  
— სად არის სტალინი?

დაკითხვას გერმანელი მაიორი აწარმოებდა. გვერდით იაპონელი მაიორი ეჯდა (ოღონდ ხმას არ იღებდა). ესპანელი მაიორი არ ჩანდა. ბუხუტი თარჯიმნობდა. თურმე გერმანული წყალივით სცოდნია. მაია ამან ისე გააოცა, წამით ყველაფერი გადააიწყდა: შიშაც და ტკივილიც — ენას კბილს აჭერდა მთელი ძალით, რამე არ წამომცდესო. პირში სიმლაშე იგრძნო. ეტყობა, ენიდან სისხლმა გამოყოფა.



— სად არის სტალინი? — მხოლოდ ამ ერთ კითხვას უსვამდა გერმანელი, თითქოს გრძნობდა, იცის...

დაკითხვა დღე და ღამე გრძელდებოდა, ერთი კვირის განმავლობაში, უწყვეტად. არ უცემიათ, მაგრამ საჭმელს არ აძლევდნენ, წყალზე და ხმელ პურზე ჰყავდათ (მხოლოდ ერთხელ ბუხუტიმ საკანში ტკბილი ქადა მალულად შეუტანა).

ერთი კვირის თავზე კი ბუხუტიმ გერმანელ მაიორს რაღაც უჩურჩულა, მერე კი იაპონელსაც გადაუღაპარა, კა ისე, თითქოს ეჩხუბებოდა.

„იაპონური საიდანლა იცის?“ — მსუბუქად გაუკვირდა მაიას.

დიდხანს იბჭეს. ბოლოს, ეტყობა, შეთანხმდნენ. ბუხუტი ადგა და მაიას გამოუცხადა:

— თავისუფალი ხარ. ნადი სახლში და მოიფიქრე, როგორ იცხოვრო და რა გააკეთო... რა არის კარგი შენი ქვეყნისთვის და პირადად შენთვის. მოიფიქრე და მერე შენი ფეხით მოდი ჩვენთან. დაგელოდებით, არ გვეჩქარება. საქართველოს მომავალს შენისთანა პატრიოტი, გულანთებული ახალგაზრდები სჭირდება.

...მაია მთვარეულივით მიბორიალობდა ქუჩაში. თანასოფლელები რატომღაც არ ესალმებოდნენ — ყველა გვერდს უქცევდა, თვალს არიდებდა.

მაია სარდაფის კარს მიადგა, აკანკალებული ხელით შეხსნა ბოქლომი, ასანთი აანთო და შვევით ამოისუნთქა, სტალინი ადგილზე იყო!

ტაბურეტზე იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა.

მაია მივიდა, მუხლბეჭში ჩაუვარდა. სტალინმა ამრეზით გაითავისუფლა ფეხი.

— რატომ გამოიგვიშვეს?  
— არ ვიცი...  
— მე ვიცი. იმიტომ, რომ იმათიანი გახდი, გიყიდეს.

— არა, არა!  
— ქადა ხომ შეჭამე? ტკბილი?

მაიამ ხმა ველარ ამოიღო. თავი ჩაქინდრა და მწარედ აქვითინდა.

— დღეს ქადა, ხვალ ქალაღია... მერე კი უცებ გაგახენდება, რომ თურმე გცოდნია, სად არის სტალინი... საკუთარ სარდაფში!

— ამხანაგო სტალინი! — შეჰკვივლა მაიამ.  
— მე აღარა ვარ შენთვის ამხანაგი, ყოფილი კომკავშირელი მაია... იმაზე საერთოდ აღარაფერს ვამბობ, ესპანელი ფაშისტების ყაზარმის წინ რომ დასერილობდი... თითქოს ვიღაცას ეძებს თუ ელოდება ქალბატონიო... არა, ესეც საკმარისია. ერთი ნაბიჯილა დაგრჩენია. იცი, როგორ უნდა ჩამოირეცხო სირცხვილი? გამოასწორო შეცდომა?

მაიამ თავი დაუქნია. სტალინი ადგა, ტაბურეტს ფეხი წაჰკრა, მიუწინასავით, და თოკი მიანოდა. მაიამ მარყუჭი გააკეთა, ტაბურეტზე შედგა და მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ ჭერში კაუჭი არა აქვთ. აიხედა — კაუჭი აღმოჩნდა.

„როდის გააკეთეს?“ — მსუბუქად გაუკვირდა მაიას და ზედ თოკი ჩამოაბა. სარდაფში ჭერი დაბალი იყო და ამიტომ თავდახრილი მუშაობდა.

— განაჩენი შენ თვითონ გამოუტანე შენს თავს, მაია წყნეთელო, ყოჩაღ, — უთხრა სტალინმა, — და იცოდე, საბჭოთა ხალხი უძლეველია, რადგან ყოველ სარდაფში თითო სტალინი ზის!

იოსებ ბესარიონის ძემ უღვაშზე ხელი ჩამოისვა, ჩაიღიმა, ჩაილაპარაკა:

— კობა მაგარია... — და ტაბურეტს მსუბუქად ჰკრა ფეხი.



ზაზა გოგია

# ორი ლიტერატურული „ავტობიოგრაფია“

## ციკლიდან — „მტრები პორტრეტისათვის“

გივი სულაკაური

„რას ამბობ, ჭამა დიდი ბედნიერებაა!“ — მეუბნება ამხანაგი და მეც გულწრფელად მეცოდება საკუთარი თავი, ასე მარტივად რომ ვერ ვხსნი ასეთ მარტივ ამოცანებს („ბედნიერება“).

გივი სულაკაურის ამ ორნიშნადებიანი მოთხრობა-ჩანახატის ირონიული სამიზნე ადამიანის ბიოლოგიური კმაყოფილების არსია.

„დაგძლიე თუ არ!“ — ამ სიტყვებით ილიას „განდევნილი“ ხორცი შეჰყიფინებს სულის უძღურებას.

უფრო ადრე პლატონი ნერს „ფედროსში“, რომ სული სხეულში მოხვედრისას ირყენება და იხრება უწესრიგობისაკენ.

სულისა და ხორცის, ფსიქიურისა და ბიოლოგიურის, ქცევისა და ანტიქცევის პრობლემა სამყაროსათვის ძველია, მისი ექსპერიმენტული კვლევა-ძიება — შედარებით ახალი. ეთოლოგიის (ცხოველთა ქცევის შემსწავლელი დისციპლინის) ბურჯი კონრად ლორენცი თვლიდა, რომ ცხოველური ქცევის კანონზომიერებანი ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების სფეროებზეც ვრცელდება. „ფსიქოლოგიურ მოცარტად“ ნოდებულ ლევ ვიგოტსკის კი რეალურად მიაჩნდა ბიოლოგიურ და ფიზიკურ ანომალიათა ფსიქოლოგიური საშუალებებით აღმოფხვრა. მან ანომალური ბავშვთა ფსიქოლოგიური სკოლაც კი დააარსა, რომლის არსებობა დღემდე აღმოჩნდა, ვინაიდან საბჭოური აღზრდის მიზანი კლასობრივი შეგნების დანერგვა იყო და არა — ჯანსაღი ფსიქოსოციალურისა. ამის შემდეგ მეცნიერმა დაკვირვების ობიექტად ნიშანი (სიტყვა), ენა, უმთავრესად კი ლიტერატურის ენა, აქცია, რომელიც გონივრულად რეაგირებს კულტურის ნებისმიერ გამოწვევაზე. ამ აქტში შიდა თუ გარეგანი მიზანბუნებულთა ენერგია სიგნალებად გარდაიქმნება. თუკი კულტურის ფორმა მოუზღადავებელია მათ მისაღებად, ძველიდან ახალზე ევოლუციური გადასვლის პროცესი ინელბა

ფენებს შორის უნდობლობა, პოლიტიკური ცნობიერების გააქტიურების ხარჯზე კულტურის მოდუნება, საშუალო და უფროსი თაობების ინტელექტუალური პოტენციალის გამოუყენებლობა, ნაკლოვანი ცოდნის სახელისმაძიებელთა აღზევება, უწყებრივი ცენზით ზნეობრივის გადაფარვა, უცხოელთათვის ექსტერიორული უფლებების მინიჭების პარალელურად საკუთარი ხალხის აბუჩად აგდება.

გივი სულაკაურის მოთხრობების კრებული „მე და ჩემი ლიზა“ ჩვენი კულტურული სხეულის წყლულებს აშიშვლებს. კულტურის ენა მხოლოდ დიადი ქმნილებებისა და ქმედებების ენა არაა. იგი გარემოს ენაცაა, რომელსაც ყველგან შევხვდებით — ქუჩაში, კაფეში, „სპარტაკის სალუდში“ თუ „ასირიელი ალიბეგას“ დახლთან. მასთან გაშიზნაურება პერიფერიულ ხედვასა და ოფიციალური კულტურისათვის არატიპურ მოვლენათა მიღების უნარს მოითხოვს

ახალგაზრდებში „ძველები“ ხშირად გალიზიანებას იწვევენ. მაგრამ ყველა თეზისს აქვს ანტითეზისიც. „თუ ჩვენი ნაწერები არ მოგონს, უკვე კარგია, ე. ი. რალაც ემოციები გამოუწვევია შენში — ასე ამიხსნა ერთხელ ოტიაშვილი“, — იხსენებს გივი სულაკაური. თაობათა დიალოგში ოტიაშვილი კორიას კორექტული, ამასთანავე ბრძნულად გათვლილი, სვლა ალტაცებს ამსახურებს. უკიდურესი პოლარიზაცია დამლუპველია. კრიზისის ძღვეის პროცესი უმტკივნეულოდ მიმდინარეობს და კულტურაც ეფექტურად იცავს თავს, როცა მოდერნიზებულ და აპრობირებულ პროექტებს თვითგამოყვანების თანაბარი შანსი ეძლევა (უყვარვის დრო თავად მოიცვლება).

ინტენცია საგნის გავრცელებული მნიშვნელობისგან განსხვავებული ინდივიდუალური ხედვაა, რომელიც სუბიექტის ასაკის, გამოცდილებისა და ინტელექტუალური სიმდიდრის კვადაკვალ იცვლება. მოთხრობაში „ბელადების მარში“ ლიფტში გაჭყდილი ავტორი ბავშვობაში ამოყოფს თავს. 1961 წელი. საქართველოს ხრუმჩოვი და ფიდელ კასტრო სტუმრობენ. პომპეზური დახვედრები, მისასალმებელი სიტყვები და ტრანსპარანტები, სკოლიდან სადგურის ბაქნებზე აყრილი მონაფეები. „რა კარგად იწყება „ზემი““. გართობას და თამაშს არაფერ გვიშლის, თეთრ-ნიტელი ტრანსპარანტები თვალსა და გულს გვიხარებს, ბელადების ვეებერთელა პორტრეტები ალერსიანად გვიღიმინ, რეპროდუქტორიდან მხიარული მარში იღვრება.

დროთა განმავლობაში ჰეროიკული ჟანრული „პანო“ კარიკატურული იცვლება, ოქტომბრელის სამკერდე ნიშნიდან მომღიმარი ოქროსკულულებიანი „ვარსკვლავიჭუნა“ — „ბრტყელთავიან ურჩხულად“. წინა ეპოქის ნიშნებში ახალი შინაარსის მიკვლევა ნარმატების სანინდარია, როცა პოსტკულტურას ნგრევის გარდა შენებაც ეხერხება, მხოლოდ მიმღები კულტურის დამამცირებელი როლით არ კმაყოფილდება, პოლიტიკური ელიტა კი საზოგადოების ნების ანუ საკუთარი მოვალეობების კეთილსინდისიერი შემსრულებელია. თუკი იგი ყრუა ხალხის ნებისადმი და ინტელექტუალური ცენტრის ფუნქციასაც თვითნებურად ითავსებს, იკარგება დროის შეგრძნება, იგეგმება და ხორციელდება მდარე ეპიგონური პროექტები. მზრუნველობას მოკლებული ლიტერ-

ატურა, ხელოვნება, მეცნიერება უსახსრო და ღირსებააყრილი ინტელექტუალური ელიტის სამეურვეო ხდება.

ადამიანთა კულტურული საცხოვრისი, სულიერი თუ მატერიალური თავშესაფარი არის სახლი. მაგრამ იგი ზედმინევენით არ ემთხვევა ჩვენებური ფუძისა და კერიის ცნებას ან ინგლისელთა „ჩემი სახლი ჩემი ციხე-სიმაგრეა“ პრინციპს. ქართველი კორპორაციული ცხოვრების წესს ინდივიდუალურზე არანაკლებ აფასებდა, სახლის ისტორიული არსიც შიდაოჯახური ურთიერთობებით არ ამოიწურებოდა. ამის დასტურია თბილისური ეზოები (რატომლაც იტალიური რომ შეარქვეს), დასავლეთ საქართველოში სამეზობლო კარები, უცხოობის ელემენტს რომ აქრობდა, აღმოსავლეთში ურთიერთმიჯრილი სახლები, შემოსეველებისა საერთო ციხე-სიმაგრედ რომ იქცეოდა. ამ კომპონენტთა აგლომერაციას დიდი საერთო სახლის, სამშობლოს იდეასთან მიეყვართ, რომელიც ხშირად სახელმწიფოს იდეის თანაფარდი არ არის. სამშობლო ურთიერთნდობაზე აგებული მსგავსა ერთობაა, სახელმწიფო — პოლიტიკურ ძალაზე დამყარებული განსხვავებულია ერთობა. საქართველო სახელმწიფოებრიობის დაკარგვის ხანებშიც მრავალი არაქართველისთვისაც სამშობლოდ რჩებოდა. მონობის გაფურჩქვნის პერიოდში საჭირო გახდა სამშობლოსა და სახელმწიფოს ცნებათა გაერთიანების შედეგად. ნომადურ ტომთა ასიმილაცია იოლად ხორციელდებოდა, ტრადიციული კულტურებისა — გაცილებით მძიმედ. მგლისა და ცხვრის ბედნიერი თანაცხოვრების მითის გასამტკიცებლად ზრუნვის იმიტაცია ნამდვილ ზრუნვას უნდა დამსგავსებოდა. ამიტომ „დიადი აღმშენებლის“ ტემპები გაათქვამდა: „აშენებდნენ ახალს ანუ ყველაფერს: საცხოვრებელ ხრუმჩოვკა სახლებს, საავადმყოფოებს, სამინისტროებს, ტრესტებს, კომუნისტებს. თვით ადამიანსაც კი აშენებდნენ. ერთადერთი, რასაც ვერაფერს უხერხებდნენ, კაპიტალიზმი იყო. თუმცა იქ, შიგნით, ღრმად სწამდათ, რომ კაცობრიობის ეს უბოროტესი ურჩხული თავისით გამოიჭრიდა ყელს და აშშ-ს ზეცაც სამუდამოდ ერთადერთ ჭეშმარიტ ფერს — ალისფერს მიიღებდა“ („იქ, სადაც გველოდებოდა...“).

სისტემა ხშირად შეუწყნარებელია ჩვენი მოთხოვნებისადმი. ამ დროს ორმაგი ინსტინქტი იღვიძებს — მორიგებისა და განხეთქილების. მორიგებას კონფორმიზმამდე მივყავართ, განხეთქილებას — პროტესტამდე, რომლის ერთ-ერთი ფორმა თვითდადგინების, საკუთარ ზნეობრივ განანესთან ზიარების „ეკვარისტული“ აქტია. „ღმერთო, შენ შემქმენი, მაგრამ გავკადნიერდები და გეტყვი, მე ჩემი თავი თავად გამოვიგონე, გავწრთვენი და საკუთარ თავს სანავარდოდ კარი თავად გავუღე“ („გოვას გამო“). სანავარდოდ კარის გაღება ზოგისთვის განუსჯელი ცხოვრებაა, ზოგისთვის — თავისუფლების ძიება; „მე და ჩემს მეგობრებს გალაკტიონის ცნობილი ლექსის მხოლოდ ერთი სტრიქონი გვჭირდება — „წყევლისაგან გათავისუფლება“.

ერთი კულტურისთვის მისაღები, მეორისთვის ზოგჯერ მიუღებელია. დროებით დანტეს, ლენინარდოს, მიქელანჯელოს, პაოლო ტოსკანელის, პიკო დელა მირანდოლას, მეცნიერებისა და ხელოვნების არნახული აყვავების ხანის იტალიაში გადავიზაცვლო. მაგრამ იტალია, ამავე დროს, იყო ჩეზარე ბორჯას, ფრანჩესკო სფორცას, გაუმძლარი მედიჩების, სიბილნით განთქმული პაპების სამშობლოც: სამეფოებად, საქალაქო რესპუბლიკებად, საჰერცოგოებად დაქუცმაცებული სხეული. აი, რას ნერს მაკიაველი, როცა ფიზიკურ ეროსიერ ძალთა შეკვრა გახდა საჭირო დასრულდა სხეულის გასამთლიანებლად: „რაც უფრო გულუხვი ხარ, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობა გრჩება მომავალშიც გულუხვობის გამოსაჩენად: გალატაკები და ზიზის ღირსი გახდები. ამ სირცხვილის ასაცილებლად კი მტაცებლობას უნდა მიჰყო ხელი და ყველასათვის საძულველი შეიქმნე. ამიტომ უფრო გონივრულია, შეურიგდე ძუნწის სახელს, რომელიც იწვევს სირცხვილს სიძულვილის გარეშე, ვიდრე მიელტვოდე გულუხვის სახელს და ძალაუნებურად მტაცებლად იქცე, რაც თავს დაგატყვის სირცხ-

ვილსაც და სიძულვილსაც“.

რენენსანსულ საქართველოსაც გადავხედოთ — სულიერი და ფიზიკური ძლიერების ეპოქას. სიუხვე იყო არა მხოლოდ სამეფო დარბაზების, მთელი კულტურული სისტემის ნიშანი. სწორედ ამ დროს დაინერა: „რასაცა გასცემ შენია, რასაც არა — დაკარგულია“. რაც შეეხება ცუდ დროს, ის შეიძლება ხელოვნებისათვის ბიძგიც იყოს და დაბრკოლებაც. XVI-XVIII საუკუნეებში, როცა საქართველო სულს ღაფავდა, დიდი მონდომებით ითხვებოდა უბადრუკი სადეგამირო პოემები, რომელთა პერსონაჟები მსოფლიოს აზანზარებდნენ. ამ დროს კი ქვეყნის მესვეურთაგან ზოგი რენეგატობდა, ზოგიც მტრის მიერ სამადლოდ გამოგდებულ ძვლებსა ხრავდა (რომაულ სატურნალიებსა თუ ქართულ „ყეენობაში“ მეფის მასხრად ქცევის რიტუალი რეალურ ცხოვრებაში ხორციელდებოდა). მაგრამ ამავე ეპოქაში მოღვაწეობდნენ თეიმურაზი, არჩილი, საბა, გურამიშვილი — პოლიტიკურად თუ ვერა, შემოქმედებითად შემდგარი ფიგურები. ძველი სქემები დღესაც მოქმედებს და უფარგის დროც მწერლებსა უფარგისობაზე არ მეტყველებს.

გივი სულაკაურის ხედავს ეფექტურია ცხოვრების არაესთეტურ მხარეთა გამოვლინებებშიც. მან არ იცის უმნიშვნელო გმირი, ულამაზო ქალი, მანქანა, რომელიც ფულით იმართება (გობსეკის სიტყვებით); არ იცის ულმობლობა — მხოლოდ იუმორი და თანამგრძობი ორონია, ხშირად — თვითორონია; უყვარს ქალაქი, უბანი, მეგობრები, უყვარს სმა, ძალიან უყვარს ნიგნი, განსაკუთრებით ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“; ვერ მოუწონებია მამის, ოტიას, ბიძინას დაკარგვა; არ უყვარს პირფრეები, მედიდურები, არც უფროსი თაობის „ნარცის ბუმბურაზები“, არც მომავალი „უნიჭიერესი ნარცისები“; არ უყვარს ვალეს სამხედრო ნაწილი, ოფიცერი მანველოვი, არ უყვარს „ზერკალ-ნაია ბოლენი“, როცა ღიპიანი მამაკაცები საკუთარი სხეულის ინტიმურ ნაწილებს მხოლოდ სარკეში ხედავენ, არ უყვარს მძიმე დეკორაციები, მაგრამ არც სიცარიელე უყვარს; ფართსა და სივრცეს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, მთავარია, ადამიანებით იყოს შევსებული, უმჯობესია — თანამოაზრეები. სპარტაკის ლუდნანაში „დანიელი ურისთან“ ერთად ისეთ პრობლემებსა წყვეტს, კაცობრიობამ დღემდე რომ ვერ გაართვა თავი; განსაკუთრებით გალაკტიონი (გალა) უყვარს. ნანყვეტს მოვიტან გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან, რომელიც უნისონშია მწერლის ერთ პატარა მოთხრობასთან:

არის მკითხველი მშვენიერ ნიგნის და არის მხოლოდ გადამკითხველი... მოთხრობას „ბიბლიოთეკა“ ჰქვია:

„როცა უცხო საპირფარეოში, თაროზე, სხვა ნიგნებს შორის საკუთარი ლექსების კრებულს ნააზრებები, ამაზე დიდი საჩუქარი რა უნდა იყოს ჭეშმარიტ შემოქმედისათვის?! შენ ხომ შენი ლექსებით ერთიორად უზრდი და უხალისებ იმ სიამოვნებას, რასაც ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ანიჭებს ჯანმრთელ, ნორმალურ ადამიანს?!“

კიდევ ერთი თვისება — ადამიანის ბედნიერებაზე ზრუნვა. ხუმრობა იქით და მსგავსი „გადამკითხველები“ ფიზიოლოგიური და სულიერი ყაბზობის შეუღლები ნაყოფი არიან (თუმცა, ზოგი პარალიტერატურული ნაყალბევი უკეთეს ხვედრსა და ადგილს არც იმსახურებს).

საქართველოში მოსულთ ყველაზე მკაფიო კვალი თბილისზე დაუტოვებიათ, რადგან თბილისი იყო კავკასიის კულტურულ-პოლიტიკური თუ საეკონომიკური ცენტრიც და საიმედო თავშესაფარიც, შესაბამისად — აგრესიის ობიექტი. ამას დაასტურებს მისი ენობრივი, ეთნიკური და არქიტექტურული სიჭრელი. ასეთია ჩვენი რეალობა. რეალობის შემცვნების საუკეთესო ინსტრუმენტი კი ალექსანდრ ფლორენსკის თქმით, არის სიტყვათა ერთობლიობა (ენა) არა როგორც მხოლოდ სიტყვა, არამედ, როგორც სტიქია. მეცნიერი გადასახლებიდან ქალიშვილს წერს, რომ ენა ქალაღზე გამოტანილ ნიშნებს გარდა აქტუალზედ, ცოცხალ ბგერებსაც გულისხმობს და ხმამაღლა კითხვას ურჩევს. ფლორენსკი ახდენს ორი აზრის შეწყვილებას: ფოსლერისას, რომელიც ენაში ცოცხალ სიტყვას ანიჭებს უპი-



და უწყვეტი ნარუმატებლობის ხასიათს იძენს — ტრადიციაც ირღვევა და მოდერნიზაციაც მძიმედ მიმდინარეობს. მაგრამ ენა მუდმივი განახლების პროცესშია, ამიტომ ახალთან შეხვედრის მოლოდინი ძველთან განშორებისათვის მზაობასაც გულისხმობს. გივი სულაკაურის სიტყვებით, „მამ, მშვიდობით და გამარჯობა ჩემო სამყარო!“ — ამ თვალსაზრისის ემოციური დასტურია. ორივე უკიდურესობა — დროში ჩარჩენაც და ძველის გამობაზე აგებული ნოვაციაც მარცხისთვისაა განწირული. სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ეს ბალანსი დარღვეულია.

განახლების უტოპიური მოდელის შემაფერხებელ ძალად უკუფენა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან იოლი გასათვლელი იყო. კრიზისის მიზეზები საკმარისზე მეტი აღმოჩნდა: ხალხსა და ხელისუფლებას, საზოგადოების



რატელობას და სოსიურისას, რომელიც ენას ნიშნათა სისტემის კონტექსტში განიხილავს.

გიგი სულაკაურის პროზაში ორივე „ენა“ გააქტივებულია. სლენგები, ჟარგონები, ბარბარიზმები ჩვენი დედაქალაქის სასაუბრო გარემოს ენდემური ნაკრძალის მნიშვნელობას ანიჭებს. ქართველი, რუსი, სომეხი, ებრაელი თუ ასირიელი ერთი „ტომის“ შვილები არიან და მტყუან-მართალიც ზნეობრივი ნიშნით განიკითხება და არა — ეროვნული.

სიტყვას იმით დავასრულებ, რომ არჩილ და გიგი სულაკაურებმა თბილისური ყოფის სურათებში უძველესი დროიდან არსებული თუ მოგვიანებით შემოტანილი და გამიზნაურებული ენობრივი მასალით ზოგადქართული სამყაროს ულამაზესი მოზაიკა ააწყვეს.

ზაალ სამადაშვილი

მწერალი საკუთარ სურვილთა მძევალი ვერ იქნება, ვინაიდან იგია ავტორიც, გმირიცა და უზენაისი არბიტრიც მოქმედების იმ „დრამატურგისა“, რომელზეც უხდება ფიქრი და წერა. მხოლოდ ამ შეგნების ფასად იქცევა ცხოვრებისეული ფაქტი ლიტერატურულად. წინააღმდეგ შემთხვევაში, „სადი აზროვნების“ ლოგიკას ამოფარებული უგემოვნობა და არაგულწრფელობა ლიტერატურულ ნაყალბეად უბრუნდება მკითხველსაც და დროც ულმობელია მსგავსი „ნაღვანის“ მიმართ. იდეა რომ იდეალით იკვებება, ამ აზრს თავად ზაალ სამადაშვილი დაგვიდასტურებს:

„ერთმა შესანიშნავმა პროზაიკოსმა თავისი მოთხრობების კრებული მარჯუა ასეთი წარწერით: „უმცროს კოლეგას, იმედით, რომ სულ მალე უკეთეს წიგნს შექმნის თვითონ“. კინაღამ დამლუპა იმ „იმედმა“ და კოლეგად მოხსენიებამ. ერთი წლის განმავლობაში ერთი გვერდის შევსებაც კი ვერ შევძელი ხეირიანად. მან ხომ საკუთარ, ცოცხალი კლასიკოსის დონეზე მომთხოვა საქმის კეთება?“ („სიურეალისტა ძველი თამაშის გახსენება“).

ასეთ „მოკავშირეთა“ გარეშე, შესაძლოა, მრავალი სახელოვანი მწერალი ცხოვრების სტენოგრაფიისთვის თვალსაწიერს ვერ გასცდენოდა. ალბათ, მკაცრი თვითშეფასების ეს ჭია ღრღინდა ლეოპარდის, როცა ამტკიცებდა, რომ თითოეული ლექსი თვეების ფიქრად უჯდებოდა (თუმცა, პოეზიაში ბევრს ტვირის ჭყლეტასა და მედიტაციებზე მეტად მოულოდნელი აფეთქებები იზიდავს).

გიგი სულაკაური და ზაალ სამადაშვილი, ჩემი თაობის ორი გამორჩეული მწერალი, მექანიკურად არ დამინყვილებია. მათი მოთხრობების აზრობრივი ვექტორები ხშირად ურთიერთშემხვედრია და პირობითად მოგონებათა პროზა ან ნოსტალგიური ავტობიოგრაფიები შეიძლება ვუწოდოთ. ამგვარი პირობითობის საფუძველი სამყაროს აღქმის ერთიანობა უფროა, ვიდრე — ჟანრულ-თემატურ ან შინაარსობრივ ნიშნათა მსგავსება. მოგონება საკუთარ თავთან მიბრუნების „საკრალური“ აქტია, სადაც ბავშვობა, ბიოგრაფიული გარემო, ცდუნებათა მახეთაგან თავის დაღწევის გზები, მარცხი თუ გამარჯვებები ტალანტთან ერთად სიმართლით, გულწრფელობით, კეთილგონიერებით იზომება და არა — გულწრფელობის იმიტაციით ან ბუნდოვან დაჭერი „აღსრულებული მწერლური მისილი“. ვინც არააყურმოკვრით იცნობს ზ. სამადაშვილის შემოქმედებას, ეჭვი არ შეეპარება მწერლის „ცოცხალ განცდათა“ სინაფელემი. გულწრფელობის მძლავრი ინდიკატორი კი ბავშვობასთან, წარსულთან, საყვარელ გარემოსთან სულიერი მიჯაჭვულობის ხარისხია.

„სად მიდის ბავშვობა?“ — ეკითხებიან მეგობარ პოეტს.

„ბავშვობა მუდამ ჩვენთან არის, უბრალოდ, ის კარი არ უნდა გქონდეს დაგმანული, რომელიც მასთან გაკავშირებს.“ — პასუხობს იგი და ღიმილით იხედება ჩემსკენ — იმ კარის წამდაუნუმ გამღებისაკენ („ორი მოგზაური“).

შემოქმედებითი გონებისათვის წარსულზე ფიქრი დროის ძალაუფლების განცდაა, „ორისანი“ მწერლისათვის — დიდი დასვენება.

ნათქვამია, ფანტაზიას მოკლებული გონება ნანახს უკეთ იმასხორცებს. ხელოვნებაში ფაქტოლოგიური ფოტოსა-სლენგისადმი უნდობლობის მიუხედავად, ერთი რამ ცხადია — მხატვრული ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის ლიტერატურული ფონის შესაქმნელად მწერალი მისთვის ჩვეულ საგრძობრივ გარემოს ანიჭებს უპირატესობას. ზაალ სამადაშვილისათვის ასეთი გარემო მშობლიური ქალაქია. ყბადაღებული კითხვა, რამდენად პრესტიჟულია თბილისელობა, ვფიქრობ, არასწორადაა დასმული, რადგან პასუხს უფრო მეტად წყველით ნაანდერძე კონტექტურ წარმოდგენებში ვეძებთ, ვიდრე — პიროვნების ინდივიდუალურ არჩევანში; გვაინყვდება, რომ გარემოს პრესტიჟსა და ღირსებას ადამიანი უქმნის, სულერთია — თბილისი იქნება ეს, თელავი თუ პარიზი. სინამდვილის აღქმის გამარჯვებული ვექტორი კი აზროვნებისა და სოციალური ქცევის შეზღუდულ სივრცეში გვაბრუნებს. ერთმა ახალგაზობილი ქალიშვილის მამამ, შეკითხვაზე, როგორი სიძე შეხვდა, მიპასუხა, ვაკელიაო. სოციალიზებული ელემენტი დაუკითხავად ცდილობს ჩვენი ცნობიერების დაუფლებას. სულიერი არჩევნის უნარისაგან დაცლილ პროვინციულ პრესტიჟულად მიჩნეული გარემო (ქვეყანა, ქალაქი, უბანი, ქუჩა...) საკუთარი უმეტესობისაგან დაცულობის „საიმედო“ თავშესაფარს უქმნის. პროვინციალიზმი კი დაბალი ინტელექტუალური კულტურის მაჩვენებელია და არა — კუთხური წარმომავლობისა.

რაც შეეხება თბილისს, მისმა მულტიკულტურულმა დემოკრატიამ, ელიტრობისა და თანასწორობის უნიკალურმა ნახაზმა, ოფიციალური იდეოლოგიისა და ადამიანური ურთიერთობების შინაგანად დამატულება, გარეგნულად — უკონფლიქტო თანამეზობლობამ იტალიურ ნეორეალისტურ ფილმებთან ასოციაცია გაემიჩინა, მაგრამ ზაალ სამადაშვილის ერთ-ერთი მოთხრობაში ამოკითხულმა აზრმა ამ „აღმოჩენის“ ავტორობის ილუზია უმად გამიქარწყლა: „ძალიან მიყვარს იტალიური ნეორეალიზმი. ასე მაგონია, ჩემი ბავშვობა და მამაჩემის ახალგაზრდობა ალბეცდეს ფირზე დე სიკამ, ჯერმემ და სხვებმა. ნეორეალისტური ისტორიებით ისე მაქვს დაბუნძლული ბიოგრაფია, რომ ხანდახან ერთმანეთს მერევა კინოში ნანახი და რეალურად თავს გადახედნილი.“

რეალობისადმი სიბრმავე მომავლის გზაზე კედელიცაა. ისტორია მოგვითხრობს, თუ როგორ ჩაფლეს მინაში იეზუიტმა ბრებმა შიშველი ვენერის ქანდაკება, რათა მის ადამიანურ სილამაზეს ვინმე არ ეცდუნებინა. საბჭოთა ხელისუფლებას ისევე ეშინოდა სულის სიშიშვლის, როგორც იეზუიტებს — სხეულისა. მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და ხელოვნებაში ადამიანისთვისაც გაჩნდა ადგილი. წარსულით დაუშობილები ახალგაზრდა თაობა თანატოლთა ცხოვრების იმ „ჩანვარდნილ“ თემებს მიადგა, რომლებიც თითქოს ან საერთოდ არ არსებობდა, ან ოფიციალური საყოველთაო გაკიცხვის საგნად იყო ქცეული. პირველ რიგში, ეს იყო ქალაქი, ქუჩა, უბანი, როგორც ყმანცილის მამაკაცად ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმძლავრესი კერა. ზაალ სამადაშვილმა ოთხმოციან წლებში, იმ დროს მიჰყო ხელი მწერლობას, როცა ქუჩა თანდათან ჰკარგავდა „საფიხვოს“ ტრადიციულ ფუნქციას (თუმცა, მწერალს ბავშვობის „კაი დროის“ გამოცდილებაც დაგემოვნებული ჰქონდა). მიუხედავად ამისა, ქუჩაში ხელი-სგულზე იყო ყველაფერი, რაც ასე საგულდაგულად ინიღბებოდა დიდი ცხოვრების პოლიტიკაში — სიმართლე და ტყუილი, ვაჟკაცობა და სიმხდალე, ერთგულება და ლალაობა. სამადაშვილის გმირები, ეს ქუჩის „რესპუბლიკელები“ დაშვებულნი თუ აკრძალული ხერხებით იცავენ საკუთარ ღირსებას, ან თავიანთ წარმოდგენას ღირსებაზე, „რომლებსაც ეგონათ, რომ ცხოვრების შეცნობა და მასში ფეხის მოკიდება საკუთარი გამოცდილების გარეშე, ქუჩის გამოცდილების ხარჯზე შეიძლებოდა... თუმცა, ძნელი გახლდათ მათი გამტყუნება, რადგან უმრავლესობა ქუჩაში იმას დაემტობდა, რასაც შინ, ოჯახში ვერ პოულობდა“ („ბაბო დაჭრეს“).

სამადაშვილის ამ მოთხრობაში ყველაზე საინტერესო რეალური ცხოვრების ალტერნატიული კვალაია. ბანაკებზე დაყოფილი ქუჩის „თავისუფლება“ ზუსტად გამოხატავდა საზოგადოებრივ ძალთა იმ განლაგებას, სადაც ერთს ჩაგრავენ, მეორე ჩაგრავს, მესამე ხედავს, რომ უსამართლობა, როგორც წესი, სამართლიანობის ნიღბით დაიარება, მაგრამ გულგრილია. გულგრილი კი დანტემ ჯოჯოხეთშიც არ შეუშვა, რადგან მათი ჩუმი თანხმობით ხდება ცხოვრებაში ყველა დიდი ბოროტება.

„თავისუფლება“ ზუსტად გამოხატავდა საზოგადოებრივ ძალთა იმ განლაგებას, სადაც ერთს ჩაგრავენ, მეორე ჩაგრავს, მესამე ხედავს, რომ უსამართლობა, როგორც წესი, სამართლიანობის ნიღბით დაიარება, მაგრამ გულგრილია. გულგრილი კი დანტემ ჯოჯოხეთშიც არ შეუშვა, რადგან მათი ჩუმი თანხმობით ხდება ცხოვრებაში ყველა დიდი ბოროტება.

ყოველი ჩვენგანი საკუთარ ფასეულობათა სიმადლიდან იცავს მშობლიური გარემოს ღირსებას. სიკვდილმისჯილმა სიკრატემ საპატიმროდან გაქცევაზე უარი თქვა, რათა ათენის სასამართლოს ობიექტურობაში ეჭვი არავის შეეტანა (ფილოსოფოსის ეს საქციელი მისსავე ტელელოგიურ დოქტრინას ეფუძნებოდა, რომ მორალის ღვთაებრივი გამართლება ჩვენივე მორალური ქცევის (ბერძენ მონათა) აჯანყების ჩასახშობად და-

ხმარების ხელი ათენელებმა გაუწვდინეს, ისინი ქალაქში არ შეუშვეს, რათა სპარტულ სამხედრო-არისტოკრატიულ მმართველობას დემოკრატიის ვირუსი არ შეჰყროდა. სწორედ ეს ფაქტი იქცა პელოპონესის ომის თავდაპირველ ბიძგად, რომლის დროსაც პერიკლემ თავისი ცნობილი ფრაზა წარმოთქვა — „ყველაფერი, რასაც ათენელები აკეთებენ, კარგია, რასაც სპარტელები — ცუდი“. უკიდურესი რადიკალიზმის მიუხედავად, ხანდახან ამ ფორმით მჟღავნდება სასიცოცხლო სივრცეზე ზრუნვის თანდაყოლილი ინსტინქტი.

დრო გადის, მიზნები ნაკლებად იცვლება, საშუალებები — მეტად. სამკვიდროზე ზრუნვა კი მარადიულ პრობლემად რჩება. მწერლის კალამიც დროის თანახმიერ კავშირზე გადის, ძველ და თითქოს ნაცნობ სამყაროში საგანთა ახალ განლაგებებს ადგენს (ზოგისთვის მისაღებს, ზოგისთვისაც — მიუღებულს). მწერალი და მკითხველი ამ სცენარში წარმოსახვითი თანამაზრუნე ან მეტოქენი არიან. ჰეგელის აზრით, როცა სხვებზე დაკვირვების საგნად საკუთარი განცდა იქცევა, შემეცნების პროცესი თვითშემეცნების პროცესად უკუიფინება. თუკი მხატვრული ტექსტის შინაგანი ლოგიკა ამ პრინციპს ეფუძნება, ხდება ორი „მოთამაშის“ — მწერლისა და მკითხველის ინტერესთა ნიშნით გაერთიანება ანუ ნდობით აღჭურვილი ავტორი მკითხველის უერთგულეს მოკავშირედ იქცევა. მაგრამ ბანაკებზე დაყოფილი, პოლიტიზებული საზოგადოებაში საყოველთაო ნდობის მოპოვება რთული საქმეა.

პურიტანული შეგნების საფუძველი ადამიანში ბინიერი ბუნების დაუნდობელი მხილებაა, რამაც იგი ღვთითკურთხეული ქრისტიანული სულიერების რევიზიამდე მიიყვანა. რელიგიური ფეტიშიზმის ამ ფორმას — მეორე უკიდურესობა — მორალისა და სულიერებისგან განძარცვა, მისი პოლიტიკური იდეოლოგიზება მოჰყვა. რუსოს ცინიზმი იქამდეც მივიდა, რომ თავისი „ალსარების“ ირონიულ სამიზნედ ნეტარი ავგუსტინეს „ღვთისმოსაობა“ აქცია მის ამავე სახელწოდების თხზულებაში. XVIII საუკუნეში დაწყებულმა ე.წ. „განმანათლებლობის რევოლუციამ“ მოგვიანებით სოცრეალისტურ ხელოვნებაში განვითარების ზენიტს მიაღწია, რომელიც საგანს ხედავდა, მაგრამ არსს — ვერა. ხედვის ასეთ ცალმხრივობას მან „ფორმისა და შინაარსის ერთიანობის“ სარჩული გამოაკერა, რომლის თანახმად, დროშა ნითელი უნდა ყოფილიყო, რელიგია — სანამლაფი, მეფე — ბოროტი, მუშა — კეთილი, ბელადი — ბრძენი და მორსმჭერეტილი... ნიშნათა ნებისმიერი გადანაცვლებით „ჯანრის კანონი“ ირღვეოდა. ჩვენივე უმეტესობის წყალობით, მრავალი მანკიერება ინერციით დღემდე აგრძელებს არსებობას.

ზაალ სამადაშვილი გამჭოლი მწერის, საკუთარი ღირსების მცნობი მწერალია და რეალურ მხატვრულ სახეთა ფანტომური სოციალური ნიღბებით გადაფარვა არასოდეს უკადრია. „უჭრუმთა კასტის“ ეს საკმაოდ გავრცელებული თვისება მის შემოქმედებებში ბუნებას ენიშნაღმდეგება. დღეს, როცა კეთილდღეობის მნიშვნელობის გაგება ასე გაჭირდა, ცხოვრებამ დიდი გამოცდის წინაშე დაგვაცენა. ჩვენი, როგორც მცირე ერის, ყველაზე ხელმისაწვდომი პოლიტიკური კაპიტალი სულიერი წესრიგი, წიგნიერება და ინტელექტია, რომელიც არც მდგომარეობით იზომება,



არც — ძალაუფლებითა და არც — გრძელი ჯიბით. ამგვარი გულისთქმის ნიშნად მესახება მწერლის სიტყვები:

„იქნებ გავისხენოთ ნიკო ფიროსმანაშვილის ნატვრა — ხის სახლში სამოვარის ირგვლივ შემოსხრობასა და ხელოვნებაზე ლაპარაკის შესახებ და შევეცადოთ ლიტერატურული გარემოს შექმნას. იქნებ ვწეროთ ახლად გამოქვეყნებულ ლექსებსა და მოთხრობებზე ისევე საინტერესოდ, როგორც ვწერთ პარლამენტსა და მინისტრებზე, ჯარისკაცებსა და ბანკირებზე...“

ნუ შეგვაშინებს ანგარიშგასასწავლი, მაგრამ მცდარი მოსაზრება — დიდ მწერლობებს დიდი ქვეყნების მრისხნე ზარბაზნები ქმნიანო. გადავშალოთ გეოგრაფიული ატლასი და დავხვედით ნორვეგიას. ამ არცთუ ისე დიდი ქვეყნის ჩვესსავით მცირერიცხოვანი მოსახლეობის გარდა ნორვეგიულად ხომ არავინ ლაპარაკობს დედამიწის ზურგზე? მრისხანე ზარბაზნებიც და უძლიერესი ფლორენტიც ხომ მის მეზობლებს აქვთ და არა მას?! ხომ შეძლო ამ ქვეყანამ ღირსეული ადგილის დამკვიდრება მსოფლიო ლიტერატურაში?!

იქნებ საქმეს შევუდგეთ... გავგამხნოს ატლასებულ ქუჩაში გადაშლილი წიგნით მიმავალმა, ღარიბულად ჩაცმულმა კაცმა, რომელსაც გიჟად თვლიან გამგლელები და რომლისთვისაც მღეროდა ჰომეროსი“ („დავჯერდეთ ქუდის მოხდას მისი უდიდებულესობის წინაშე?“).

ზაალ სამადაშვილის მოკლე ესეის-ტური ჩანახატები ხელოვნებასა და ლიტერატურაზე ცალკე მსჯელობის საგანია. ამ თხზულებებში ფიქრს სიტყვაზე მეტი ფასი ადევს (სიტყვის გამოყენებით მეთაფიზიკურ მნიშვნელობას გვულისხმობ და არა — ლოგოცენტრულს), ვინაიდან სიტყვა ფანტაზიის გარეშე მკვდარი კაპიტალია. ნიცშეს გამონათქვამი, რომ კარგი პროზა პოეზიასთან შეფარული ომი, სიტყვისადმი მომჭირნობასაც გულისხმობს. ეს პრობლემა მცირე ჟანრის თხზულებათა „აქტილესის ქუსლია“, რომელიც ზაალ სამადაშვილს წარმატებითა აქვს ძლიერი.

მწერალი მხოლოდ მკითხველის მოხარკეა, შესაბამისად — მის წინაშე ზნეობრივი პასუხისმგებელიც.

ერთხელ, ლექციაზე დაგვიანებით მისულ შალვა ნუცუბიძეს უნივერსიტეტის იმდროინდელმა რექტორმა, ნიკო კეცხოველმა, მისთვის ჩვეული პირდაპირობით უსაყვედურა — არ იცით, ლექცია როდის იწყებაო?! ბატონ შალვას უპასუხია — როცა ლექციაში აუდიტორიაში შედისო. მწერლის ძალაუფლებაც მაშინ იწყება, როცა იგი კალამს იღებს და მკითხველის „აუდიტორიაში“ შედის. ამ მახასიათებლით სამადაშვილი-მწერალი უდაოდ იბლბიანი შემოქმედი.



გამომცემელი

ქეთევან კილურაძე

# „მკითხველს მრავალ ახალ თარგმანს შევთავაზებთ“



გამომცემლობა „სიესტა“ ექვსი წლის წინ დაფუძნდა. „სიესტას“ ახალგაზრდა პროფესიონალების ჯგუფი მართავს, მცირე დროში მათ არაერთ ნარმატებას მიაღწიეს და ბაზარზე თავისი ადგილი დაიმკვიდრეს. ნარმატების მიზეზი, ალბათ, საქმისადმი დამოკიდებულებაა. გამომცემლობის დირექტორი ქეთევან კილურაძე გატაცებით საუბრობს ლიტერატურის, ავტორებისა და მკითხველის სიყვარულზე. „სიესტას“ შექმნის იდეაც სწორედ სიყვარულმა მოიტანა, კომერციული ნარმატება მათი მიზანი არ ყოფილა. სურდათ, მომსახურებოდნენ ქართულ წიგნს და იწყებდნენ საქმეს, რომელსაც მრავალი საინტერესო ჩანაფიქრის, სურვილისა თუ ოცნების განხორციელება უნდა მოჰყოლოდა. უკვე ექვსი წელი გავიდა, „სიესტა“ იდეალების ერთგული რჩება – ემსახურება წიგნს, მაღალი ხარისხის ლიტერატურას, ნიჭიერ ახალგაზრდა ავტორებს, მკითხველს. მის წიგნებს მრავალ სხვა გამომცემას შორის გამოარჩევ – ისინი ძალიან შთამბეჭდავია. ყოველთვის იცი, რომ ამ ვიზუალის მიღმა საინტერესო საკითხავი გელის. „სიესტას“ ექვსწლიანი ისტორიის შესახებ ქეთევან კილურაძე გვიამბობს...



— საგამომცემლო საქმიანობა როდის დაიწყო და „სიესტას“ შექმნის იდეა როგორ გაჩნდა?

— 2005 წელს წიგნის მაღაზია „პარნასში“ დავიწყე მუშაობა. მაღაზიას სამი თანამშრომელი ჰყავდა – ორი მენეჯერი და ბუღალტერი. დავმეგობრდი. „პარნასი“ მაშინ ახლადგახსნილი იყო და შეიძლება ითქვას, მის ნარმატებულ მუშაობაში გარკვეული წვლილი ჩვენც შევიტანეთ. ცოტა ხანში, გადაწყვიტეთ საკუთარი გამომცემლობა ჩამოგვეყალიბებინა...

— მანამდე საგამომცემლო სფეროში საქმიანობის გამოცდილება არ გქონია?

— გარკვეული გამოცდილება მქონდა. პროფესიით დრამატურგი ვარ და თანამედროვე ავტორებთან მეგობრობა მაკავშირებს. გარდა ამისა, თანამედროვე ხელოვნების ფესტივალის - „მზიური“ - ლიტერატურულ განყოფილებას ვხელმძღვანელობდი. ყოველწლიურად, ფესტივალის ფარგლებში, ლიტერატურულ საღამოებს ვმართავდი. საფესტივალო ღონისძიებებისთვის დასასვენებელი პარკის - „მზიურის“ სივრცე გვქონდა ათვისებული. საზოგადოებას კინოში, მუსიკაში, მხატვრობასა თუ ლიტერატურაში მოღვაწე ახალგაზრდების შემოქმედებას ვაცნობდით, ახალ სახელებს წარვუდგენდით. შემდეგ კიდევ ერთი - „მატარებლის ფესტივალი“ გავმართეთ, ძალიან ნარმატებული პროექტი იყო, რომელიც, სამწუხაროდ, შემდგომ წლებში აღარ გაგრძელდა. ფესტივალის ჩასატარებლად საინტერესო ფორმა გამოიძებნა: პროექტში თანამედროვე ქართველი ხელოვნების მონაწილეობდნენ, ისინი მატარებლით მოგზაურობდნენ და ყოველგაჩერებაზე, ზედ ბაქანზე მინი-ფესტივალს მართავდნენ... ასეთი სახის შეხვედრები მქონდა ახალგაზრდა ქართველ მწერლებთან, პოეტებთან. თვითონ საგამომცემლო საქმიანობას კი, მაღაზია „პარნასში“ უფრო ახლოს გავიცანი. გამიჩნდა სურვილი, რომ ის, რასაც ვემსახურებოდი, გარეგნულად უფრო დახვეწილი, ღამაზი ყოფილიყო. იმდროინდელი

წიგნების ყდები, მათი ვიზუალური მხარე ძალიან არ მომწონდა. სამივე მეგობარმა ჩვენ-ჩვენი სურვილებისა და ინიციატივების განხორციელება საკუთარი გამომცემლობის შექმნით გადაპირეთ. ახალ გამომცემლობადასწორედ ასე ჩამოვეყალიბდით. ერთი წლის შემდეგ გოგონებმა თავისი საქმიანობის გაგრძელება ისევე „პარნასში“ ამჯობინეს, რადგან მცირე გამომცემლობის ნარმატებით განვითარებაში ეჭვი შეეპარათ. ამის შემდეგ „სიესტა“ მე გადმოვიბარე.

— შესაძლოა მათი ეჭვი უსაფუძვლო არც იყო, რადგან 2005 წლისათვის უკვე არაერთი გამომცემლობა საკმაოდ ნარმატებულად საქმიანობდა წიგნის ბაზარზე და ახალბედასთვის ამ სამყაროში დამკვიდრება გარკვეულ სირთულეებს შეიცავდა...

— საკუთარ თავზე შემძლია ვთქვა – მსურდა წიგნს მოვმსახურებოდი. ეს იყო საქმე, რომელიც ძალიან მიმდობდა მეკეთებინა. კომერციული ინტერესი არ მქონია, მოგებას არ ველოდი. წლების მანძილზე „სიესტა“ მომგებიანი გამომცემლობა არც ყოფილა, მაგრამ არ მოვეშვით ამ საქმეს და ნელ-ნელა დავინაწიურდი.

— საქართველოში, ძალიან სწორად გათვლილი მენეჯმენტის შემთხვევაშიც კი, ალბათ რთულია წიგნმა მოგება მოუტანოს გამომცემლობას...

— მოგება ხომ მთავარი არ არის, თუკი აკეთებ იმას, რაც მოგწონს. ხოლო თუ ამ საქმეს მოგებაც მოაქვს - ამას რა სჯობს?

— ჩვეულებრივ, გამომცემლები მხატვრული თვალსაზრისით მაღალი ხარისხის, თუმცა ბიზნესის მხრივ ნაკლებად მომგებიანი ლიტერატურის გამოსცემას კომერციული პროექტების განხორციელებას ხარჯზე ახერხებენ ხოლმე. თქვენთანაც ანალოგიური პრაქტიკაა?

— რა თქმა უნდა, ჩვენთანაც ასე ხდება. ვფიქრობ, ჩვენთან, უმეტესად არაკომერციული პროექტები ხორციელდება. „სიესტაში“ მხატვრულად ღირებული, მაღალი დონის ლიტერატურა უფრო სჭარბობს, რადგან დიდი სურვილი გვაქვს ასეთი წიგნები მრავლად გამოვცეთ. იშვიათად ხდება, როცა კარგი ლიტერატურა და თანაც მომგებიანი. ეს საუკეთესო ვარიანტია.

— სახელწოდებაზე მინდა გკითხოთ — გამომცემლობას „სიესტა“ რატომ დაარქვით?

— გამომცემლობისთვის შესაფერ სახელს დიდი ხნის მანძილზე ვარჩევდი. გვინდოდა, ქართული სიტყვა ყოფილიყო, მაგრამ ესპანური სიტყვა „შეგვრჩა“. გამომცემლობის დაფუძნების დღე მოახლოვდა, თუმცა რას დავარქმევდით, გადაწყვეტილი არ გვქონდა. ამ დროს მწერალი ირაკლი კაკაბაძე ჩამოვიდა ესპანეთიდან. ის მარწმუნებდა, „სიესტა“ დაარქვი და აუცილებლად გაამართლებსო. მართლაც, გადაწყვეტილება მალევე მივიღე. რამდენიმე სახელს შორის „სიესტა“ ავირჩიე. რატომ სწორედ „სიესტა“? ეს სიტყვა დასვენების პერიოდს, დასვენების საათს ნიშნავს. სახელწოდებაში ასეთი შინაარსი ჩავდე: ჩვენ თქვენთვის ვმუშაობთ და საუკეთესო პროდუქტს ვქმნით. დაისვენეთ ჩვენთან ერთად, დაის-

ვენეთ ჩვენ წიგნებთან ერთად. ასეთი კონცეფცია ყველაზე მეტად მოგვეწონა. ვიტყვი, რომ სიტყვის ფლერადობამაც გაამართლა, გამომცემლობის სახელწოდება ყველას იოლად ამახსოვრდება. ერთადერთი ისაა, რომ ზოგჯერ „ფიესტაში“ ერევათ, თუმცა არც „ფიესტა“ ცუდი.

— გამომცემლობის საქმიანობა რომელ ძირითად მიმართულებებს ეფუძნება?

— ჩვენი ძირითადი პრიორიტეტი კლასიკური ლიტერატურის თარგმანებია. საქმიანობა სწორედ ამ სახის გამოცემებით დაიწყო. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის მეორე მიმართულება – ეს თანამედროვე ქართული პოეზიაა. გამომცემლობის პრიორიტეტიცა, ასევე, თანამედროვე ქართული დრამატურგია. ძალიან გვინდა, ქართული პოეზიისა თუ დრამატურგიის განვითარებას ხელი შევეწყობო, ახალგაზრდა ავტორებს დავეხმარო...

— მსოფლიო ქართველ დრამატურგებსა და პოეტებს ბეჭდავთ?

— არა, რა თქმა უნდა, უცხოელი ავტორების პიესებსა და ლექსებსაც გამოვცემთ. თუმცა, ქართული პოეზია და დრამატურგია ის უნდა იყოს, რომელიც კომერციულად მომგებიანი არ არის და მიუხედავად იმისა, რომ ორივე ძალიან საჭირო და საინტერესოა, ამ უნარებით გამომცემლები მაინც ნაკლებად ინტერესდებიან.

გამოვარჩევდი, ასევე, საბავშვო მიმართულების პროექტს, რომლის სახელწოდებაც „მოდი, ვისაუბროთ ამაზე“. ეს გახლავთ წიგნების სერია, რომელშიც სხვადასხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემაა განხილული. ამთვან ზოგი ტაბუდებულ თემაა, ზოგიც – საკმაოდ მტიკივებული და ხშირ შემთხვევაში, მშობლებმა არ იციან, თუ რა სახით მიანოდონ შვილებს. მაგალითად, ამ სერიიდან ერთ-ერთი წიგნის სახელწოდებაა - „ჩემს მშობლებს დაავიწყდათ თუ როგორ ემეგობრა“. ის ეხება პრობლემას, რომელსაც ბავშვი მშობლების დაშორებისას აწყდება. ეს განსაკუთრებით მტიკივებულია მისთვის. შეეცადეთ, ასეთი ბავშვების ნუხილი ჩვენი გამოცემის მეშვეობით შეგვემსუბუქებინა. სერიაში შესულია წიგნები - „როცა დედა მუშაობს“, „გაქვს თუ არა შენ საიდუმლო“ და ა.შ. სერიის ავტორია ჯენიფერ მურ-მალინოსი. ილუსტრაციები კი მარტა ფაბრეგას ეკუთვნის. თითოეულ წიგნში ფსიქოლოგი მშობლებსაც ესაუბრება. ტექსტები, რომელიც გაგა ლომიძემ თარგმნა, ქართველი ფსიქოლოგის მიერაა დამუშავებული. გამოცემის რედაქტორები ირენ მახარაძე და დოდო კარანაძე არიან. სერია „მოდი, ვისაუბროთ ამაზე“ ახალი პროექტია, გამოცემა ჩინეთში იბეჭდება და სრულ ტირაჟს ახალი წლის შემდეგ ველოდებით. საინტერესო და საჭირო წიგნებია, ხოლო კომერციული თვალსაზრისით მისი მომგებიანობა ქართველ მშობლებზე იქნება დამოკიდებული, იმაზე – თუ რამდენად მიხვდებიან ისინი ამ გამოცემის მნიშვნელობას.

გარდა ამისა, გამოსაცემად ვამზადებთ ქართულ ხალხურ ზღაპრებს. სერია თვრამეტ წიგნად დაიბეჭდება, თითოეულ წიგნში სამი ზღაპარი შევა. ქართული ხალხური ზღაპრების მოძიებას რამდენიმე წელია ვცდილობთ. ლიტერატურის მუზეუმისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ფონდებში ვი-

მუშავებთ, საინტერესო ნიმუშებს მივაგენით. ქართული ზღაპრები გარკვეული სიმძიმით გამოირჩევა, ამიტომ გადავამუშავებთ ისინი. ფაბულა, სიტყვები, ქართული ზღაპრის რიტმი შევინარჩუნებთ, მაგრამ ტექსტები გადაინერა და უფრო თანამედროვე გახდა. ზღაპრებს თან დაერთვის თამაშები – გონების სავარჯიშო, მეხსიერებისა და ესთეტიკური აღქმის სავარჯიშოები. ილუსტრაციებიც, სავარჯიშოც – ქართულია, ქართველი ბავშვებისთვის შეიქმნა, „კოპრინტი“ არ არის. „ქართული ხალხური ზღაპრები“ ჩემი ფავორიტია, მის შექმნაზე ძალიან ბევრი ვიმუშავებთ. იგი ყველა ასაკის ბავშვისთვისაა განკუთვნილი.

— სერია „მოდი, ვისაუბროთ ამაზე“ „კოპრინტი“, არა?

— დიახ, სერია უცხოური გამომცემლობის მიერაა შექმნილი, დასურათებული. ჩვენ თანაგამომცემლები ვართ. თუმცა, როგორც აღვნიშნე, ტექსტმა ადაპტირება გაიარა და ქართველი ბავშვების ფსიქოლოგიაზეა მორგებული. ისეა დაწერილი, რომ მათთვის მისაღები და გასაგები იყოს.

— თქვენი ყოველი წიგნის სატიტულო გვერდზე, ჩვეულებრივ, მითითებულია - „სიესტა ჯგუფი“. ვფიქრობ, ეს თქვენი გუნდის შეკრულობისა და ერთობის მანიშნებელია... ვინ არიან ის ადამიანები, ვისგანაც „სიესტა ჯგუფი“ შედგება?

— „სიესტა ჯგუფს“ წარმოადგენს გამომცემელი – ქეთევან კილურაძე, გამომცემლის ასისტენტი – ირენ მახარაძე, ილუსტრატორი – მაია მაჩალაძე, მთავარი დამკაბადონებელი, დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელი – გვანცა მახათაძე, საავტორო უფლებების მიღებაზე დიდი გოგოლაშვილი ზრუნავს, ბეჭდვასა და სადისტრიბუციო მხარეს გიორგი ცინარიძე და ირაკლი მეკოკიშვილი უძღვებიან. ექვსი წელია ერთად ვაკეთებთ საქმეს, თუმცა ამ გამომცემლობაში ყველა ერთდროულად არ მოვსულვართ. სიესტას ჯგუფის წევრები პროფესიონალები არიან და საოცრად უყვართ თავისი საქმე. ეს ძალიან შეკრული, თბილი განწყობის მატარებელი, განსაკუთრებული ჯგუფია.

— საუბრის დასაწყისში თქვით, პატარა გამომცემლობა ვიყავით და ჩემს მეგობრებს ამ საქმის ნარმატებაში ეჭვი შეუპარათო. „სიესტას“ დაფუძნებიდან ექვსი წელი გავიდა, ახლა რა მოცულობის სამუშაოს ასრულებთ, რა ტირაჟები გაქვთ?

— დასაწყისში მართლაც პატარა გამომცემლობა ვიყავით, ჩვენს ანგარიშზე წიგნების მცირე რაოდენობა იდო. ახლა ასე აღარ არის. საკმაოდ ბევრი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წიგნი გვაქვს გამოცემული. არც თანამშრომლებს რაოდენობაში ვიზღუდებით, ამ მხრივ დიდ გამომცემლობებს ვუტოლდებით.

— „სიესტას“ ერთ-ერთი პრიორიტეტი თანამედროვე ქართული დრამატურგიაა. ეს უნარი ხელშეწყობას მართლაც საჭიროებს. თქვენს ხელში, ალბათ, არაერთი ქართული პიესა გადის. დღევანდელ დრამატურგებზე რას





იტყვი? რამდენად კარგი ავტორები გვყავს? რამდენად იციან მათ დრამატურგიის კანონები? ერთი ქართველი რეჟისორი წახდა იმაზე, რომ დღეს ორაქტიანი და სამაქტიანი პიესები თითქმის არ იწერება...

— „სიესტას“ პრიორიტეტი თანამედროვე ქართული ლიტერატურის ხელშეწყობაა. იმ ფესტივალების მიზანიც, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, სწორედ ეს იყო. ეს იდეალები იქიდან გამოგვყვა, დღემდე ჩვენი მიზნების ერთგულები ვრჩებით. რაც შეეხება თანამედროვე ქართველ დრამატურგებს, მათი პიესების ხარისხზე, წარმატებაზე საუბარი შესაძლებელია მაშინ, როცა ისინი სცენაზე განხორციელდება. პიესა უნდა დაიდგას. მისი საბოლოო ფორმა სწორედ ესაა. პიესის ავტორს, ვინაიდან მას წერის ნიჭი აქვს, მოთხრობის შექმნაც შეუძლია, მაგრამ პიესას ირჩევს, ეს კი ნიშნავს, რომ ის სცენაზე უნდა დაიდგას. „სიესტას“ მიერ დაბეჭდილი პიესებიდან, რამდენიმეს ავტორმა ლიტერატურულ კონკურსზე „საბა“, შესაბამის ნომინაციაში, ლაურეატობა მოიპოვეს. ესენი არიან დათო ტურაშვილი, ბასა ჯანიკაშვილი... ჩვენი გამოცემული პიესებიდან არაერთი დაიდგა კიდეც. მათ შორის - ლაშა ბუღაძის პიესა. „სიესტაში“ დაბეჭდილი დრამატურგიული ნაწარმოებების ავტორთაგან გამოვარჩევი, ასევე, ირაკლი კაკაბაძეს.

— რამდენად ციცი, ირაკლი კაკაბაძემ წელს საერთაშორისო პენკლუბისა და ოქსფამ ნოვების კომიტეტის პრემიის ლაურეატობა მოიპოვა...

— საერთაშორისო პენკლუბისა და ოქსფამ ნოვების კომიტეტის X VI/ პრიზით, 2009 წელს, მსოფლიოში სულ ხუთი ლაურეტი დაჯილდოვდა. ესენი არიან კანადელი მწერალი მაზიარ ბაჰარი, შრილანკელი ჟურნალისტი სონალი სამარასინგჰე, კოლუმბიელი ესეისტი ანდრე კორონელი, ვიეტნამელი მწერალი ირაკლი კაკაბაძე. ირაკლი პირველი ქართველი ავტორია, რომელმაც ეს პრიზი მიიღო. გასულ წლებში OXFAM NOVIB/PEN პრიზით დაჯილდოვდნენ რუსი ჟურნალისტი ანა პოლიტოვსკაია (გარდაცვალების შემდეგ), თურქეთის მოქალაქე სომეხი ესეისტი ჰრანტ დინკი (გარდაცვალების შემდეგ), ვიეტნამელი მწერალი დოუნგ თუ ჰუონგი და სერბი მწერალი დეჟან ანასტასიევიჩი.

საერთაშორისო პენკლუბი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში თავისუფალი სიტყვის მხარდამჭერია და ამავე დროს, მონოდეზობილია დახმაროს ნიჭიერ მწერლებს. რაც შეეხება ოქსფამ ნოვების კომიტეტს, იგი ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო განათლების საკითხებითა დაკავებული.

— ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორების დახმარება „სიესტას“ საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. თანამედროვე ქართული პოეზიის ნიმუშები თქვენთან ხშირად გამოიცემა...

— პირადად მე ძალიან მიყვარს პოეზია. ეს ლიტერატურული ფორმა ჩემთვის ძალიან ახლობელია. გათანხმებით, თან-



ამედროვე ქართული პოეზია ფინანსურად ნამგებიანი მიმართულებაა, თუმცა, ჩვენთან იმდენად კარგი ლექსები იწერება, რომ თანამედროვე ქართველი პოეტების დახმარებაზე უარს ვერაფრით ვიტყვი.

— ვინ არიან ის ქართველი პოეტები, თქვენ რომ გამოსცემთ?

— რა თქმა უნდა, ჩემი ფავორიტები მყავს, მაგრამ ჩემი მხრიდან მათი დასახელება და სხვებისგან გამორჩევა არასწორი იქნებოდა. რამდენადც შეგვიძლია, ვცდილობთ ყველას დავეხმაროთ. თქვენ კი, თქვენი ფავორიტები გყავდეთ.

— „სიესტა“ საკმაოდ საინტერესო და ლირებულ უცხოურ ლიტერატურას გამოსცემს. საინტერესოა, რამდენად ზრუნავთ თარგმანის ხარისხზე? ვფიქრობ, დახმარება ქართული მთარგმნელობითი სკოლის განვითარებასაც ესაჭიროება...

— ჩვენ მხოლოდ ორიგინალიდან ვთარგმნით. თუ უცხოელი ავტორის ნაწარმოები „სიესტას“ მიერაა გამოცემული, ეს ნიშნავს, რომ ის დედნიდან ითარგმნა. როცა ვიგებ, რომ ნაწარმოები რომელიმე შუალედური ენიდანაა თარგმნილი, მას უბრალოდ არ გამოვცემ. ყოველთვის მომხრე ვიყავი, რომ უცხოური ლიტერატურა ქართულად ეკითხათ და არა რუსულად, ინგლისურად ან სხვა უცხო ენაზე. არ მომწონს, როცა ამბობენ, მე მხოლოდ რუსულად ვკითხულობო. ეს ცნობილი ფრაზაა. რატომ — რუსულად? ჩვენი ენა გვაქვს - არაჩვეულებრივად ღრმა და მდიდარი ენა. რაც უნდა სრულად ფლობდე უცხო ენას, ნაწარმოებს ვერასოდეს გაიგებ ისე კარგად, როგორც შენს მშობლიურ ენაზე ნაკითხვისას. ასე რომ, იკითხეთ „სიესტა“ და მისი ქართული თარგმანები.

— უცხოური ლიტერატურის გამოცემისას, უპირატესობას რომელ ჟანრს ანიჭებთ?

— პირველ რიგში, კლასიკურ ნაწარმოებებს გამოვცემთ. დიდ ყურადღებას ვუთმობთ, ასევე, თანამედროვე ავტორებს. ვცდილობთ დავეჭვდეთ ის, რაც ძალიან ახალია. ერთი სიტყვით, საზოგადოებას ვთავაზობთ უახლეს ლიტერატურას და ამავე დროს, იმგვარ კლასიკას, რომელიც წლებმა გამოსცადა და რომელიც, როგორც სავალდებულო ლიტერატურა, ყველამ უნდა წაიკითხოს.

— საავტორო უფლების მოლოდინი ხშირად პროექტის განხორციელებას დროში აჭიანურებს ხოლმე...

— მოგეხსენებათ, საავტორო უფლების მოპოვებას დრო სჭირდება. ხშირ შემთხვევაში ლოდინი გვინევს. ასეთია მსოფლიო პრაქტიკა, ჩვენთან განსაკუთრებული არაფერი ხდება. უცხოელ ავტორსა თუ გამომცემელს დიდად ვერაფრით დავაინტერესებთ, ჩვენი ტირაჟი არც ისე სახარბიელოა, თარგმნილი ლიტერატურის ტირაჟი ხუთასიდან ორიათასამდე ეგზემპლარია. რაც უნდა მოვინდომოთ, ამაზე მეტ ეგზემპლარს ვერ დაგვჭევდავთ. მათი მოთხოვნებიც ჩვეულებრივია - გარეკანზე ავტორი აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, მთარგმნელის გვარი უფრო დიდი შრიფტით არ უნდა დაიბეჭდოს და ასე შემდეგ. საინტერესო - არაფერი.

— თანამედროვე ქართული წიგნი, თავისი გარეგნული მხარით, პოლიგრაფიული ხარისხით, სულ უფრო იხვეწება და უცხოურ გამოცემებს ტოლს არ უდებს. გამომცემლობის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი სწორედ წიგნის ვიზუალია. ამ თვალსაზრისით, თქვენი წიგნები ყოველთვის გამოირჩევა და ძალიან შთაბეჭდილია...

— ერთ-ერთი ნიშანი, რომლითაც „სიესტას“ გამოცემებს გამოარჩევენ, მართლაც მათი ვიზუალია. ხშირად აღნიშნავენ ხოლმე, რომ მაღაზიებში ჩვენი წიგნების ყდები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ. „პარნასში“ მუშაობის დროს კარგი გამოცდილება მივიღე, თვალის გამიფარჯიშდა და ვიცი, თუ როგორ უნდა იყოს ყდა. წიგნის გარეკანისთვის დიზაინის შერჩევასაც, ყოველთვის ვითვალისწინებთ, თუ ვისთვის, რა ასაკის მკითხველისთვისაა განკუთვნილი წიგნი. მცირეწლოვან ბავშვებს, მოზარდებს, თინეიჯერებსა თუ უფროსებს სხვადასხვანაირი ვიზუალი იზიდავს. წიგნის ფორმა, ფერები, შრიფტი - სწორედ მკითხველის მიხედვით ირჩევა. სხვადასხვა გამოცემაზე სხვადასხვა ილუსტრაციები მუშაობს. გვყავს, ასევე, „შიდა“ ილუსტრაციები, რომელიც გამომცემლობის თანამშრომელია, მუდმივად ჩვენს გვერდითაა.

— საბავშვო სერიის — „მოდი, ვისაუბროთ ამაზე“ — შესახებ თქვით, რომ ჩინეთიდან ტირაჟის ჩამოსვლას ელოდებით. ჩვეულებრივ, წიგნებს იქ ბეჭდავთ?

— „მოდი, ვისაუბროთ ამაზე“ პირველი გამოცემაა, რომელსაც „სიესტა“ ჩინეთში ბეჭდავს. ყველა დანარჩენი წიგნი საქართველოშია გამოცემული. ლიტერატურის ნაწილი „სიესტას“ სტამბაში იბეჭდება, ფერადი გამოცემების მომზადებაში კი სტამბა „სეზანი“ გვეხმარება.

— ამ ექვსი წლის განმავლობაში რომელი პროექტი იყო ყველაზე წარმატებული?

— ძალიან აზარტულია, როცა ახალ პროექტზე ფიქრობ, გეგმავ და შემდეგ ელოდები - გაამართლებს თუ არა. მაგალითად, შარშან, აგვისტოს ომის შემდეგ, უკრაინელი ავტორის სერგეი დორენკოს მიერ ვლადიმერ პუტინზე დაწერილი რომანი ვთარგმნეთ და გამოვეცით. ვფიქრობდით, რომ ძალიან წარმატებული პროექტი იქნებოდა და ტირაჟი კარგად გაიყიდებოდა, მაგრამ ჩვეულებრივი გამოცემა აღმოჩნდა - ამ წიგნს საზოგადოების ინტერესი დიდად არ გამოუწვევია.

არის წიგნები, რომლის შესახებაც წინასწარ იცი, რომ მოგებას მოიტანს, კარგად გაიყიდება. არის ისეთი ლიტერატურაც, რომელიც ძალიან გინდა რომ გამოსცე, მაგრამ მას სხვა მოგება მოაქვს, არა - ფინანსური. გამომცემლობის მიერ მომზადებული თითოეული პროექტი საეცეპოა. თუ წიგნს ბეჭდავ, ესე იგი მასში სიყვარულს, ან კომერციულ ინტერესს დებ. ძირითადი მამოძრავებელი მაინც სიყვარულია, ავტორის, ან ჟანრის მიმართ სიყვარული.

— ამბობთ, რომ თქვენი საგამომცემლო საქმიანობის მთავარი მამოძრავებელი სიყვარულია. ამგვარი დამოკიდებულებით შექმნილ წიგნებს ბევრი მკითხველი ჰყავს? საქართველოში ბეჭდვითი გამოცემების მომხმარებელი არც ისე ბევრია.

— ჩემის აზრით, ამის მიზეზი ციფრული სამყაროა. მკითხველის პრობლემა არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში დგას. ვფიქრობ, წიგნის კითხვა გართობაა, გართობის ერთ-ერთი სახეა. ადამიანს რაც მოსწონს, იმით იქცევა თავს. ციფრული სამყარო კი გართობის უამრავ საშუალებას გვთავაზობს. ადამიანს სასურველი ნაწარმოების წაკითხვა ინტერნეტგამოცემის სახითაც შეუძლია. თუმცა, ვინც წიგნის ფასი იცის, ვისაც წიგნის სურნელის, მის ფურცლებთან შეხების, და საერთოდ, ამგვარი გართობის „გემო“ შეუგრძენია, ამაზე უარს

ვერასოდეს იტყვის. კარგი იქნება თუ წიგნის კითხვას დაუთმობთ დროს. თანამედროვე ადამიანი დროში საკმაოდ შეზღუდულია და წიგნის საკითხავად ნებისყოფა სჭირდება. თუ საკუთარი თავი გვიყვარს, მას წიგნის კითხვის ფუფუნება არ უნდა მოვაკლოთ. იმასაც ვიტყვი, რომ ეს ფინანსური თვალსაზრისითაც ფუფუნებაა.

— საზოგადოებაში კითხვის პოპულარიზაცია მნიშვნელოვან ნილად გამოცემლობებზეცაა დამოკიდებული. წიგნისადმი ინტერესი ხომ ადამიანს ბავშვობიდან უნდა გაუღვივდეს, იგი მკითხველად უნდა აღიზარდოს. გამომცემლობების პასუხისმგებლობა, ამ



მხრივ, ვფიქრობ, დიდია. მათზე ბევრად და დამოკიდებული პატარების დაინტერესება, მათი ლიტერატურული გემოვნების განვითარება...

— ჩემის აზრით, ამ თვალსაზრისით, საგამომცემლო საქმე საკმაოდ წინ წავიდა. თანამედროვე წიგნი ბევრად უფრო მომხიბლველი და მიმზიდველია, ვიდრე ის ჩვენს ბავშვობაში და თუნდაც სტუდენტობისას იყო. ჩემს შვილებს კითხვა ძალიან უყვართ, წიგნი თვითონ ეძახის მათ. მათთვის ჩემი ბავშვობისროინდელი გამოცემები რომ შემეთავაზებინა, ვფიქრობ, პატარების დაინტერესება ძალიან გამიჭირდებოდა. დღეს სულ სხვა სურათია - საბავშვო წიგნებს დიდი სიამოვნებით ვუკითხავ შვილებს და თავადაც ბევრ საინტერესოსა და ახალს ვიგებ. გამომცემელმა წიგნი დიდი სიყვარულით უნდა შექმნას, დაფიქრდეს მის შინაარსზე, ტექსტი „საცერმო გაათაროს“, სათქმელი გასაგები ენით და ამავე დროს, სიღრმით მიიტანოს პატარებამდე. გამომცემლების პასუხისმგებლობა სწორედ ესაა. ჩვენი საბავშვო პროექტი „ქართული ხალხური ზღაპრები“ ამიტომაც მიყვარს, გამოცემაზე ბევრი ვიფიქრეთ, ამ საქმეში დიდი შრომა ჩავდეთ. ეს მსოფლიოს ბავშვებისათვის განკუთვნილი, გლობალიზაციის სახელით განხორციელებული პროექტი არ გახლავთ, ქართველი ბავშვებისთვის შექმნილი გამოცემაა. არის თემატიკა, რომელიც ყველა პატარისათვის საერთო და მისაღებია, მაგრამ არსებობს თემები, მხოლოდ ქართველი ბავშვებისთვის რომ არის გასაგები. „ქართული ხალხური ზღაპრები“ სწორედ ასეთი პროექტია.

— „ქართული ხალხური ზღაპრები“ გამოსაცემად მზადდება. ასევე, მალე გამოჩნდება ბაზარზე სერია „მოდი, ვისაუბროთ ამაზე“. კიდევ რა გეგმები გაქვთ?

— მომავალი წლიდან, მკითხველი „სიესტასგან“ ბევრ საინტერესო თარგმანს უნდა ელოდეს. დიდი იმედი მაქვს, რომ ახალი პროექტები წარმატებით განხორციელდება. შევეცდებით, უცხოური ლიტერატურა ქართულ ენაზე მოგანოოთ, რომ მათი წაკითხვა რუსულად, ინგლისურად, ან სხვა ენებზე არ მოგინით.





ოქტავიო პასი (1914-1998) მექსიკაში დაიბადა. მამამისი წარმოშობით ესპანელი იყო, დედა — მექსიკელი ინდიელი. ამ ორი განსხვავებული კულტურის ერთიანობას მწერალი ყოველთვის შეიგრძნობდა. 1933 წელს გამოდის მისი პირველი პოეტური კრებული „ველური მთვარე“ და უკვე რამდენიმე წლის შემდეგ ოქტავიო პასს კრიტიკოსები ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ახალგაზრდა პოეტად მიიჩნევენ.

1937 წელს პასი რესპუბლიკური მთავრობის მხარდასაჭერად ესპანეთში მიემგზავრება და ანტიფაშისტ მწერლებს უერთდება.

1944 წელს იგი გუგენჰაიმის სტიპენდიას იღებს და ერთი წლით ამერიკაში ჩადის ცოდნის გასაღრმავებლად. მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას, 1945 წელს, პასი მექსიკის საერთაშორისო მისიით პარიზში მიემგზავრება, ეცნობა ანდრე ბრეტონსა და ალბერ კამიუსს, მეგობრობს ომისშემდგომი პარიზის ევროპულ და ლათინოამერიკულ ინტელექტუალებთან.

ორმოცდაათიან წლებში იქმნება ავტორის ოთხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწარმოები: „მარტოობის ლაბირინთები“ (1950), სადაც ასახულია მექსიკის საზოგადოების ავტორისეული ხედვა; „მშვილდი და ლირა“ (1956), რომელიც პოეტის შემუშავების ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს; „არწივი თუ მზე?“ — სიურეალიზმის გავლენით შექმნილი პროზა და „თავისუფლება სიტყვებში“, რომელშიც იბეჭდება ოქტავიო პასის პოეტური თხზულება „მზის ქვა“ — თანამედროვე ლათინოამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში.

1951-1952 წლებში მწერალი ინდოეთსა და იაპონიაში მოგზაურობს. 1953 წელს მექსიკაში ბრუნდება და აქტიურად ერთვება ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში. აქვეყნებს პოეზიისა და ესსეების არაერთ კრებულს. 1963 წელს ოქტავიო პასი პოეზიის საერთაშორისო პრემიის მფლობელი ხდება.


1968 წელს, როდესაც მეხიკოს ოლიმპიადის დროს მთავრობა სასტიკად გაუსწორდა სტუდენტების მანიფესტაციას, მწერალმა პროტესტის ნიშნად დატოვა ელჩის თანამდებობა.

1980 მას ჰარვარდის საპატიო პროფესორად ირჩევენ. ერთი წლის შემდეგ კი იღებს სერვანტესის პრემიას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდოა ესპანურენოვან ლიტერატურულ სამყაროში.

1990 წელს ოქტავიო პასს ნობელის პრემიას ანიჭებენ.

მისი პოეტური თხზულებები განმსჭვალულია იმ რწმენით, რომ „პოეზია თანამედროვეობის საიდუმლო რელიგიაა.“ თანამედროვე ამერიკელი მწერალი და მთარგმნელი ელიოტ ვაინბერგერი მის შესახებ ამბობს: „მსოფლიო რევოლუცია სიტყვის რევოლუციაა, და არც ერთი არ იარსებებდა, რომ არა სხეულის რევოლუცია: ცხოვრება, ხელოვნების მსგავსად, ფიქრისა და სხეულის, ადამიანისა და ბუნების, „მე“-სა და „სხვის“ დაკარგულ მითით ერთიანობასთან დაბრუნება.“

ლექსების გარდა, ოქტავიო პასს დაწერილი აქვს თხზულებები ხელოვნების, ლიტერატურისა და პოეტის, აგრეთვე მექსიკური ისტორიის, პოლიტიკისა და კულტურის შესახებ. არის არაერთი ლიტერატურული თარგმანის ავტორი.



# „შეგვიძლია პოეზია საკუთარ ფესვებს დავუბრუნოთ, ისევ გაგონილ და წარმოთქმულ სიტყვად ვაქციოთ...“

- თქვენს პოეტურ მანიფესტში „ნიშნათა ცვალებადობა“ საუბრობთ იმის შესახებ, რომ თანამედროვე პოეზიის ისტორია „რღვევის“ ისტორიაა. რატომ თვლით ასე?

- პირველ რიგში იმ რღვევის შესახებ მოგახსენებთ, რომელიც დიდი რომანტიკოსების ხანაში ჩაისახა. ჩემთვის თანამედროვე პოეზია ნინა საუკუნესთან (იგულისხმება XIX ს. — მთარგმ.) ერთად იწყება. დღეს ჩვენ იმ პოეტური და ლიტერატურული მიმდინარეობის ბოლოში ვიმყოფებით, რომელიც რომანტიზმისგან იღებს სათავეს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ თვით რომანტიზმის ცნებაშია ჩადებული ისეთი მსოფლალქმა, რომლისთვისაც „მე“ ძალიან მნიშვნელოვანია, თანაც სწორედ ამ მიმდინარეობამ განაწილა კავშირი წარსულის ტრადიციასა და ესთეტიკასთან. მხედველობაში მაქვს ბაროკოსა და რენესანსის ტრადიცია, რომელიც ძველ ავტორებს, მაგალითად, არისტოტელეს იმეორებდა, ანდა ბუნების იმიტაციას მიმართავდა. თანამედროვეები, რომანტიზმიდან მოყოლებული, ვფიქრობ, რომ წარსულთან კავშირი უნდა დაეარღვიოთ და რაღაც სრულიად ახალი დავინყოთ. წყვეტისა და რევოლუციების მონაცვლეობა, რომელსაც რომანტიზმის ხანაში დაედო სათავე, ჩვენს საუკუნეში უკვე დასასრულს მიუახლოვდა. ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ დიდი პერიოდის ამონაწილს მომსწრენი გავხდით და შეიძლება, ჩემი თაობის მწერლები უკანასკნელი წარმომადგენლებიც კი ვიყოთ იმ მიმდინარეობისა, რომელიც გამომდებელი ენაცვლება ერთმანეთს წარსულის უარყოფა და მასთან ხელახალი მიბრუნება, ახალი ტრადიციების ძიება. მოდერნიზმი პოეტები და მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები მხოლოდ დასავლეთის კულტურულ მონაპოვრს არ სჯერდებოდნენ: უბნისტებმა აღმოსავლეთისა და აფრიკულ შავკანიანთა ნიღბების ხელოვნება აღმოაჩინეს, მექსიკელებმა კოლუმბის ნინა ხანის კულტურით ისარგებლეს. ტრადიციების მოცვლელობის ასეთ კონტექსტში, ვფიქრობ, რომ პოეზია და თანამედროვე ხელოვნება რღვევაა, ხოლო ლიტერატურის ისტორია — რღვევის ისტორია.

- „თხისი შეილებაში“ ამბობთ: „ჩვენ ტრადიციის დასასრულის, კავშირების წყვეტისა და თანამედროვე ხელოვნების დეკლარაციის ხანაში ვცხოვრობთ“.

- დიახ, მართლაც ვფიქრობ, რომ ჩვენ, როგორც ახლა ამბობენ და ამისთვის ძალზე შეუსაბამო ტერმინს იყენებენ — „პოსტმოდერნიზმი“ ხანაში ვცხოვრობთ. ეს მოსაზრება პირველად მე გამოვთქვი. არ იფიქროთ, რომ ამას პატივმოყვარეობა მალაპარაკებს. უბრალოდ, მე ესპანურენოვანი მწერალი ვარ და ჩვენს ენაზე გამოთქმული ბევრი მოსაზრება სხვების მიერ ხშირად სათანადოდ არ არის დაფასებული. ორტევა ი გასეტმა უამრავი მნიშვნელოვანი რამ თქვა, რაც შემდეგ სხვებ-

მა გაიმეორეს, ჩემი აზრით, ეს უსამართლობაა. მე ვიყავი პირველი, ვინც შეეხო თანამედროვე ხელოვნების ამონაწილსა და რღვევის ტრადიციის დასასრულის თემას, როგორც ახლა ამბობენ და როგორც მე ვუნოდე მას ერთ დროს. ჩვენ მოდერნიზმის დასასრულის ხანაში ვცხოვრობთ და ეს ეხება არა მხოლოდ ხელოვნებას, არამედ ჩვეულებებისა და იდეების სფეროსაც. ვფიქრობ, რომ ეს კომუნიზმის დასასრულიცაა. ეკოლოგიური აზროვნების მომნიშვნელოვანება, რომ უკვე სულ სხვა ეპოქაში შევავიწყეთ. მთელი მსოფლიოში ილუზორული ცვლილებებისა და მომავლის გაფიქრების ნიშნით ვითარდებოდა. XVIII საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, კაცობრიობა საუბრობს რევოლუციებზე, ბედნიერ სოციალიზმზე, ევოლუციის მიღწევებსა და ა.შ. და ა.შ. ისევე, როგორც გასულ საუკუნეში, ჩვენს დროშიც პროგრესი ყველაზე მნიშვნელოვანი ცნებაა და მასში მომავალი იგულისხმება. მაგრამ, როგორც ხედავთ, დღეს უკვე ბუნების დაცვა გვაულებებს და ეს სწორედ ამ პროგრესის შედეგია. ყველაზე აქტუალური ჰარმონიის შენარჩუნება გახდა. გაჩნდა ეჭვი, რომ შეიძლება სრულყოფას ვერც ვერასდროს მივალნიოთ, ამიტომ იგი მომავალში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ საკუთარ თავში, ჩვენს მსგავსებთან და ბუნებისთან ჰარმონიულ თანაცხოვრებაში. იმის თქმა მსურს, რომ იდეამ, რომელიც ტრადიციასთან კავშირის წყვეტასა და ქიშკრივ მომავლისკენ დაუსრულებელ სწრაფვას გულისხმობდა, კრახი განიცადა. სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ უკვე სხვა ეპოქაში შევავიწყეთ. სიტყვა „პოსტმოდერნი“ კი ამ ყველაფრისთვის შეუფერებლად ზედაპირული მგონია. შევდივართ ახალ ხანაში, რომელსაც არ ვიცით, რა ერქმევა, და ვერც გვეცოდინება, რადაც ცივილიზაციებმა არასოდეს იციან საკუთარი სახელი. V საუკუნის ბერძენებმა არ იცოდნენ, რომ V საუკუნის ბერძენები იყვნენ. როდესაც ჯვაროსნული ლაშქრობის წინ შუა საუკუნეების მეომარი საყვარელ ქალს ემშვიდობებოდა, არ ეუბნებოდა მას: „საყვარელო, მე მივდივარ პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ან უკანასკნელ ჯვაროსნულ ლაშქრობაში“, რადგან ყველა ეს ისტორიული სახელი ამ ეპოქებს მოგვიანებით ეწოდათ. ჩვენც, რომ იტყვიან, დასაფლავების წინ მოგვანათლავენ და ამიტომ არ შეიძლება ვიცოდეთ ჩვენი ნამდვილი სახელი. „პოსტმოდერნი“ მხოლოდ უშინარსო სიტყვაა.

- ჩვენი ეპოქისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ტექნოლოგიების, მაგალითად, საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება. ეთანხმებით თუ არა მაკლუჰანის მოსაზრებას, რომ ელექტრონული საშუალებები საბოლოოდ ისევ კითხვასთან დაგვაბრუნებს?

- არა მგონია, და ასეც რომ მოხდეს, ამას 6000 წლის შემდეგ თუ მივალნივთ.

ნიგნი კვლავ რჩება ფუნდამენტურ და შეუცვლელ საშუალებად. ტელევიზიის გავლენა ჩვენს ცხოვრებაზე კიდევ უფრო გაიზარდება, მაგრამ ყველაფერი იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ გამოვიყენებთ მას. ტელევიზია არ უნდა იყოს მხოლოდ გართობისა და ინფორმაციის წყარო. ამის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ, ჩემი აზრით, ტელევიზიას ასევე უნდა ჰქონდეს ესთეტიკური, შემოქმედებითი და სამეცნიერო დატვირთვა, რაც განსხვავდება მისი დღევანდელი ფუნქციისაგან. ტელევიზიის უარყოფით მხარეს მე საკუთრივ მაუწყებლობაში კი არ ვხედავ, არამედ ზოგიერთ ტექნიკურ ასპექტში, მაგალითად, ერთი პროგრამის მეორეთი შეცვლის შესაძლებლობაში. დიდი ხნის წინათ, როცა ინდოეთში გახლდით, მეც მაკლუჰანი ვფიქრობდი, რომ ყველა ცივილიზაციის თავისი შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებები აქვს, მაგრამ ცივილიზაციები ყოველთვის სათანადოდ როდი იყენებენ ამ საშუალებებს. დღეს იგივეს ვიტყვი ტელევიზიის შესახებაც.

- თქვენ თვლით, რომ ტელევიზია და კინო პოეზიასთან შეთანხმება, გაქვთ ჯერაც განუზოცრცილებელი პროექტი — აპირებთ თქვენი თეთრი პოემა აუდიო-ვიზუალურ ენას მიუსადაგოთ.

- ჩემი ესეების კრებულში „სახლი“, რომელიც პოეზიას ეხება, ვსაუბრობ იმაზე, თუ როგორ შეიძლება კინოსა და ტელევიზიის ჩაყენება პოეზიის სამსახურში, რა განსხვავებას პოეზიას სხვა ლიტერატურული ჟანრებისგან, მაგალითად, რომანისგან, რომელიც პოეზიის დობილია.

ძირითადი განსხვავება ის არის, რომ არსებითად, რომანი წერილობითი ლიტერატურაა. პოეზია კი არ უნდა ნაიკითხო, არამედ მოისმინო. იყო დრო, როცა ადამიანებმა წერა არ იცოდნენ, სამაგიეროდ, ამომებს ზეპირად ამბობდნენ. შექმლით გაერთიანებ, შესაბამისი რიტმი მოქმედნათ, რაც არის კიდევ პოეზია. ახალი ტექნოლოგიების — რადიოს, კინოსა და ტელევიზიის საშუალებით, რომლებიც ნათქვამ სიტყვას ავრცელებენ, შეგვიძლია პოეზია საკუთარ ფეხებს დავუბრუნოთ, ისევე ვავარდნილ და წარმოთქმულ სიტყვად ვაქციოთ და არ დავტოვოთ მხოლოდ დაწერილ და წასაკითხ სიტყვად. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, ტელევიზიას და კინოს უზარმაზარი უპირატესობა აქვთ. კინემატოგრაფიულ სახეში პირველ რიგში წინ იწევს ვიზუალური ხატი: ხე, ღრუბელი, სამკუთხედი, სფერო, ანუ ნებისმიერი ფორმა, რომლის დანახვაც თვალთ შეიძლება, ამასთან ერთად გვესმის ხმა და ეკრანზე ასოებიც ჩნდება. როგორც ხედავთ, საქმე გვაქვს ვიზუალური ხატის, ხმისა და წარმოთქმული და დაწერილი სიტყვის ერთობლიობასთან. სწორედ ესაა პოემა. ახლა ჯერი ჩვენზეა, ჩვენს განაწევრებულზე. ეს პატარა ექსპერიმენტი. როგორც ყოველ-

თვის, მცირეთი უნდა დავინყოთ და ვიფიქროთ პოეზიის გამოყენების ისეთ ახალ ფორმებზე, როგორც წარმოთქმული სიტყვა და დანახული სიტყვაა, ანუ სახედ გარდაქმნილი სიტყვა. ჩემი აზრით, ესაა ტელევიზიის უზარმაზარი, ჯერაც გამოუყენებელი შესაძლებლობა.

- მახსენდება თქვენი გამოსვლა კომუნიკაციის მეორე ყრობობაზე, 1979 წელს, როცა თქვენ საუბრობდით სხვადასხვა ტიპის მათარებლის შესახებ. დღეს უკვე გვაქვს სპეციალური არხები სპორტის, ახალი ამბებისა და კულტურის სფეროებში. არსებობს ვიდეოკასეტები, დისკები, ინტერაქტიული ვიდეო და ა.შ., რითაც დამტკიცდა თქვენი მაშინდელი მოსაზრების მართებულობა.

- მეტიც, როცა ეს ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი გახდებოდა, კერძო და ეროვნული ბიბლიოთეკების მსგავსად, ვიდეოკასეტებისა და სხვა ფორმატის ბიბლიოთეკებიც გაჩნდება, სადაც შევძლებთ წერილობითი ლიტერატურის, განსაკუთრებით კი პოეზიის ნიმუშების თავმოყრას. მიმანია, რომ რომანსა და პოეზიას შორის განსხვავება სწორედ წარმოთქმული სიტყვაა. ერთ შემთხვევაში ეს არის სიტყვა, რომელსაც ამბობ და გესმის, მეორე შემთხვევაში კი — ხედავ და კითხულობ. რაც შეეხება ნიგნს, მნამს, რომ ნიგნის კულტურას არ უნდა ვუღალატოთ. იმავეს ვფიქრობ სიტყვით გამოთქმული ხატის შესახებაც — არც მისი ლატი შეიძლება. ჩემი აზრით ეს ურთიერთშემავსებელი ფორმებია.

- ცხოვრების დიდი ნაწილი კითხვაში გაატარეთ და უმეტესად ნიგნი იყო თქვენი შთაგონების წყარო. „ბრას ჩომპლეტას“-ში კვედოს ციტატა მოგვყავთ: ამ უდაბნოთა სიმშვიდეში

განგმარტოვდები ცოტა, მაგრამ დიად ნიგნებთან ერთად, გარდაცვლილებთან საუბარში მიჰქრია დღენი და ჩემი თვალსაც მიცვალებულთა სმები ჩაესმით.

რომელ ნიგნებს გამოარჩევდით? „მონაცვლეობათა რიგში“ ორ მათგანს ახსენებთ: ბრეტონის „გიჟურ სიყვარულს“ და ბლეიკის „ჯოჯოხეთისა და სამოთხის ქორწილს“.

- დიახ, ეს ორი ნიგნი უმნიშვნელოვანესია ჩემს ცხოვრებაში, რომლებიც 25 წლის ასაკში ნავიკითხე. საკმაოდ რთული ნიგნებია. ბავშვობისა და სიჭაბუკის დროს ნაკითხული ნიგნები ჩემთვის საყრდენს წარმოადგენს.

- დიდა ამალიასაც მიუძღვის ამ საკმეში წვლილი, ხომ ასეა?

- დიახ, ასეა. ჩემს სახლში დიდი ბიბლიოთეკა იყო. რომანისტიკებიდან ძალიან მიყვარდა ალექსანდრე დიუმა. როცა პირველად „სამი მუშეკტერი“ და „ოცი წლის შემდეგ“ ნავიკითხე, სასოწარკვეთილებში ჩავვარდი, ლამის ვიტირე.



ჩემს თავს ვეუბნებოდი: ახლა რა მეშველება, ეს რომანი რომ დავამთავრე, რაღა ნავიკითხო-მეთქი. მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რომ უამრავი ბიბლიოთეკა არსებობს და ნიგნების ამონურვა შეუძლებელია. ამის შემდეგ სათავგადასავლო რომანები წავიკითხე: „ათას ერთი ღამე“, თუ „ერთი და ათასი ღამე“ როგორც გენებოთ, ისე დაარქვით. მაგრამ ნიგნი, რომელსაც მაშინ ვკითხულობდი, განსხვავდებოდა ახლანდელი, ერუდიტებისთვის განკუთვნილი ვერსიისაგან. ეს იყო ძველი, იმ დროს გავერცელებული საბავშვო გამოცემა. ეს სახეები დღემდე ხელუხლებლად ინახება ჩემში. ალაღინი და მისი ლამაზი ჩემთვის ახლაც ისევე ისე დაფრინავენ მექსიკის ცაში, როგორც ბავშვობისას.

**- ეს არის მოგზაურობა ნიგნის მემკვიდრეობა, არა?**

- ეს უმოძრაო მოგზაურობებია. მოგზაურობა ბევრნაირად შეიძლება, ყველაზე საუკეთესო საშუალება წარმოსახვითი მოგზაურობაა, ამ დროს ოთახში რჩები და თვალდახუჭული ან ნახევრადღია თვალებით მოგზაურობ. არსებობს თვითმფრინავით, ვირით ან ცხენით მოგზაურობა. ერთხელ, ახალგაზრდობაში, ჩილპანსინგოდან ტუქსტლამდე ცხენით წავიდი, სამინელები იყო. საათების განმავლობაში დაუსრულებლად ვიარე. მართლაც დაუფინყარი გამოცდილება გამოდგა ჩემთვის, მკვდარვით დაღლილი ჩავედი. ყველაზე საუკეთესო, ალბათ, ნიგნის ფურცლებზე მოგზაურობაა. ამ დროს შეიძლება საბავშვოებზე შეგაფერხონ, მაგრამ თუ ერთი ან ორი ენა იცი, ამ დაბრკოლებას მალევე გადალახავ და უცხო მხარეებსაც გაიცნობ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფრანგულად ან გერმანულად კითხვა განსხვავდება თარგმანში ნაკითხულისაგან. ზოგჯერ თარგმანები მართლაც კარგი გამოდის, ზოგჯერ კი, პირიქით, გადღაბნილ ფოტოებს ჰგვანან.

**სადღებრძელო**

*სიტყვა, წარმოქმნილი 1990 წელს სტოკჰოლმში, ნობელის პრემიის მიღების ცერემონიაზე.*

ვეცდები, მოკლედ მოგახსენოთ, რადგან დრო ელასტური სიდიდეა და ჩემი სათქმელიც მთელი ასოთხმოცი წამი გაინელება.

ეპოქა, რომელშიც ვცხოვრობთ, უბრალოდ საუკუნის მიწურული როდია. ჩვენ განსაკუთრებულ ისტორიულ პერიოდში გვიწევს ცხოვრება. რა დაიბადება იდეოლოგიების მსხვერვის შემდეგ?

რას უნდა ველოდეთ ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე? მივალნეთ კი საყოველთაო შეთანხმებას მსოფლიოში, თუ კვლავ კერპების თავყვანისცემისა და რელიგიური ფანატიზმის, ომებისა და ტირანიის ხანაში დავბრუნდებით? შეძლებენ კი თავისუფალი და ძლიერად დემოკრატიები, დასძლიონ საკუთარი ეგოიზმი და შეგნებით მოეკიდონ იმ ვერსიას, რომლებიც ამისგან ჯერ ისევ შორს არიან? იტყვიან თუ არა ეს უკანასკნელი უარს ძალადობრივ კანონებზე და მიხვდებიან თუ არა, რომ ყოველი მოძალადე დამარცხებისთვისაა განწირული. და კიდევ, შევძლებთ თუ არა მსოფლიოს იმ ნაწილში, სადაც მე ვცხოვრობ, ლათინურ ამერიკაში, კერძოდ, ჩემს სამშობლოში, მექსიკაში, ბოლოს და ბოლოს, გავხდეთ თანამედროვეები? ეს არ გულისხმობს მხოლოდ პოლიტიკის დემოკრატიულობას, ეკონომიკურ კეთილდღეობასა და სოციალურ სამართლიანობას, პირველ რიგში ეს გულისხმობს შერიგებას საკუთარ ტრადიციებთან, საკუთარ თავთან.

შეუძლებელია, წინასწარ გამოიცნო, რა მოხდება მომავალში. თუკი უახლეს ისტორიას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ისტორიის გასაღები არავის უპყრია ხელთ. დასრულდა ეს საუკუნეც და მაინც უამრავი კითხვა დარჩა უპასუხოდ. მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცით: ყველას, ვინც ამ პლანეტაზე ვცხოვრობთ, საფრთხე გვემუქრება. ჩვენს მიერ გაღმერთებული აბსურდული პროგრესი და ბუნებაზე მოპოვებული თითოეული გამაზრდება უკვე ნამდვილ თვითმკვლელურ მართონად იქცა. დავინყეთ თუ არა გალაქტიკების საიდუმლოთა ამოხსნა, ატომის ნაწილაკების გამოყვანა, მოლეკულური ბიოლოგიისა და სიცოცხლის წარმოშობის შესწავლა, ბუნებას საშინელი ჭრილობა მივყენებთ გულში. ასე რომ, ჩემი აზრით, როგორც არ უნდა იყოს ერების მიერ შემუშავებული პოლიტიკური და სოციალური წყობა, დღეს ყველაზე მნიშ-

- თარგმანი კიდევ ერთი თემაა, რომლის შესახებაც ხშირად წერთ. თქვენთვის თარგმანი შემოქმედებაა და ნათარგმნი ნიგნი ორიგინალისგან განსხვავდება, ხომ ასეა?

- დიახ, თარგმანი არასოდეს არ არის იგივე ნიგნი. დიდი თარგმანები, მათ შორის ყველაზე საუკეთესოები, თავისთავად შემოქმედებაა. გიფიქრიათ, მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, დასავლეთისათვის ბერძენი კლასიკოსები? ბევრი მათგანი ორიგინალში იკითხებოდა, ბევრიც — თარგმანში. ყველა ენაზე არსებობს ვირგილიუსის, ჰომეროსისა და ოვიდიუსის დაუფინყარი თარგმანები. ჩვენ ამ თარგმანებთან ერთად ვიცხოვრებთ. იგივე შეიძლება ვთქვათ აღმოსავლური ტექსტების შესახებაც, რომლებიც მოგვიანებით აღმოვაჩინეთ. პირველი კლასიკოსები ბერძენები და რომაელები იყვნენ, მოგვიანებით კი ჩინურ, იაპონურ, არაბულ სამყაროებსა და ინდოეთის უდიდეს ლიტერატურასაც ვეზიარეთ.

**- ნიგნებით მოგზაურობის გარდა, თქვენ ცხოვრებაშიც დიდი მოგზაური ხართ. მათ შორის ოთხ მათგანს გამოვყოფდი: პირველი, ესპანეთში 1937 წელს, სამოქალაქო ომის დროს, როდესაც მწერლები ანტიფაშისტურ კონგრესს ესწრებოდით; მეორე, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1944-დან 1946 წლამდე გუგენჰაიმის სტიპენდიით; მესამე — პარიზში 1943-1952 წლებში, ეგზისტენციალიზმის აყვავების პერიოდში, როდესაც ანდრე ბრეტონს დაუმეგობრდით; და ბოლო, ინდოეთში — 1962-1968 წლებში.**

- დიახ, მაგრამ ერთი მოგზაურობა მაინც გამოგრჩათ, სულ პირველი, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის.

ენელოვანი და გადაუდებელი პრობლემა ბუნების გადარჩენაა. ბუნების დაცვა იგივე ადამიანის დაცვაა.

საუკუნის მიწურულს აღმოვაჩინეთ, რომ, თურმე, ჩვენ სხვადასხვა სისტემების ან მათი ერთობლიობის ნაწილი ვყოფილვართ, სამყაროსი, რომელიც მცენარეებით, ცხოველებით, უჯრედებით, მოლეკულით, ატომით იწყება და ვარსკვლავებამდე აღწევს. ჩვენ კი, როგორც ძველი ფილოსოფოსები იტყოდნენ, მხოლოდ ერთი პატარა რგოლი ვართ ყოფიერების უწყვეტ ჯაჭვში.

ადამიანი დღესაც კაცობრიობის დასაბამიდან არსებულ ერთ-ერთ ყველაზე ძველ უცხო იმეორებს — თავს მალა სწევს და გაცემული უცქერის ვარსკვლავინ ცას. ამას ყოველთვის ერთი და იგივე განცდა ახლავს თან. ეს არის ჩვენი სამყაროსთან ძმობის განცდა. მახსოვს, წლების წინ სოფელში, როცა ვარსკვლავებით მოჭედული ცის ცქერით ვტკებოდი, ბალახებიდან უცებ ჭრიანის ფრთების მკვეთრი ჭრიალი მომესმა. ვარსკვლავებიანი ცის ღამის გულისცემას უცნაურად ეხმიანებოდა პატარა მწერის ფრთების მელოდია. და მაშინ ეს ბნკარები დავნერე:

დიდია ცა  
და მის მალა  
აუმღვრეველი სამყაროები მოჩანს,  
სივრცეთა ციმციმს  
პანია ფრთების ჭრიალი ერთვის.  
ვარსკვლავები, ხეები, ღრუბლები,  
ბორცვები, ჩიტები, ჭრიანები, ადამიანები —  
ყველაფერი ამ უზარმაზარ სამყაროში  
თავად არის პატარა სამყარო და ეს სამყაროები  
ერთ რიტმში ფეთქავს. სიცოცხლის  
დაცვას მხოლოდ მაშინ შევძლებთ,  
როცა ჩვენმა ბუნების მიმართ ძმური განცდა  
გაიღვიძებს. ამაში შეუძლებელი არაფერია,  
რადგან ძმობა სწორედ ის სიტყვაა,  
რომელიც თანაბრად ეკუთვნის როგორც  
ლიბერალურ ტრადიციებს, ასევე სოციალისტურსაც,  
როგორც მეცნიერებას, ისე რელიგიას.

ახლა კი მსურს გავიმეორო ძმობის კიდევ ერთი, ძველთაძველი ტრადიცია, ავნიო სასმისი და შევსვა მათი უდიდებულესობის სადგურად. წარმატება, ჯანმრთელობა და აღმავლობა ვუსურვო დიდ და მშვიდობიან შედ ხალხს.

**თარგმანი ქეთი ჯიჟიაშვილმა**

**უმბერტო ეკო:**

**„ყოველთვის სხვები მომწონდა“**

— დავიბადე პიემონტიში, ვცხოვრობ მილანში და ვასწავლი ბოლონიის უნივერსიტეტში. მყავს ცოლი, ორი შვილი და შვილიშვილი. ფაშისტი არა ვარ, ბერლუსკონის ხმას არ ვაძლევ, სოციალ-დემოკრატი ვარ. ვიყავი სხვადასხვა კათოლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი, მას მერე უფალს ჩემი აღარ სჯერა. ვუშვებ „Audolino“-ს.

**— რომელი სიტყვა მოგწონთ?**

— სიგარეტი. შეიძლება, მომკლას, მაგრამ ინტერვიუს უამისოდ ვერ გავეუძლებ.

**— მაშინ მეც მოვუყვებ, სენიორ ეკო... საიდან მოდის ეს გვარი — ეკო?**

— ჩემმა მეგობარმა იპოვნა გამონათქვამთა სია, რომელსაც 600 წლის წინ იეზუიტები იყენებდნენ ნაპოვნი ბავშვებისთვის სახელის დასარქმევად. ერთ-ერთი იყო „ex celsis oblatos“, რაც ზეცის საჩუქარს ნიშნავს. აქედან მოდის ეკო — სახელი, რომელიც დაარქვეს პაპაჩემს — უმამო პოეტ-ტრუბადურს. ესე იგი, მეც ზეცის საჩუქარი ვარ. იმედია, ადამიანები დამაფასებენ.

**— თქვენ? თქვენ მოგწონთ საკუთარი თავი?**

— არა. ჩემი სახე არ მომწონს, თქვენი უკეთესია. ყოველთვის სხვები უფრო მომწონდა.

**— ბავშვობაში ყველაზე მეტად ვინ გიყვარდა?**

— ბებია დედის მხრიდან, რომელიც პირველი იყო, ვინც დიდი კულტურული გავლენა იქონია ჩემზე. ამ ქალს კულტურისა სრულიად არაფერი გაეგებოდა, მაგრამ გიჟდებოდა კითხვაზე. საოცარ ნიგნებს მადლევდა ნასაკითხად: ბალზაკს, ტოლსტოის ან სრულიად უვარგის ნიგნებს, რადგან მათ შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდა.

**— ასე გაიარა ომმა?**

— ომი მშვენიერი გამოცდილებაა, რადგან თავის გადარჩენას სწავლობ. 11 სექტემბრის მერე დაბნეულ ადამიანებს ვხედავ. მე თვითონ დაბნეულობაში დავიბადე და ვისწავლე, რომ ამ ვითარებაშიც უნდა შეგეძლოს ცხოვრება.

**— არ გეშინიათ?**

— ერთადერთი, რისაც მეშინია — ალცჰეიმერის დაავადებაა. მეხსიერების დაკარგვა საკუთარი „მე“-ს დაკარგვაა. ყველა სხვა ხიფათი მეორადია. ამიტომ, როცა პირისპირ ვრჩები რელიგიასთან, რომელიც მეუბნება, რომ რეინკარნაცია მელისა და შეიძლება, ვთქვათ, ძროხად მოვევლინო ქვეყნიერებას, ვკითხულობ: „როგორ ძროხად? მემახსოვრება, რომ უმბერტო ეკო ვიყავი?“ თუ შეიძლება, დადებითად ვუპასუხო ამ კითხვას, სანაღამდეგო არაფერი მაქვს.

**— ძალაუფლება თუ ვსურთ?**

— არა. მე მინდა ავტორიტეტი მქონდეს, რომ ნებისმიერი ამბობდეს: „ეკომ ამა და ამ ნიგნში ესა და ეს თქვა და მართალია.“

**— სექსზე რას იტყვიან?**

— ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ არ გაიამბობთ, რადგან პატივს გცემთ.

**— ჩემზე ნუ წუხდებით.**

— ჩემი აზრით, სექსი ძალიან სასარგებლო რამაა. მისი წყალობით გამიჩნდა ორი შვილი, რომლებიც ძალიან მიყვარს, მერე შვილიშვილი, ისიც ძალიან მიყვარს. სექსს დიდი პატივისცემით ვეკიდები.

**— რადგან სიცოცხლის გაგრძელების საშუალება მოგცათ?**

— და კიდევ იმიტომ, რომ სახალისოა.

**— თქვენ აზრით, რომელი ასაკია საუკეთესო?**

— ჩემი ასაკი, რადგან ყველაფერი მტკიცია, მამტვრევს და სხეულს უკეთ ვგრძნობ.

**— თქვენ გგონიათ, რომ ტკივილისგან შეიძლება რამე ისწავლო?**

— ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი გამოცდილებაა, და ძალიან მიხარია, რომ მოვახერხე ამის დაგროვება. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც სიკვდილი არ მინდა, ისაა, რომ არ მსურს, ჩემი გამოცდილება დაიკარგოს. შეიძლება, ამიტომაც ინერება ნიგნები.

**— თქვენ ამბობთ, ადამიანს უტოპიები სჭირდება. თქვენი უტოპია როგორია?**

— ყველა ქალაქში იყოს ბარი, სადაც ზედმეტი კითხვების გარეშე მომიტანენ ყინულიან მარტინის, რადგან ეცოდინებათ, რომ მიყვარს.



**— შეიძლება თუ არა, რომ დიდებამ ადამიანს სახე დააკარგვინოს?**

— უბრალოდ, დიდებას სერიოზულად არ უნდა მოეკიდო. ძალიან მიხარია, თუკი ადამიანები ჩემს ნიგნებს კითხულობენ, თუმცა ამას გარკვეული უხერხულობაც ახლავს. ამის საფასური იქნება ჩემს მეგობრებთან ერთად უფრო ხშირად სეირნობა.

**— ცინიზმი თუ ზრდის ადამიანს?**

— ჩვენ სიცოცხლის გახანგრძლივება შევძელით და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. გულზე გვხვდება მშვიერი აფრიკელი ბავშვების ამბავი და ბევრი სხვა რამ, რაზეც 200 წლის წინ არავინ დარდობდა. არა მგონია, რომ ახლა უარესები ვიყოთ.

**— თქვენ მითოლოგიურ პერსონაჟებზე წერთ. ჯადოსნური სამყარო გაინტერესებთ?**

— დიახ, მაგრამ კიდევ ნაყინიც მიყვარს. ჩემი აზრით, ისინი, ვისაც ზედმეტად სჯერათ ჯადოქრობის, ცუდი ადამიანები არიან, ყველა ფაშისტი.

**— მაგას რატომ ამბობთ?**

— იმიტომ, რომ ვიცი.

**— კარგი, დროის დინებაზე ვილაპარაკოთ, ამაზე ბევრს წერთ.**

— გაზეთებში არ ღირს ვილაპარაკო არც დროის დინებაზე, არც ღმერთზე, არც სიკვდილზე.

**— კეთილი, მაშინ იმაზე ვილაპარაკოთ, რამაც შეგძრაო.**

— პირველად რომ ვნახე მკვდარი. ეს ომის დროს მოხდა, ქუჩაში ვნახე, ტყვიით შუბლგახვრეტილი. მაგრამ მგონია, ცხოვრების საიდუმლო ისაა, რომ ყველაფერი, რაც თავს გადაგხდება, გულისშემძვრელი უნდა იყოს. მძაფრი განცდების გარეშე პროგრესი არ არსებობს.

**— მოზრდილი რამ შეგძრაო?**

— მამაჩემი გარდაიცვალა, როცა ჩემი შვილი დაიბადა. ამ დამთხვევამ ისე შემცვალა, რომ მთელი წელიწადი თვითმფრინავში არ ჩავმეჯდარავარ. უეცრად მამაჩემად ვიქეცი.

**— რა ისწავლეთ მამისგან?**

— უნდობლობა. ბრმად არასოდეს არ მჯერა ის, რასაც ამბობენ.

**— რით შეგიძლიათ, იამაყოთ?**

— მე და ჩემმა საუკეთესო მეგობარმა, დიპლომი რომ მივიღეთ, ვთქვით: „ახლა რა ვქნათ? — ნიგნი უნდა დავწეროთ და ბავშვი ვიყოლოთ — ეს ორი რამაა, რაც სიკვდილს ამარცხებს.“ ჩემს მეგობარს ერთი ქალიშვილი ჰყავს და 15 ნიგნი აქვს დაწერილი. მე — ორი შვილი და 40 ნიგნი. ბედნიერები ვართ.

**— რა არის აუცილებელი, რომ მთელი ცხოვრება ერთ ქალთან გაატარო?**

— ეგ იმას უნდა ჰკითხოთ, ჰა-ჰა.

**— თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ?**

— მთავარი ერთგულებაა. კარგი ქმარი არ ვყოფილვარ, მაგრამ ერთგულეობას ვაფასებ.

**— სიკვდილი არ გაშინებთ?**

— ჩვენ, ფილოსოფოსებს, გვესმის, რომ ცხოვრება სიკვდილისთვის მზადებაა, მაგრამ მინდა, რომ ბოლო წუთს ლამაზი სიტყვები ვთქვა.

**— უკვე მოიფიქრეთ?**

— უკვე ავარჩიე, რისი ამოცვიფრა მინდა ჩემი საფლავის ქვაზე — ესაა უკანასკნელი სიტყვები კამპანელას დიალოგიდან „მზის ქალაქი“: „მოიცა, მოიცა — არ შემიძლია, არ შემიძლია“.

**თარგმანი ნინო ქაჯაია**



### სერვანტისის პრემიის ლაურეატი

2009 წელს სერვანტისის პრემიის ლაურეატად მექსიკელი მწერალი ხოსე ემილიო პაჩეკო დასახელდა. 70 წლის პროზაიკოსს, პოეტს, ესეისტსა და ლიტერატურის კრიტიკოსს ფულადი ჯილდო — 125 ათასი ევრო გადაეცემა. თავად ლაურეატი ასეთი პრესტიჟული პრიზის მიღებას არ ელოდა და ამ ფაქტით გაკვირვებულიც კი დარჩა.



პაჩეკო მექსიკაში დაიბადა. მწერალმა საკუთარი ქალაქის ცხოვრების, კონკრეტულად კი — ამ ქალაქის ახალგაზრდა მაცხოვრებელთა პრობლემების ხატონად გამოცემით გაითქვა სახელი. მანვე თარგმნა ესპანურ ენაზე სამეფო ბეკეტის, ტენესის უილიამსისა და ტომას ელიოტის თხზულებანი.

სერვანტისის პრემია, რომელიც 1975 წელს დაარსდა, ერთ-ერთ პრესტიჟულ ჯილდოდ მიიჩნევა ესპანურენოვანი ლიტ-

### სკანდალი ჩხეთის ლიტერატურულ ნაწიბში

ჩხმა მწერალმა თავი ვიეტნამელ გონად გაასალა და ჩხეთის პრესტიჟული ლიტერატურული პრემიის — „ნიგნის კლუბის“ — მფლობელიც გახდა. სწორედ ეს ფაქტი გახდა ჩხეთის ლიტერატურულ წრეებში სკანდალის მიზეზი.

თავდაპირველად ყველაფერი რიგზე იყო. ეროვნული ნიგნის პრემია ვიეტნამელმა სტუდენტმა ლან ფამ ტიმ მოიპოვა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ სახელის მიღმა ჩხეთის მწერალი იმალეობდა. იან ცემპირეკმა შეძლო მისტიფიკაცია მოეხდინა და საკუთარი ნიგნის — „თეთრი ცხენი, ყვითელი დრაკონი“ — ავტორად 19 წლის ვიეტნამელი გოგონა დაესახელებინა. ამ გზით მწერალმა ჩხეთში მცხოვრები ვიეტნამელების თვალთ დაანახა საკუთარ თანამემამულეებს ქსენოფობიის პრობლემები, რაზეც პრესაში თითქმის არასდროს ამახვილებდნენ ყურადღებას. ასე რომ, სანამ თალღითობას ფარდა აუხდებოდა, ზოგიერთმა ლიტერატურის კრიტიკოსმა გათვალა, რომ ჩხეთის ყოველწლიური პრემია „ნიგნის კლუბი“ აუცილებლად გადაეცემოდა „თეთრი ცხენსა და ყვითელ დრაკონს“ არა მხოლოდ ლიტერატურული ნიჭის, არამედ პოლიტიკური ღირებულებების გამო.


ცნობილია, რომ ვიეტნამელები ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ ჩხეთში. ყველაფერი სოციალიზმის ხანაში — ვიეტნამის ომის დასაწყისიდან — ჩხეთ-ვიეტნამის მეგობრობით დაიწყო. 1990 წლამდე პრალასა და ბრატისლავაში დაახლოებით 100 ათასი ვიეტნამელი გადავიდა

სასწავლებლად. უმაღლესდამთავრებულებს 3 წლის განმავლობაში შეეძლოთ ამ ქვეყანაში დარჩენა და ჩხეთის დაწესებულებებში მუშაობა. მიგრანტების ნაწილი სწორედ ასე დასახლდა ევროპაში.

„ამ ნიგნმა მიაღწია იმ მიზანს, რომლისკენაც რეალური ავტორი მიისწრაფოდა. იან ცემპირეკმა ყურადღება გაამახვილა ჩხეთში უმრავლესობასა და ვიეტნამელ უმცირესობას შორის არსებულ ურთიერთობაზე“, — აღნიშნა ჩხეთ-ვიეტნამის საზოგადოების თავმჯდომარემ მარცელ ვინტერმა.

აღსანიშნავია, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების წყალობით „თეთრი ცხენისა და ყვითელი დრაკონის“ ავტორმა მთელი წლის განმავლობაში შეძლო თავისი ნამდვილი სახის დამალვა. „ნიგნის კლუბის“ ჟიურის წევრებს ცემპირეკი ელექტრონული ფოსტით ეკონტაქტებოდა. უგზავნიდა ნიგნის გამოგონილი ავტორის სურათებს, შექმნა ვიდეომიმართვაც კი, რომლითაც დაჯილდოების ცერემონიაზე მკითხველებს მიმართავდა. ამას გარდა, მან ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებს ელექტრონული ფოსტით ინტერვიუც კი მისცა. ლან ფამ ტიმ, ბუნებრივია, ვერ დაესწრებოდა დაჯილდოების ცერემონიაზე. მწერალმა ოსტატურად გააცურა ჟურნალისტები, თითქოს გოგონამ მალაიზიის უნივერსიტეტში ჩააბარა და მის მშობლებს არ სურდათ სწავლისთვის მოეწყვიტათ შვილი. ავტორის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ფულადი ჯილდოც კი ისე ჩაირიცხა, რომ იან ცემპირეკი არსად გამოჩენილა.

### „ბოროტების ყვავილები“ — რეკორდსმანი კრეპული



შარლ ბოლღარის ლექსების კრებულის პირველი გამოცემა — „ბოროტების ყვავილები“ — პოეტის ავტოგრაფით პარიზში აუქციონზე 755 ათას ევროდ გაიყიდა. ლოტმა ყოველგვარი რეკორდი მოხსნა. კრებული პირველად 1857 წელს 1100 ტირაჟით გამოიცა. 2007 წელს სოტბის აუქციონზე ამ ტირაჟიდან ერთ-ერთი, რომელსაც მხატვარ ეყენ დელაკრუასადმი მიძღვნილი წარწერა ამშვენებდა, 560 ათას ევროდ შეფასდა. 1845 წლის 30 ივ-

ნისით დათარიღებული წერილი კი, რომლის ადრესატიც მისი იურიდიული ნდობით აღჭურვილი პირი ნარსის ანსელიუსი იყო და, რომელსაც პოეტი თვითმკვლელობის სურვილს ამჟღავნებდა, თავის დროზე 250 ათას ევროდ გაიყიდა. იმხანად ამ ლოტმაც ერთი წერილისთვის განსაზღვრული თანხის ყოველგვარი რეკორდი მოხსნა.

წელს მთლიანობაში აუქციონზე 180 ლოტი იყო გატანილი — ბოდლერის წერილები, ნიგნები და ნივთები. აუქციონის დასრულებისას ორგანიზატორებმა 4,05 მილიონი ევრო მიიღეს, რამაც ორმაგად გადაჭარბა ნავარაუდებ თანხას.

1857-დან 1868 წლამდე „ბოროტების ყვავილები“ 3-ჯერ გამოიცა. 1857 წელს ამ კრებულის გამოსვლად სკანდალი გამოიწვია — ბოდლერს საზოგადოებრივ ამორალობაში დასდეს ბრალი, რის შემდეგაც ტირაჟის ნაწილი დააპატიმრეს, პოეტს კი 300 ფრანკიანი ჯარიმა გადაახდევინეს. ლექსების გამოქვეყნება ფორმალურად მხოლოდ 1947 წელს გახდა შესაძლებელი.

### 50 დოლარად ნაყიდი და 20 ათასად შეფასებული საბეჭდი მანქანა

ამერიკელმა მწერალმა და დრამატურგმა კორმაკ მაკარტიმ აუქციონზე საკუთარი საბეჭდი მანქანა გაიტანა, რომელიც 1963 წელს 50 დოლარად იყიდა. სწორედ ამ საბეჭდ მანქანაზე შეიქმნა მისი ნაწარმოების უმრავლესობა. როგორც მაკარტის მეგობარი ჯონ მილერი აღნიშნავს (სწორედ მას მოუვიდა თავში აუქციონის მოწყობის იდეა), მწერლის საბეჭდი მანქანა თითქმის აღარ ვარგოდა, გადასადგებად კი დაენანათ.


ინსტრუმენტთან ერთად აუქციონზე მაკარტის წერილიც გაიტანეს — „ამ საბეჭდი მანქანის საშუალებით ყველა ჩემი ნიგნი, მათ შორის სამი გამოუქვეყნებელი რომანი შევქმენი. ვფიქრობ, 50 წლის განმავლობაში მასზე 5 მილიონამდე სიტყვა მექნება დაბეჭდილი.“

კრისტის აუქციონის ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ საბეჭდი მანქანის საწყისი ფასი 20 ათასი დოლარი იქნება. შემოსული თანხის გადაცემას კი სანტაფეს კვლევით ინსტიტუტისთვის აპირებენ. კორმაკ მაკარტი დღესდღეობით ერთ-

ერთ ყველაზე აღიარებულ თანამედროვე ამერიკელ მწერლად მიიჩნევა. მის კალამს ეკუთვნის 10-მდე რომანი, პიესები და სცენარები. ამასთანავე, ის ნაციონალური ნიგნისა და პულტცერის პრემიების ლაურეატიცაა. მაკარტის ნიგნების მიხედვით გადაღებულია 2 ფილმი — „გზა“ და ძმები კოენების „მოხუცების ადგილი აქ არ არის“. ამ უკანასკნელმა 2008 წელს 4 ოსკარი მოიპოვა.



### მილორად პავიჩი 80 წლისა ბარდაიცვალა



სარბი პოეტი, მწერალი, მთარგმნელი და სერბული ლიტერატურის ისტორიკოსი მილორად პავიჩი 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. სერბული ბაროკოსა და სიმბოლისტური პოეზიის სპეციალისტი 1929 წლის 15 ოქტომბერს ბელგრადში მოქანდაკისა და ფილოსოფიის პედაგოგის ოჯახში დაიბადა. 1949-1953 წლებში სწავლობდა ბელგრადის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, მოგვიანებით ზაგრების უნივერსიტეტში ფილოსოფიის

მეცნიერებათა და ლიტერატურის ისტორიის დარგებში დოქტორის ხარისხიც მიიღო. სანამ მთელ თავის ცხოვრებას ლიტერატურულ შემოქმედებას მიუძღენდა, პავიჩი გარკვეულ ხანს სხვადასხვა უნივერსიტეტში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა (პარიზში, ვენაში, ფრაიბურგში, რეგენსბურგსა და ბელგრადში). მისი პირველი პოეტური კრებული („პალიმფსესტები“) 1967 წელს გამოიცა. 1971 წელს გამოქვეყნდა მომდევნო ლექსების კრებული „მთვარის ქვა“. მსოფლიო აღიარება კი პავიჩს „ხაზარულმა ლექსიკონმა“ მოუტანა, რომელიც 1984 წელსვე ბესოსელურად იქცა.


მისი ნიგნები მრავალ ენაზე ნათარგმნი. პავიჩი მუშაობდა გაზეთებში, წერდა კრიტიკულ წერილებს, მონაგრავიებს უძველესი სერბული ლიტერატურის ისტორიასა და სიმბოლისტურ პოეზიაზე, ევროპული ენებიდან თარგმნიდა ლექსებს. 1991 წელს სერბიის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრი გახდა. 2004 წელს დასახელებული იყო ნობელის პრემიის ნომინანტთა შორის ლიტერატურის დარგში. პავიჩი სრულყოფილად ფლობდა რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და რამდენიმე უძველეს ენას.

### აბდელატიფ ლააბი საფრანგეთშიც საუკეთესოა

საფრანგეთში ყველაზე პრესტიჟული პრემიის — გონკურების — პოეზიის ნომინაციაში ლაურეატის ნოდება მაროკოში ერთ-ერთ აღიარებულ პოეტს, აბდელატიფ ლააბის მიენიჭა. ლააბი „ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობისთვის“ დააჯილდოვეს. სწორედ ის დასახელებულია მისი თაობის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად.

ლააბი 1942 წელს დაიბადა ფასეში, რომელსაც მაროკოს სულიერ დედაქალაქადაც მოიხსენიებენ. ის რაბატას უნივერსიტეტში სწავლობდა, აქტიურად მონაწილეობდა მაროკოს უნივერსიტეტის თეატრის ჩამოყალიბებაში, ხოლო 1969 წელს დააარსა ლიტერატურული ჟურნალი „ამოსუნთქვა“. ლექსების წერა ახალგაზრდობაში დაიწყო და დღესდღეობით რამდენიმე ათეული ლექსების კრებულის ავტორია. მისი შემოქმედება ცნობილია როგორც ევროპაში, ისე არაბულ სამყაროში.

საუკეთესო რომანისთვის კი გონკურების პრემია ბოლო 10 წლის განმავლობაში წელს პირველად 42 წლის შავკანიან ფრანგ მწერალ ქალს, ნარმოშობით სენეგალელ მარი ნდაის გადაეცა რომანისთვის „სამი ყოვლისშემძლე ქალი“. გონკურების პრემია სათავეს 1903 წლიდან იღებს და მის



ლაურეატებს შორის სხვადასხვა დროს იყვნენ ისეთი მწერლები, როგორებიცაა მარსელ პრუსტი, მორის დრიუონი, სიმონა დე ბოვუარი. გონკურების პრემია ძმებმა ედმონ და ჟულიენ დე გონკურებმა დააარსეს და ფულადი პრიზი დღემდე სიმბოლურია — 10 ევრო. გონკურების აკადემიაში 10 ყველაზე ცნობილი ფრანგი ლიტერატორია. ჯილდო მწერალს მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთხელ ენიჭება. ერთადერთი გამონაკლისი რომენ გარი აღმოჩნდა, რომელმაც 1956 წელს მიიღო ეს პრემია, ხოლო 19 წლის შემდეგ იგივე ჯილდო სხვა სახელით — ემილ აჯარის ფსევდონიმით მოიპოვა. ლიტერატურულ მისტიფიკაციას პრემიის გადაცემის შემდეგ აქვდა ფარდა.

## ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტები ხათუნა აღლახიშვილი, თამარ ყურული

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com